პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დ ღ ი უ რ ი

— წყალდიდობა ახალ ინგლისში.— მიწისძვრა წყნარი ოკეანეს ნაპირებზე.
— ანგორაში დიდის ზეიმით გახსნეს [illegible]
— პარიზში დააპატიმრეს მესამე ინტერნაციონალის [illegible] ბერ დრო.
— საბჭოთა კავშირში მოემგზავრება პოლონეთის მუშათა დელეგაცია.
— სკანდალი სპარსეთის მეჯლისში.
— 8 ნოემბერს მოსკოვში გაიხსნა საბჭოთა კავშირის ერების ხელოვნების გამოფენა.

ხუთშაბათი, 10 ნოემბერი 1927 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 254 (1999)

12 ნოემბერს საღამოს 5 საათზე
სახალხო სახლში გაიხსნება
საქართვ. კომუნისტური პარტიის (ბ)
მე-V-ე ყრილობა
დღის წესრიგი:
1) საქართველოს კომ. პარტიის (ბ) ცეკას ანგარიში.
2) ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიში.
3) საქართველოს ცენტრალური საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ანგარიში.
4) მოხსენება ს. ს. ს. რ. სახალხო მეურნეობისა და მისი განვითარების პერსპექტივების შესახებ.
5) მოხსენება სოფლად მუშაობის შესახებ.
6) არჩევნები.
საქ. კომ. პ. (ბ) ცეკას მდივანი მ. კახიანი

დიდი ზეიმის შემდეგ ახალი ბრძოლებისა და გამარჯვებებისაკენ

როგორც მოსალოდნელი იყო, ოქტომბრის დღესასწაულები მთელ საბჭოთა კავშირში და კერძოთ საქართველოში იშვიათი ენტუზიაზმით ჩატარდა. ოქტომბრის უქმეებმა ერთხელ კიდევ ცხადჰყო, თუ რამდენათ გაიზარდა საბჭოთა საზოგადოებრიობა და რამდენათ ღრმადა აქვს გადგმული ფესვები მშრომელი მასების ფენებში პროლეტარიატის დიქტატურის ხელისუფლებას. ოქტომბრის დღესასწაულებმა ზედმეტჯერ გამოაშკარავა, რომ საბჭოთა უქმე უკვე თანდათან ხდება ნამდვილ სახალხო ზეიმათ, რომელიც დაუნდობლათ მიერეკება თავის გზიდან ძველ, დახავსებულ ეკლესიის დღესასწაულებს მათი მავნე და მშრომელი ხალხის დამაჩლუნგებელი ტრადიციებით, მათი ნივთიერად განმანადგურებელი შედეგებით.

რით აიხსნება ასეთი იშვიათი მასიური აღფრთოვანება და რევოლიუციონური აღტკინება, რომლის მოწმეც ჩვენ არაერთხელ ვყოფილვართ და რომელიც განსაკუთრებით შესამჩნევი იყო უკანასკნელი სამი დღის განმავლობაში? ნუ თუ ეს თვალსაჩინოდ არ მოწმობს პროლეტარიატის დიქტატურის ხელმძღვანელის, კომუნისტური პარტიის ავტორიტეტის უსაზღვრო ზრდას მშრომელ მასებში? ნუ თუ ეს ყველასათვის არ ცხადჰყოფს, რომ საბჭოთა კავშირის მუშები და გლეხები მთლიანად ენდობიან თავის ავანგარდს—ლენინის გვარდიას, რომ სჯერათ მისი რევოლიუციონური გამობრძმედილობა, სიმტკიცე და ძლევამოსილობა? ოქტომბრის დღესასწაული მშრომელი მასებისა და კომუნისტური პარტიის სოლიდარობის უდიდესი და საუკეთესო დემონსტრაცია იყო და ეს იმიტომ, რომ ჩვენმა პარტიამ ამ ათი წლის განმავლობაში ნათლად დაუმტკიცა მთელ ჩაგრულ კაცობრიობას, რომ ის არის ერთად-ერთი პარტია, რომელიც საქმით და არა მარტო სიტყვით ზრუნავს მშრომელი მასების ინტერესებზე, ლენინის სახელოვანმა პროლეტარულმა პარტიამ მისთვის ჩვეული გამბედაობით და სიმტკიცით სოციალიზმის მშენებლობა მეცნიერულ თეორიებიდან პრაქტიკულ ყოველდღიურ ამოცანათ გადააქცია და ამით რეალურად ხელშესახები გახადა მასებისათვის რევოლიუციის მონაპოვარი. საბჭოთა კავშირის მშრომელი მასები ამას ყველაზე უკეთ ხედავენ, მათ თვით ცხოვრება ჩასჩურჩულებს ამის შესახებ ყოველ დღე. ეს იცის და ამას გრძნობს მთელი მსოფლიოს ჩაგრული კაცობრიობა, მიუხედავათ იმ გაშმაგებული და შეუწყვეტელი ცილისწამებისა, რომელსაც ბურჟუაზიული და მისი მაჩანჩალა რეფორმისტული პრესა აწარმოებს ამ ათი წლის განმავლობაში. ამიტომაა, რომ ასეთ დიდ და არნახულ საზეიმო დემონსტრაციებში ჰპოვა გამოხატულება ოქტომბრის უკანასკნელმა დღესასწაულმა.

ეს კი ერთხელ კიდევ ამხელს ოპოზიციის ისტერიული ჩხავილის სრულ უნიადაგობას პარტიის ტერმიდორიანულ გადაგვარების, მუშათა კლასის და ღარიბ გლეხობის ინტერესების დავიწყების, საბჭოთა საზოგადოებრიობის მოდუნების და სხვა ასეთ სისულელეების შესახებ. პირიქით, ოქტომბრის დემონსტრაციებმა საქვეყნოდ ცხადჰყო, რომ ოპოზიცია ერთსულოვნად გარიყული და დაგმობილია არა მარტო პარტიული მასების მიერ, არამედ უპარტიო მშრომელი მოსახლეობისგანაც. ამას მოწმობს ოქტომბრის დღესასწაულები მოსკოვში. ოპოზიცია ხელიდან არ უშვებს არც ერთ საბაბს, რომ ავნოს პარტიას, ერთხელ კიდევ წაუბიძგოს მას თუ კი ამისათვის ხელი მისწვდება. მან ასეთ საბაბათ გამოიყენა ოქტომბრის დღესასწაულები.

ოპოზიციამ სცადა ამ გამარჯვებისა და საერთო აღტაცების დღეები პარტიისაგან დამოუკიდებელ გამოსვლებით აღენიშნა და ამრიგათ ქუჩაში მოეხდინა შინაპარტიული უთანხმოების დემონსტრაცია. ამ მიზნით მისი ლიდერები ჯგუფ-ჯგუფად და საკუთარი ლოზუნგებით გამოვიდნენ დემონსტრაციაზე. მაგრამ ისინი სამარცხვინოთ დამარცხდნენ. მოსკოვის უპარტიო მუშებმა ოპოზიციის თავგასულ ლიდერებს—ტროცკი-სმილგას და კომპანიას, როგორც იტყვიან, კუდით ქვა ასროლინეს. ასეთია იმ მასის პასუხი ოპოზიციის დეზორგანიზატორულ გამოსვლებზე, რომლის სახელითაც ასე თვალთმაქცურად ფიცულობდა ოპოზიცია. ის ყოველთვის მასით ემუქრებოდა პარტიას, ოპოზიცია თავის თავს ყოველთვის ავანსათ აცხადებდა მუშების ინტერესების ნამდვილ გამომხატველად. მისი სიტყვით საკმარისი იყო ოპოზიციის „ზეკაცების" ტროცკი-ზინოვიევ-კამენევის მასიურ მუშურ პარტიულ კრებაზე გამოცხადება და პარტიული მასა ერთსულოვნათ გაყვებოდა მათ. თავისი ამგვარი გავლენის სადემონსტრაციოთ ოპოზიციამ კიდევაც მოახდინა რამდენიმე ცდა, ეს იყო ტროცკისა და ზინოვიევის გამოცხადება „ავიოპრიბორის" უჯრედის კრებაზე მოსკოვში, ამავე ზინოვიევის გასტროლები მამის ავათმყოფობის საბაბით ლენინგრადში, ოპოზიციის გამოსვლა პარტიის ქვედა საფეხურების ორგანიზაციების კრებებზე და უკანასკნელად კვლავ დეზორგანიზატორული და აშკარა ანტიპარტიული გამოსვლა ოქტომბრის დღესასწაულებზე მოსკოვში. ყველა ამ ცდამ სასტიკათ გაუცრუა იმედი ოპოზიციას. პარტიული მასა „ძალათ მაცხონე" ლიდერების ასეთმა გამოსვლებმა კიდევ უფრო ამხედრა ოპოზიციის წინააღმდეგ, ოქტომბრის დღესასწაულებზე კი მოსკოვში ოპოზიციას დემონსტრატიულად აგრძნობია მუშებმა, თუ რა „სიმპატიით" სარგებლობს ფრაქციონერები და დეზორგანიზატორები მათ რიგებში.

აღსანიშნავია, რომ საფრანგეთის მენშევიკური გაზეთი „ლე პოპიულერ"-ი, რომელიც ასე მეგობრულადაა განწყობილი ოპოზიციისადმი და რომელიც, როგორც ყველა გზააბნეულ ბურჟუაზიულ პუბლიცისტების მზგავსათ საკავშირო კომპარტიაში არსებულ უთანხმოებას ხშირათ პირადი კინკლაობით ხსნის, თავის ერთ-ერთ უკანასკნელ მოწინავეში ეხება ზინოვიევისა და ტროცკის საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას შემადგენლობიდან გამორიცხვას და „ბრძნულად" ასკვნის, რომ ზინოვიევ-ტროცკის ცეკადან გამორიცხვით ცეკას ეხლანდელი შემადგენლობა ცდილობს თავიდან აიცილოს დემონსტრაცია, რომელიც მოსალოდნელია ოპოზიციის მხრივ ოქტომბრის დღესასწაულებზე და რომელიც შეარყევს სტალინის ძლიერებასო.

ჩვენ ვხედავთ, რომ ოპოზიციის „მეგობრების თანამოზიარე" „პოპიულერი"-ს წინასწარმეტყველება, როგორც საზოგადოთ, არც ამ შემთხვევაში გამართლდა. ოპოზიციამ მართლაც სცადა ქუჩაში გამოსვლა, მაგრამ საკადრისი პანღურიც მიიღო მუშებისაგან. თუ მას საბოლოოთ არ დაკარგვია ფაქტების ისეთი შემეცნება, როგორიც ისინი სინამდვილეში არიან, ოპოზიციამ ასეთ მთელ რიგ სკანდალურ დამარცხებებიდან შესაფერი დასკვნა უნდა გამოიტანოს.

ოქტომბრის რევოლიუციამ უკვე განვლო საუკუნის ერთი მეათედი. ჩვენ ფეხი შევდგით რევოლიუციონურ მშენებლობის ახალ, უფრო დიდ და შეიძლება უფრო საპასუხისმგებლო პერიოდში. პარტია მიდის წინ მეორე ათეული წლისაკენ უდიდესი აქტივით, როგორც მეურნეობის, ისე კულტურის და საზოგადოებრიობის დარგში. მარტო ის რად ღირს, რომ განვლილ ათეულ წელში წამოიზარდა და ჩვენი მშენებლობის აქტიურ ძალათ გადაიქცა ოქტომბრის ახალი თაობა. მაგრამ, ვიმეორებთ, სიძნელენი კიდევ დიდია. კიდევ უფრო მაღლა ავსწიოთ ლენინის დროშა, კიდევ უფრო გავასალკლდევოთ ჩვენი რიგები და გავსწიოთ წინ ახალი ბრძოლებისა და გამარჯვებებისაკენ.

რკინის გზა ოქტომბრის 10 წლის თავზე

რკინის გზა ოქტომბრის ათი წლის თავზე!

მენშევიკების დროს რკინის გზა დანაწილებული იყო საერთაშორისო კაპიტალის ტიკინებათ გადაქცეულ ე. წ. „დამოუკიდებელ რესპუბლიკებს" შორის, რომლის საშუალებით იმპერიალიზმისათვის ადვილი იყო ამიერ-კავკასიის ახალ ზონად გადაქცევა და მისი გამოყენება საბჭოთა რესპუბლიკის მოწინააღმდეგე ძალათა ასპარეზად. ერთის სიტყვით, რკინის გზა არსად არ იყო განადგურებული ისე, როგორ ამიერ - კავკასიაში: - მატარებელთა უწესო მოძრაობა, სათბობ მასალის უქონლობა, გაფუჭებული სალიანდაგო და საშპალო მეურნეობა, მასალების და იარაღების სრული უქონლობა — აი რა ახასიათებდა მაშინდელ სინამდვილეს.

ასეთ დანგრეულ მეურნეობის აღდგენა შესაძლებელი იყო მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების არსებობით. და მართლაც ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავზე ჩვენი სატრანსპორტო მეურნეობის მიღწევები აღემატება ომამდე არსებულ დონეს.

ა.-კ. რკინის გზის ტვირთზიდვა მიმდინარე წლის განმავლობაში 32 პროც. აღემატება ომამდე არსებულ ტვირთზიდვას 1913 წელთან შედარებით. ეს საუკეთესო მაჩვენებელია ჩვენი ტრანსპორტის მეურნეობის აღდგენისა და გაუმჯობესებისა. ყველა ეს მიღწევები მთლიანად გამომდინარეობენ ოქტომბრის ძირითადი მიღწევებისაგან ამიერ-კავკასიაში: ეს არის ა.-კ. მშრომელთა ორგანიზმის გამთელება და მისი განმტკიცება ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკების სახით. ამ გამთელებამ ხელი შეუწყო დაშლილ სახალხო მეურნეობის სწრაფი აღდგენას — ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ ამიერ - კავკასიის ერთა შორის [illegible] და მენშევიკ - დაშნაკ - მუსავატების მიერ დათესილ შუღლის სრულ ამოფხვრას.

განვითარებულმა ამიერ - კავკასიამ მსწრაფლ აღადგინა მთლიანი ტრანსპორტი და მით ხელი შეუწყო ა.-კ. ეკონომიური სიძლიერეს. გაერთიანებულმა მუშათა კლასმა კი ხელი შეუწყო პროფმოძრაობის აღდგენას. ეს გაერთიანება გადაიქცა სტიმულათ. ა.-კავკასიის მოსახლე ერთაშორის ძმურ და მეგობრული დამოკიდებულებისა, მისი ეკონომიური ღონიერებისა და სოციალისტური მეურნეობის აყვავებისა მუშათა და გლეხთა თანამშრომლობის ნიადაგზე. დაქუცმაცებულ პროფმოძრაობის ნაცვლად ჩვენ გვყავს ორგანიზაციულათ შემჭიდროებული რკინის გზის პროლეტარიატი, რომელიც იტევს თავის რიგებში 43.000 კავშირის წევრს რაც შეადგენს ა.-კ. რკინის გზის მთელ მუშაკთა 98 პროც. ბიუროკრატიულ პროფორგანიზაციათა ნამსხვრევებზე ჩვენ გვაქვს 250-მდე ძირითადი პროფორგანიზაცია, რომელიც იზრდება კავშირის წევრთა ზრდასთან ერთად. საკავშირო მასას კულტურული დონის ამაღლებამ წამოაყენა საკლუბო, აქციური მუშაობის გაღრმავების და კულტურულ - განმანათლებელ დაწესებულებათა ქსელის გაფართოვების ამოცანა, იმ მიზნით, რომ მომზადებულ იქნეს რკინის გზის კვალიფიციური მუშათა სათანადო კადრები. ამას გარდა განსაკუთრებული ყურადღება მიექცა წერა კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას. უცოდინართა რაოდენობა გასაბჭოებამდე შეადგენდა მთელ კავშირის წევრთა 50 პროც. ამჟამად ჩვენ სავსებით განვახორციელეთ ლენინის ანდერძი. ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავზე ჩვენ არა გვყავს არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი.

საკავშირო მასის კულტ-განმანათლებელ მოთხოვნილებათა ზრდამ ა.-კ. რკინის გზელთა პროფკავშირის წინაშე დააყენა საკლუბო მშენებლობის გაფართოვების საკითხი, ამჟამად რკინის გზაზე გვაქვს 31 კლუბი. მათ შორის ჩვენ მიერ აღდგენილია 21 კლუბი, ხოლო აშენებულია 8 ახალი კლუბი. გარდა ამისა რკინის გზაზე ითვლება 82 წითელი კუთხე, 29 წიგნთსაცავი, 7 სასპორტო დარბაზი და 5 მოძრავი წიგნთ-საცავი, რომელიც ემსახურება ხაზის მოთხოვნილებებს. ამასთანავე სწარმოებს გაძლიერებული მოსამზადებელი მუშაობა ხუთწლიან პერსპექტიულ საამშენებლო გეგმის განსახორციელებლად, რომლის მიხედვით გათვალისწინებულია 12 ახალი კლუბის აგება.

რკინის გზის ტრანსპორტის მეურნეობის ზრდასთან ერთად პროპორციონალურად იზრდება მუშათა ხელფასიც. თვითეულ რკინის გზელის საშუალო სამუშაო ხელფასის ზრდა შემდეგ სტატისტიკური სურათს იძლევა:

წევდა — 42 მან. 88 კაპ.-რკასფ9ცვფ0ფ

1913 წელში საშუალო ხელფასი აღწევდა	—42 მ. 88 კ.
1923-24 წ. „ „	„—37 მ. 66. კ.
1924-25 წ. „ „	„—46 მ. 95 კ.
1925-26 წ. „ „	„—67 მ. 18 კ.
1926-27 წ. „ „	„—77 მ. 99 კ.

აქედან ნათლად სჩანს, რომ შედარებით 1913 წელთან რკინის გზელთა ხელფასი მნიშვნელოვნად გაზრდილა.

ამასთან ერთად უმჯობესდება რკინის გზელთა ყოფაცხოვრების პირობები. სოციალური დაზღვევა სათანადო სიმაღლეზეა დაყენებული. საექიმო დახმარება უმჯობესდება ყოველ წლიურად და ამასთანავე იზრდება საკურორტო მშენებლობა. ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე იხსნება ლიბანის დიდი სანატორიუმი და საფუძველი ეყრება რკინის გზელთა დიდი დასასვენებელ სახლს 300--400 კაცისათვის. დიდი ყურადღება ექცევა დაავადებათა აღმოფხვრას და პროფილაქტიკის გაძლიერებას.

საბინაო მშენებლობა ამჟამად მტკიცე ნიადაგზე სდგას. ამ მხრივ ჩვენ დაგვრჩა იმპერიალისტურ ომის საშინელი მემკვიდრეობა — დანგრეული სახლები, ყაზარმები, ნახევარ - ყაზარმები და სხვა. საბჭოთა ხელისუფლებამ პირველ რიგში აღადგინა დანგრეული შენობები და შემდეგ ხელი მიჰყო ახალ მშენებლობას. დღემდე რკინის გზაზე აშენდა 28 ახალი სახლი და განზრახულია 1928 წლის მაისამდე აშენდეს 44 სახლი.

რასაკვირველია ძნელია საგაზეთო წერილით ამოწუროს იმ მიღწევათა მთლიანი სახე, რომელიც ჩვენ გვაქვს ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავზე, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს იმას თითქო ამით სრულდებოდეს ჩვენი მუშაობა. არა. ჩვენ ამით ვუყურით მხოლოდ საფუძველს მომავალ სოციალისტურ მეურნეობას და ამ მიღწევებით ყოველ დღიურად ვუახლოვდებით ჩვენს საბოლოო მიზანს.

პ. საგაშვილი.

თეთრგვარდიელთა ხულიგნობა შანხაიში

საბჭოთა საკონსულოს შანხაიში თავს დაესხნენ თეთრგვარდიელები

საბჭოთა კავშირის კონსულის ნოტა

ინგლისის კონსერვატორების ორგანო „ობსერვერ" მოითხოვს ურთიერთობის აღდგენას საბჭოთა კავშირთან

თავდასხმა საბჭოთა საკონსულოზე შანხაიში

შანხაი, 8 ნოემბ. 7 ნოემბერს მოხდა თეთრგვარდიელების თავდასხმა საბჭოთა საკონსულოზე, რაც დიდი ხანია მზადდებოდა. თეთრგვარდიელები მოქმედებდენ წინასწარ შემუშავებულ გეგმის მიხედვით. საღამოთი საკონსულოს შენობას მოუახლოვდა თეთრგვარდიელ ბანდიტების დიდი ბრბო მეფის დროშებით. ბრბომ იერიში მიიტანა საკონსულოზე წინადაწინ დამზადებულ ქვების, აგურების და რკინის ლომების საშუალებით. თავდამსხმელები ესროდენ საკონსულოს თანამშრომლებს, რომელნიც იცავდენ საკონსულოს შესასვლელ კარებს. პოლიციელები და აგრეთვე თეთრგვარდიელი მცველები, რომელთაც დავალებული ჰქონდათ საკონსულოს დაცვა ბანდიტურ თავდასხმისაგან, სრულ უმოქმედობას იჩენდენ მხოლოდ მორიგ თანამშრომლების შეიარაღებულ წინააღმდეგობის საშუალებით გახდა შესაძლებელი საკონსულოს დარბევის აცილება თავიდან. თავდამსხმელებმა მოახერხეს კარების შემტვრევა და შეცვივდენ საკონსულოს შენობაში, მაგრამ იძულებული გახდენ უკან დაეხიათ. საკონსულოს შენობაში მათ დასტოვეს ერთი დაჭრილი. მხოლოდ 40 წუთის შემდეგ მოვიდა პოლიცია, რომელმაც უკან დაახევია ბრბოს და საკონსულოს შენობიდან გაიყვანა დაჭრილი თავდამსხმელი. უფროსი პოლიციელები მეტად თავხედურად იქცეოდენ, მათ შორის იყვნენ რუსი თეთრგვარდიელები. პოლიციის უფროსის მოადგილემ ინგლისელ **იანგმა** საბჭოთა გენერალურ კონსულს მოსთხოვა რევოლიუციის ათი წლის თავის გამო მოწყობილ ილიუმინაციის დაუყოვნებლივ ჩაქრობა, ვინაიდან, მისი სიტყვით, ეს იყო „უწესოების" მთავარი მიზეზი. იანგმა განაცხადა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში დაუყოვნებლივ დასტოვებს საკონსულოს „ბედის ანაბრათ". მხოლოდ საღამოს 10 საათზე დაიშალა ბრბო. საკონსულოს ყველა ფანჯრები ჩალეწილია. ქვებისა და აგურებისაგან ძლიერ დაზიანდა ოთახების მოწყობილება.

თავდასხმისათვის მზადება, როგორც უკვე თავის დროზე იუწყებოდენ დეპეშები, სრულიად აშკარათ სწარმოებდა. თავდამსხმელთა ჯგუფი შეიკრიბა უკვე დილიდანვე. თავდამსხმელები ჯერ ცდილობდენ ჩამოეგლიჯათ საზეიმო მორთულობა საკონსულოს შენობიდან, მაგრამ ვერ ბედავდენ უფრო სერიოზული ნაბიჯების გადადგმას, სანამ საკონსულოში სწარმოებდა კონსულების და ჩინეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა ოფიციალური მიღება.

ამჟამად საკონსულოს იცავს პოლიცია. საკონსულოს შესასვლელ კარებთან, ახალ შემთხვევების თავიდან ასაცილებლათ მოწყობილია ბარიკადები. საკონსულოს თანამშრომელთა შორის არავინ არ დაშავებულა სერიოზულათ. საკონსულოს მახლობლათ დაბანაკებულია ინგლისელების ჯარები. (ადს).

შანხაის საკონსულო ალყა შემორტყმულია

შანხაი, 9 ნოემბერი. საკონსულოს მდივნები შენობიდან არ გამოდიან. შენობის შესავალთან სდგას შინაური დამცველი რაზმი. მხოლოდ 8 ნოემბერს საღამოს პოლიციამ გაგზავნა ჩინელებისა, ინდუსებისა და აგრეთვე ინგლისელებისა და თეთრგვარდიელებისაგან შემდგარი პოლიციელთა რაზმი. პოლიციამ შენობას ყოველმხრიდან რკალი შემოავლო და ყოველ კუთხეში დააყენა პოლიციელები, რომელნიც აპატიმრებენ შენობასთან ახლო მისულ თეთრგვარდიელებს და იმათ, ვინც განაგრძობს შენობის ფანჯრებში ქვების სროლას. აღსანიშნავია, რომ ინდოელ პოლიციელის მიერ დაპატიმრებული თეთრგვარდიელი განთავისუფლებულ იქნა მეორე თეთრგვარდიელი პოლიციელისაგან. პოლიციელების მიერ თეთრების წინააღმდეგ მიღებულ ღონისძიებებმა ვერ გასჭრა. საღამოს 8 საათზე 400 თეთრგვარდიელმა მწყობრ კალონად ჩაუარა საკონსულოს შენობას მონარქისტული დროშით, მონარქისტული ჰიმნის მღერით და ყვირილით: „[illegible] მაგათ". დემონსტრანტებმა გაიარეს ხიდი საელჩოს პირდაპირ და გაემართნენ შორეულ-აღმოსავლეთის ბანკის შენობისაკენ, რომელსაც ჩაუმტვრიეს ფანჯრები. პოლიციამ ვერ მიუსწრო დროზედა დემონსტრანტების გაფანტვა დაიწყო მაშინ, როცა ფანჯრის მინები სავსებით დამსხვრეული იყო, თუმცა საკონსულო ნახევარი საათით ადრე გააფრთხილა პოლიცია ბანკზე მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ.

9 ნოემბერს ღამით არაფერი არ მომხდარა და საელჩოში შეჭრის ცდა აღარ ყოფილა. საელჩოს შენობასთან მორიგეობდენ პოლიციის გაძლიერებული რაზმები. (ადს)

თეთრგვარდიელთა ახალი მოწოდება პოგრომებისაკენ

შანხაი, 8 ნოემბერი. ზოგიერთი ცნობებით, ორი კაცი, რომელნიც 7 ნოემბერს დასჭრეს საკონსულოზე თავდასხმის დროს, უკვე გარდაიცვალა. შიშობენ, რომ დაჭრილთა გარდაცვალება, თუ ეს დადასტურდა, საკონსულოს დარბევის ახალ ცდას გამოიწვევს. ამბობენ, რომ თეთრ მონარქისტულ ორგანიზაციებს განზრახვა აქვთ გამართონ „წითელი ტერორის მსხვერპლთა" საზეიმო პანაშვიდი და საზეიმო დაკრძალვა. ქალაქში ავრცელებენ თეთრგვარდიელთა ფურცლებს, რომელნიც საერთაშორისო უბნის ხელისუფლებისაგან მოითხოვენ სასტიკად იქნან დასჯილი ის პირნი, რომელთაც ესროლეს „ახალგაზრდათა ჯგუფს, რომელნიც რამოდენიმე ოფიცერთან ერთად უიარაღოდ გაემართენ ჯალათების კარებისაკენ". თეთრგვარდიელთა გაზეთები აშკარად მოუწოდებენ ახალი ბანდიტური გამოსვლებისაკენ.

ირკვევა, რომ საბჭოთა ორ მოქალაქეს, რომელნიც 7 ნოემბერს საღამოთი შეეცადენ შესულიყვნენ საკონსულოში, სასტიკად სცემეს თეთრმა ბანდიტებმა. საშინლად ქუჩაში საბჭოთა გემის „ინდიგირკა"-ს მეზღვაურს, რომელიც შანხაის ნავთსადგურში იმყოფებოდა. 8 ნოემბერს თეთრი ბანდიტები შეიკრიბნენ ნავთსადგურთან გემ „ინგიროვკაზე" თავდასხმის მიზნით. ჩინელთა ხელისუფლებამ გაგზავნა პოლიცია და ჯარისკაცები, რითაც შეაჩერა თავდასხმა. ირკვევა, რომ 8 ნოემბერს, განთიადისას, როცა ზოგიერთი ქალები საკონსულოდან მიდიოდენ სახლში, მათ უკან მისდევდენ თეთრგვარდიელებით სავსე ავტომობილები, რომელნიც თვალყურს ადევნებდენ საბჭოთა საკონსულოდან გამოსულ პირთა ბინებს. (ადს)

საბჭოთა კავშირის გენერალური კონსულის ნოტა

შანხაი, 8 ნოემბერი. საბჭოთა კავშირის გენერალურმა კონსულმა გარეშე საქმეთა კომისარს გადასცა ნოტა, რომელშიაც იგი დაწვრილებით აღწერს შანხაის საელჩოზე მომხდარ თავდასხმას და იმ პირო[illegible], რომელნიც თან სდევდა ამ თავდასხმას.

„უკანასკნელი თვეების განმავლობაში მე ორჯერ გესაუბრეთ იმ უსინდისო და თავხედური კამპანიის შესახებ, რომელიც საკონსულოს წინააღმდეგ დაიწყო „ლორტ ჩაინა დეილი ნიუზ"-მა და რომლითაც ისარგებლეს თეთრი „საპოგრომო" ფურცლების ავტორებმა; მე მაშინვე აღვნიშნე, რომ სწარმოებს აშკარა მზადება თავდასხმისათვის. მე აღვნიშნე, რომ ეგრედწოდებული ფაშისტები და ინგლისის რეზიდენტები თვითონ ვერ გაბედავენ რაიმე გამოსვლას, მაგრამ უეჭველად გამოიყენებენ თავისი მიზნებისათვის გამყიდველ და გახრწნილ რუს ემიგრანტებს, რომელნიც შეჩვეული არიან საბჭოთა კავშირის უცხოელ მტერთა ინტერესების სამსახურს. თქვენ დამპირდით, რომ ამის შესახებ თავის დროზე მოელაპარაკებოდით საკონსულო კორპუსის მამასახლისს, მაგრამ სამწუხაროდ ამ მოლაპარაკებათა შედეგები არ სჩანს. თავდასხმის დღესაც კი, თუმცა ბანდიტები დილიდანვე ყრიდენ თავს, მუნიციპალურმა პოლიციამ საკონსულოს დასაცავად არ მიიღო არავითარი ზომები. მე იძულებული ვარ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი პოლიციის ინსპექტორის იანგის თავხედურ და გამომწვევ მოქმედებას. მეორე დღეს, თავდასხმის შემდეგ დილიდანვე საკონსულოს შენობის წინ კვლავ თავის მოყრა დაიწყეს ბანდიტურმა ელემენტებმა, მაგრამ საერთაშორისო უბანის ხელისუფლებმა დღემდე არ მიიღეს სათანადო ზომები საკონსულოს თავდაცვისათვის.

გაცნობებთ რა ამას, გამოვსთქვამ იმედს, რომ თქვენ დაუყოვნებლივ მიიღებთ ნამდვილ ზომებს და შექმნით სათანადო გარანტიას იმისათვის, რომ კვლავ აღარ განმეორდეს თავდასხმა საკონსულოზე. მე მოვითხოვ აგრეთვე დაუყოვნებლივ და სავსებით იქნა გამოძიებული მთელი ეს პროვოკაცია და პასუხისგებაში იქნან მიცემული ამ საქმის ხელმძღვანელნი და სულის ჩამდგმელნი, როგორც მკვლელთა და თავდამსხმელთა პირდაპირი ხელის შემწყობნი; მე მოვითხოვ, რომ შესწყდეს თეთრი მონარქისტული ორგანიზაციების მოქმედება. პოლიციის შემადგენლობიდან გამორიცხულ იქნან თეთრგვარდიელები, რომელთაც მჭიდრო კავშირი აქვთ საკონსულოზე თავდამსხმელებთან, და დაუყოვნებლივ გადაყენებულ იქნან თეთრები იმ სადარაჯოებიდან, რომელნიც საკონსულოს მახლობლად იმყოფება. მე მოვითხოვ აგრეთვე გამოძიებულ იქნას პოლიციის მოქმედება, რომელმაც განსაკუთრებული გულგრილობა გამოიჩინა, და ანაზღაურდეს საკონსულოს ზარალი". (ადს)

განიარაღების კონფერენციის გარშემო

დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენისათვის

ლონდონი, 8 ნოემბ. „ობსერვერი" ათავსებს წერილს, რომელიც ეხება მომავალ დებატებს განიარაღების საკითხის შესახებ. გაზეთი აღნიშნავს, რომ საბჭოთა და ბრიტანეთის დელეგატებს მოსამზადებელ კომისიაში მოუხდებათ „ერთად მუშაობა" საერთაშორისო პოლიტიკის ერთ-ერთი თანამედროვე საკითხის გადასაწყვეტად. მაგრამ ამ ქვეყანას შორის არ არსებობს დიპლომატიური ურთიერთობა.

„ამჟამად,—სწერს გაზეთი,—პრაქტიკულ აუცილებლობას წარმოადგენს სასწრაფოდ განახლდეს დიპლომატიური ურთიერთობა ლონდონსა და მოსკოვს შორის" (ადს).

ლატვია-საბჭოთა ხელშეკრულება ძალაში შევიდა

რიგა, 8 ნოემბ. გარეშე საქმეთა სამინისტროს შენობაში მოხდა ლატვია-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულების სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა - გამოცვლა. ხელშეკრულება უკვე შევიდა ძალაში (ადს).

მოსულის ნავთი

ნიუ - იორკი, 8 ნოემბ. იუწყებიან, რომ დადებულია შეთანხმება, რომლის თანახმად ამერიკელი ნავთის მრეწველნი იძენენ ოსმალეთის ნავთის კამპანიის (რომელიც ამუშავებს ნავთიან ადგილებს მოსულში) აქციების 25 პროც.-ს. შეთანხმებაში მონაწილეობას იღებენ აგრეთვე ინგლისის, ჰოლანდიის და საფრანგეთის საფინანსო წრეები.

ამერიკელთა მხრივ შეთანხმებაში მონაწილეობენ „სტანდარტ ოილი" (ნიუ-ჯერსი) და „სტანდარტ ოილი" (ნიუ-იორკი) (ადს).

სპარსეთში

სკანდალი მეჯლისში

თეირანი, 8 ნოემბერი. 2 ნოემბერს ორი ახალწვეული ჯარისკაცი შახაბდულაზიმიდან გაიქცა [illegible] და აქ დაიმალა მეჩეთში. პოლიციამ გაქცეულები ძალით გამოიყვანა მეჩეთიდან. ამან შახაბდულაზიმში გამოიწვია მღელვარება. ბაზარი მესამე დღეა დაკეტილია. ამასთან დაკავშირებით მეჯლისის სამ კლერიკალ დეპუტატს განზრახვა ჰქონდა გამოსულიყო მთავრობის წინააღმდეგ, მაგრამ მათ განზრახვას წინააღმდეგობა გაუწიეს სხვა დეპუტატებმა. მეჯლისის სხდომა სკანდალით დასრულდა და დაიხურა. (ადს).

გერმანელი, თუ შვეიცარიელი

თეირანი, 8 ნოემბერი. მეჯლისმა სასწრაფოთ დაამტკიცა კანონპროექტი, რომლის თანახმად ნაციონალური ბანკის დირექტორათ მოწვეულ უნდა იქნეს ან გერმანელი, ან შვეიცარიელი (ადს).

როგორ ჩატარდა ოქტომბრის დღესასწაული

საბჭოთა კავშირში

მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომა

მოსკოვი, 9 ნოემბერი. 6 ნოემბერს დიდ თეატრში შესდგა მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომა, რომელიც მიძღვნილი იყო ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავისათვის. თეატრის დარბაზი საზეიმოდ არის მორთული. სცენის შუა ადგილას ბრწყინავს წითელი ვარსკვლავი, რომლიდანაც სხივები ეფინება დარბაზის ლოჟებსა და იარუსებზე მიმაგრებულ ფარებს, რომელზედაც აღბეჭდილია მსოფლიოს დედა-ქალაქების სახელები. წარწერა არის 7 ენაზე: ყველას! ყველას! ყველას! ვარსკვლავის ფონზე არის ლენინის მარმარილოს ბიუსტი ყვავილებში. ბიუსტის ირგვლივ საპატიო ყარაული დგას.

სხდომას მოკლე შესავალი სიტყვით ხსნის მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **უხანოვი**, რომელიც ესალმება უცხოეთის მუშათა დელეგაციებს. მის სიტყვებს მხურვალე ტაშით ხვდებიან.

საკავშირო კომპარტიის ცეკას სახელით სიტყვა წარმოსთქვა ამხ. **ბუხარინმა**, რომლის გამოსვლამ ტრიბუნაზე ხანგრძლივი მხურვალე ოვაციები გამოიწვია.

ამხ. ბუხარინმა საკავშირო კომპარტიის ცეკას სახელით მიმართა საბჭოთა კავშირის პროლეტარიატსა და საერთაშორისო პროლეტარიატს:

„ჩვენ ქვეყანაში ვაშენებთ სოციალიზმს,— ამბობს ამხანაგი ბუხარინი,—ათი წლის წინეთ [illegible] ბრძოლებში მიღებულ მონაპოვართა საფუძველზე. ჩვენი რევოლიუცია—პროლეტარიატის საერთაშორისო ბრძოლის დასაყრდენია. ჩვენი საქმისათვის დაიღუპა და იღუპებიან ყველა ქვეყნების პროლეტარიატის ასობით და ათასობით საუკეთესო შვილები. უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში ოქტომბრის რევოლიუციამდე კაპიტალიზმი სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა, მაგრამ ამავე დროს თვით კაპიტალიზმის წიაღში მწიფდებოდა მოვლენები, რომელნიც უდიდესი კატასტროფის—იმპერიალისტური ომის სახით დაატყდა თავზე კაცობრიობას. ომმა შექმნა „კაპიტალიზმის საყოველთაო [illegible]" საშინელი სურათი. ომის ქარცეცხლში გაისმა პირველი სიტყვები, რომელნიც გადმოსროლილ იქნა რუსეთის პროლეტარიატის რიგებიდან და რომელნიც მრისხანე რევოლიუციონური მოძრაობის მძლავრ ძალად გადაიქცენ. ჩვენმა რევოლიუციამ, რომელიც აღსდგა მთელი მსოფლიოს წინააღმდეგ, აქტიური მოქმედების გზაზე დააყენა პროლეტარული მასები. საბჭოები—პირველი პაროლი—ლოზუნგი მთელი მსოფლიოსათვის. ჩვენს ქვეყანაში საბჭოებმა ღრმა ფესვები გაიდგეს მუშ. კლასის დიქტატურის დასაყრდენ ძალად გადაიქცენ. მთელი ძალა-უფლება მუშათა კლასის ხელშია და ვაი მას, ვინც აღმართავს ხელს მის წინააღმდეგ. ჩვენი მშენებლობა—უდიდესი გმირული მუშაობაა. ჩვენ სხვის დაუხმარებლად ვსწევთ უდიდეს სიმძიმეს, რომელიც თავს დაატყდება კაპიტალიზმს და გასჭყლეტს მას. ჩვენი რევოლიუცია დაიწყო საერთაშორისო რევოლიუციის დროშით, ჩვენ ვსდგევართ მთელი მსოფლიოს მუშათა მოძრაობის ავანგარდში და წარმოვადგენთ ერთად ძალას, რომელსაც კაცობრიობა შეუძლია იხსნას ბარბაროსობისაგან. საკავშირო კომპარტია ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე მიმართავს მთელი მსოფლიოს მშრომელთ და რწმენით [illegible] ლოზუნგებს: „დეე ვინმემ გაბედოს ხელი შეახოს ჩვენს მონაპოვარს, წინაღდგეს პროლეტარიატის გამარჯვებას მთელს მსოფლიოში. ჩვენ უძლეველნი ვართ, ვინაიდან ჩვენი საქმე—მსოფლიო რევოლიუციის საქმეა".

საკავშირო კომპარტიის მოსკოვის კომიტეტის სახელით მოსკოვის პროლეტარიატს და ყველა მშრომელთ მოკლე სიტყვით მიესალმა მოსკოვის კომიტეტის მდივანი ამხ. **უგლანოვი**.

„მოსკოვის პარტიული ორგანიზაცია,—ამბობს ამხ. უგლანოვი,—არის ურყევი ძალა, სალი კლდე, რომელზედაც დაიმსხვრევა პარტიის გათიშვის ყოველგვარი ცდები".

შემდეგ გამოდიან უცხოეთის მუშათა დელეგაციების წარმომადგენელნი, რომელნიც ჩამოვიდნენ ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის დღესასწაულზე მონაწილეობის მისაღებათ. უცხოელ ამხანაგთა ყველა სიტყვებში წითელი ზოლივით იყო გატარებული ის აზრი, რომ ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავი არის არა მარტო საბჭოთა ქვეყნის დღესასწაული, არამედ ყველა ქვეყნების დღესასწაული, არამედ ყველა ქვეყნების პროლეტარიატის დღესასწაული. მოსკოვის მუშები და მუშა-ქალები მხურვალედ ესალმებიან ყოველი უცხოელი ამხანაგის სიტყვებს და ხანგრძლივი ოვაციებით ხვდებიან.

თითქმის განუწყვეტლივ გაისმის ინტერნაციონალის სიმღერა.

[illegible] ამბობს, რომ ინგლისის კომპარტია თავის მოვალეობათ სთვლის დაიცვას პირველი პროლეტარული რევოლიუცია და იბრძოლოს მისი გავრცელებისათვის ყველა ქვეყნებში. არა მარტო კომპარტია, არამედ მთელი ინგლისის მუშათა კლასი ესალმება ოქტომბრის რევოლიუციას, ვინაიდან იგი საბჭოთა პროლეტარიატს უყურებს როგორც ისეთ ძალას, რომელმაც გაჰკაფა გზა მთელი კაცობრიობის საუკეთესო მომავლისაკენ.

მთელი კრება [illegible], გულითადი ოვაციებით შეხვდა **კლარა ცეტკინის** გამოსვლას ტრიბუნაზე; იგი საბჭოთა კავშირის მშრომელთ მიესალმა გერმანიის კომპარტიის და გერმანიის მრავალმილიონიანი მუშათა მასების სახელით.

„განსვენებულმა ჯონ რიდმა,—ამბობს ამხ. ცეტკინი,—ოქტომბრის რევოლიუციის შესახებ დასწერა წიგნი, რომელსაც უწოდა „ათი დღე, რამაც შესძრა მთელი ქვეყანა". ეს ათი დღე გადაიქცა ათ წლეწადათ და შექმნა მთელი ეპოქა. საბჭოთა კავშირის არსებობა მოწმობს, რომ პროლეტარიატის შეგნებულ ნებისყოფას შეუძლია მთელი მსოფლიოს გადატრიალება.

ფრანგი კომუნისტების სახელით საბჭოთა პროლეტარიატს მხურვალე სალამს უძღვნის **ვაიან კუტიური**.

„ამჟამად,—ამბობს ამხ. კუტიურიე,—საბჭოთა კავშირში სწარმოებს სოციალიზმის აღმშენებლობა, რომელიც დიდ ისტორიულ საქმეს წარმოადგენს. თქვენ, ათავებს თავის სიტყვას კუტიურიე,—მთელი მსოფლიოს მომავალს წარმოადგენთ".

შემდეგ ტრიბუნაზე ადის პარიზის კომუნის უხუცესი ვეტერანი კიტონ გე, რომელიც მადლობას უძღვნის საბჭოთა კავშირს იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა იშვილა იგი, პარიზის კომუნის ვეტერანი. „ამან მისცა აზრი, შინაარსი მთელს ჩემს სიცოცხლეს, ამბობს გე,—და მე ფიცს ვსდებ, რომ იარაღს ავიღებ ხელში საბჭოთა კავშირის დასაცავად, თუ კი ვინმე განიზრახავს მასზე თავდასხმას".

ინდოეთის მშრომელთა სახელით სიტყვას ამბობს **საკლატვალა**, რომელიც აღწერს იმას, თუ როგორ ჩაგრავს ინგლისის იმპერიალიზმი ინდოეთის მშრომელთ. მამაკაცები, ქალები და ბავშვები მუშაობენ კაპიტალისტების სასარგებლოდ დროის განუსაზღვრელად და თითქმის უფასოდ. მათ ვერ შესძლეს თავის დაღწევა ამ ჩაგვრისაგან, ვინაიდან არ იყვნენ შეკავშირებული და არ ჰყავდათ ხელმძღვანელი. ეხლა კი, ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ მათ იციან, თუ როგორი გზით უნდა იარონ.

ჩინეთის მუშათა დელეგაციის სახელით სიტყვა წარმოსთქვა **ლიმ**. იგი ამბობს, რომ ჩინეთის მშრომელნი ეხლა განსაკუთრებით მძიმე ორმაგ ბრძოლას აწარმოებენ საკუთარი ბურჟუაზიისა და უცხოეთის იმპერიალისტების წინააღმდეგ. მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს, რომ საერთაშორისო პროლეტარიატის და პირველ რიგში საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის დახმარებით განვთავისუფლდებით იმპერიალიზმის მონობიდან.

შემდეგ ყველა დელეგაციების სახელით სიტყვას ამბობს **ჰანრი ბარბიუსი**, იაპონიის კომპარტიის სახელით **კატაიამა**, და გერმანიის წითელი ფრონტელების სახელით **ბაქს კლატი**.

მოსკოვის საბჭოს, კომპარტიის და საბჭოთა მთავრობას მიესალმნენ აგრეთვე დონბასის მემაღაროეთა და ჩრდილო-კავკასიის მთიელთა 1-ლი ცხენოსანი პოლკის წარმომადგენელნი.

სხდომის დროს სწარმოებდა რადიო-გადაცემა ლენინგრადიდან და ხარკოვიდან, სადაც აგრეთვე ხდებოდა ადგილობრივი საბჭოების საზეიმო სხდომები.

სხდომის დახურვამდე კრებას მოკლე სიტყვით მიმართა ამხ. **რიკოვმა**.

„მუშათა კლასი,—სთქვა ამხ. რიკოვმა,—ათი წლის წინეთ მედგრად, გმირულად იბრძოდა ბარიკადებზე. საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა და მშრომელებმა უდიდესი მუშაობა ჩაატარეს ათი წლის განმავლობაში. ჩვენ კიდევ მრავალი ბრძოლა უნდა გადავიტანოთ. დავსდოთ ფიცი, რომ მომავალშიაც ისევე მედგრად და გმირულად ვიბრძოლებთ, როგორც ათი წლის წინედ".

ამხ. რიკოვის სიტყვას მხურვალე ოვაციებით ხვდებიან.

ამხ. რიკოვის სიტყვის შემდეგ გამოდის ამხ. **სტალინი**.

„ამხანაგებო,—სთქვა ამხ. სტალინმა,—რაც საჭირო იყო, უკვე ითქვა. მეტს და უკეთეს სიტყვებს ველარ იტყვი. გაუმარჯოს ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავს! გაუმარჯოს მსოფლიო ოქტომბერს!" კვლავ მხურვალე ხანგრძლივი ოვაციები.

ტრიბუნაზე გამოდის ამხ. **ვოროშილოვი**. „განვლილი ათი წელი, — ამბობს იგი, იყოფა ორ თითქმის თანასწორ ნაწილად. ამ ათი წლის პირველ ნახევარში ჩვენ გმირულად ვიბრძოდით და ვიმარჯვებდით. მეორე ნახევარში ჩვენ ვაშენებთ ჩვენს მეურნეობას და საძირკველი ჩაუყარეთ სოციალისტურ სახელმწიფოს. ეხლა ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ პერიოდში, როცა საფრთხე ელის ჩვენს მშენებლობას. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ თუ ოქტომბრის რევოლიუციის მეორე ათი წლის განმავლობაში გვაიძულებენ მოვკიდოთ ხელი იარაღს, ამ ათი წლის პირველ ნახევარში კვლავ მედგრად ვიბრძოლებთ ჩვენი წითელი საბჭოთა კავშირის ფარგლების გარეთ, ხოლო მეორე ნახევარში განვკურნავთ ბრძოლაში მიღებულ ჭრილობებს და განვაგრძობთ შემოქმედებით აღმშენებლობით მუშაობას მთელი მსოფლიოს სოციალისტური მეურნეობის საფუძველზე".

ამხ. რიკოვის, სტალინის და ვოროშილოვის სიტყვების შემდეგ ინტერნაციონალის სიმღერა.

მოსკოვის საბჭოს სხდომა დამთავრდა პიონერთა გამოსვლით, რომელნიც მოსკოვის პროლეტარ ბავშვთა სახელით მიესალმნენ კრებას.

სხდომა დაიხურა ინტერნაციონალის სიმღერით. (ადს).

წითელ მოედანზე

მოსკოვი, 9 ნოემბერი. 7 ნოემბერს მოსკოვში გაიმართა გრანდიოზული დემონსტრაცია. დილის 7 საათიდან აურაცხელმა ხალხმა იწყო დენა ოქტომბრის დღესასწაულის ცენტრისაკენ —წითელ მოედნისაკენ. წითელი მოედანი განსაკუთრებით საზეიმოდ არის მორთული. ლენინის აკლდამის ორთავე მხარეზე კრემლის კედლიდან ჩამოფენილია წითელი ტილოები, რომლებზედაც აღწერილია პროლეტარული რევოლიუციის უმთავრესი მომენტები ათი წლის განმავლობაში. აკლდამის იქით, ორ ტილოზე აღბეჭდილია ციფრების მწკრივები, რომელნიც აღნიშნავენ საკავშირო კომპარტიის და ახალგ. ლენ. კომ. კავშირის რიცხვს საბჭოთა რესპუბლიკებში.

მოპირდაპირე მხარეზე კედლების გასწვრივ ბრწყინავს დიდი ასოებით აღბეჭდილი ლოზუნგი: „1917 წლის ოქტომბერში საფუძველი ჩაეყარა მსოფლიო ისტორიის ახალ ეპოქას", და აგრეთვე სხვა ლოზუნგები.

დილის 8 ნახ. საათზე მოედანი გაივსო ჯარის ნაწილების მწყობრი რიგებით. აკლდამის მახლობლად იმყოფება დიპლომატიური კორპუსი. სამხედრო-საზღვაო კომისარი ამხ. ვოროშილოვი ესალმება ჯარს და ულოცავს ოქტომბრის ათი წლის თავს, რის საპასუხოდ გაისმის მხურვალე ვაშა.

დილის ცხრა საათზე იწყება ჯარების აღლუმი. აღლუმს იღებს ამხ. **კალინინი**, სამხედრო-რევოლიუციონურ საბჭოს წევრთა თანხლებით. ორკესტრი განუწყვეტლივ უკრავს ინტერნაციონალს. ამხ. კალინის მისალმებაზე ჯარის ნაწილები ვაშას ძახილით უპასუხებენ. ამის შემდეგ იხსნება მიტინგი. აკლდამის ტრიბუნაზე არიან ამხ. **სტალინი, ბუხარინი, უგლანოვი, კალინინი** და სხ.

საკავშირო კომპარტიის მოსკოვის კომიტეტის სახელით მუშებსა და ჯარის ნაწილებს ესალმება ამხ. **უგლანოვი**.

„ოქტომბრის რევოლიუციის მეთერთმეტე წელში,—ამბობს ამხ. უგლანოვი,—საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი განაგრძობს თავის საქმეს და გააღრმავებს პროლეტარიატის მონაპოვარს. მე დარწმუნებული ვარ, რომ საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით შეასრულებს ლენინის ანდერძს და კიდევ უფრო მეტად განამტკიცებს პროლეტარულ სახელმწიფოს".

შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. **კალინინმა**.

„მუშათა კლასმა,—ამბობს ამხ. კალინინი—ოქტომბრის გამარჯვება მოიპოვა ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ, დიდი მსხვერპლის გაღებით. ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავს ჩვენ ვხვდებით იმ პირობებში, როცა გაჩაღებულია სოციალისტური მშენებლობა მრავალი მილიონიან მუშათა და გლეხთა მონაწილეობით. საბჭოთა კავშირის ყველა მიღწევები არის ამავე დროს მთელი მსოფლიოს ჩაგრულთა მიღწევები. ოქტომბრის ათი წლის თავის იუბილეის დღეს ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ მიღწეული წარმატებანი საბჭოთა კავშირის მუშებსა და გლეხებს მისცემს ძალას და ენერგიას ახალ, კიდევ უფრო მნიშვნელოვან წარმატებათა მიღწევისათვის".

ამხ. კალინინის სიტყვას ფარავს ვაშას ძახილი და ზარბაზნების სალიუტი.

საკავშირო კომპარტიის ცეკას სახელით სიტყვა წარმოსთქვა ამხ. **ბუხარინმა**, რომელმაც, ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვების ათი წლის თავი მიულოცა ყველა მუშებს, გლეხებს, მამაც წითელ არმიას, საერთაშორისო მუშათა კლასს და მთელი მსოფლიოს ყველა ჩაგრულ ერებს.

„ათი წლის წინედ,—ამბობს ამხ. ბუხარინი,— მუშათა კლასმა საკავშირო კომპარტიის ხელმძღვანელობით გლეხებთან ერთად დაამხო კაპიტალის ბატონობა. ათი წლის წინედ მუშათა კლასი გახდა ქვეყნის ბატონ-პატრონი, საერთაშორისო რევოლიუციის დასაყრდენი ძალა. ჩვენი საუკეთესო მებრძოლები კვდებიან პროლეტარული საქმისათვის, მუშათა კლასის დიქტატურის გამარჯვებისათვის. ვდღესასწაულობთ რა ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავს, ჩვენ ვეუბნებით ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ოქტომბრის მონაპოვარი: „ჩვენ არ დავმშვიდდებით, სანამ არ ავაშენებთ სოციალიზმს. და თუ მტერი გადმოლახავს ჩვენს საზღვრებს, რათა დაარღვიოს ჩვენი მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობა მაშინ წითელი არმია იშიშვლებს თავის მახვილს და ეკვეთება კაპიტალისტურ მსოფლიოს. გაუმარჯოს სოციალისტურ მშენებლობას! გაუმარჯოს ჩვენს ბრძოლას!".

კომინტერნის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. **გალახერმა**.

სიტყვების დამთავრების შემდეგ დაიწყო ჯარების მსვლელობა, რომელიც 1 საათზე მეტი გაგრძელდა. სამხედრო აღლუმში პირველად მიიღეს მონაწილეობა თურქესტანის, ყაზახისტანის და კავკასიის ეროვნული ჯარების ნაწილებმა, რომელთაც მხურვალედ მიესალმენ ყველა დამსწრენი.

აღლუმის დამთავრების შემდეგ დაიწყო დემონსტრაციის მსვლელობა. სამხედრო ორკესტრები ყველა მოედნებზე ასრულებდენ მარშს. აკლდამის ტრიბუნაზე დემონსტრანტებს შეხვდენ საკავშირო კომპარტიის ცეკას კომინტერნის წევრები, უცხოელი სტუმრები და სამხედრო-რევოლიუციონურ საბჭოს წევრები.

აღფრთოვანებით ესალმებიან მუშათა რაზმებს, რომელნიც მწყობრი რიგებით მიიმართებიან. გაისმის ხმები: „ვაშა პროლეტარულ მსროლელთ და შეიარაღებულ პროლეტარიატს!".

მსვლელობა დიდხანს გაგრძელდა. დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 1 მილიონზე მეტმა კაცმა.

დემონსტრაციის დამთავრებისას წითელ მოედანზე აკლდამის მახლობლად თქარა-თქურით ჩაიარა კავკასიის დივიზიის ერთ-ერთი ლეგიონის ცხენოსანმა რაზმმა, შემდეგ ლეგიონი დამწკრივდა ტრიბუნის პირდაპირ. ლეგიონს სიტყვებით მიმართეს ამხ. **ბუხარინმა, კალინინმა** და **ვოროშილოვმა**.

„ამხანაგო კაზაკებო, აფხაზებო, დაღესტნელებო და ჩრდილო-კავკასიის ყველა დანარჩენ ხალხების წარმომადგენელნო,—სთქვა ამხ. ბუხარინმა. თქვენ დღეს საბჭოთა კავშირის დედაქალაქში თვითონ დაინახეთ, რომ კავშირის ნამდვილი ბატონ-პატრონი არიან მუშები და გლეხები. თქვენ ყველანი, სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენელნი ჩამოხვედით აქ, როგორც ერთი ოჯახის წევრნი, გაუფრთხილდით ამ ეროვნულ მთლიანობას. გახსოვდეთ, რომ ჩვენი წარმატების საწინდარია ყველა ეროვნებათა მეგობრობა და შეთანხმებული მუშაობა. ჩვენ ეხლა ჩვენს ამოცანად ვისახავთ, რომ ყველგან, ყველა მიყრუებულ კუთხეებში ავაღორძინოთ მრეწველობა, სასოფლო მეურნეობა, ელექტრონის სინათლით გავანათოთ ყოველი სოფელი, ყოველი აული. ჩვენ ამას მივაღწევთ, თუ სხვადასხვა ეროვნებათა მუშები და გლეხები, რომელნიც მოსახლეობენ ჩვენს კავშირში, მეგობრულად იცხოვრებენ. ნება მიბოძეთ გამოვსთქვა ღრმა რწმენა, რომ თუ თავს დაგვესხმიან იმპერიალისტები, წითელი ცხენოსნები თავისი სასიკვდილო იარაღით და ცხენებით ეკვეთებიან მტრებს".

ამხ. **კალინინმა** თავის სიტყვაში ცხენოსნების ყურადღება მიაქცია საბჭოთა კავშირის ცაკის ოქტომბრის მანიფესტის მნიშვნელობაზე.

ამხ. **ვოროშილოვი** კავკასიის ლეგიონის სახით მთელ წითელ კავალერიას ულოცავს იმ წარმატებებს, რომელნიც საიუბილეო აღლუმზე იქნა გამოაშკარავებული.

საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა ლეგიონის უფროსმა. საღამოს რვა საათზე გაიარა დემონსტრაციის უკანასკნელმა ნაწილმა და გაერთიანებულმა სამხედრო ორკესტრმა.

ოპოზიციის გამოსვლა

მოსკოვი, 9 ნოემბერი. ოპოზიცია შეეცადა გამოსულიყო მოსკოვის პროლეტარიატის დემონსტრაციის დღეს, მაგრამ მისი ცდა სრული მარცხით დამთავრდა. მოსკოვის პროლეტარიატის მრავალ რიცხოვან დემონსტრაციაში სრულიად შეუმჩნევლად ჩაიარა „უჯარო გენერლების"—ოპოზიციონერების უბადრუკმა გამოსვლებმა. რამოდენიმე ადგილას, სადაც ტროცკისტული ოპოზიციის „ბელადები" შეეცადენ მიექციათ დემონსტრანტების ყურადღება, მათ ხვდებოდენ დაცინვით და სტვენით. ისინი მაშინვე იმალებოდენ.

ზოგიერთი ოპოზიციონერის ბინებიდან, როგორც მაგალითად, სმილგას, ელცინის და კასპაროვის ბინიდან საბჭოთა მეორე და მეოთხე სახლში გამოფენილ იქნა ტროცკის და ზინოვიევის სურათები, და აგრეთვე პლაკატები წარწერით: „გაუმარჯოს რევოლიუციის ბელადებს ტროცკის და ზინოვიევს". მაგრამ წითელი მოედნისაკენ მიმავალი მუშათა და წითელ არმიელთა დემონსტრაციის მწყობრი რიგები, აღშფოთებული „ბელადების" ცდით, რომ ათი წლის თავის დღესასწაული გამოეყენებიათ თავისი მიზნებისათვის, მაშინვე ხევდენ პლაკატებს და სურათებს.

მახოვაიასა და ტვერის ქუჩის კუთხეში ყოფილი სასტუმრო „პარიზის" აივანზე იდგენ პრეობრაჟენსკი, სმილგა და ალსკი. ისინი გაიძახოდენ ოპოზიციონურ ლოზუნგებს და განსაკუთრებით გულმოდგინედ გაიძახოდენ: „გაუმარჯოს ტროცკის და ზინოვიევს!".

დემონსტრანტები მათ უპასუხებდენ სტვენით და ძახილით: „ძირს, შორს ჩვენგან!" მიმავალ რკინის გზელთა რიგებიდან გამოეყო ამხანაგების ჯგუფი, რომელნიც ავიდენ აივანზე, მოგლიჯეს პლაკატები და დაჟინებით მოსთხოვეს ოპოზიციონერებს წასულიყვნენ აივნიდან. ოპოზიციონერებს განუწყვეტლივ უშენდენ დამპალ ვაშლებს და კალოშებს დემონსტრანტების სტვენისა და ხანგრძლივი ხმაურობის გამო ისინი იძულებული გახდენ დაეტოვებიათ აივანი.

ალექსანდრეს მოედანზე შეეცადა გამოსულიყო „თვითონ" ტროცკი, რომელიც იქ ავტომობილით მივიდა. მისი გამოსვლის ცდამ გამოიწვია ისეთი ერთსულოვანი და მხურვალე პროტესტი, რომ მან ვერ მოახერხა ვერც ერთი ფრაზის თქმა და იძულებული გახდა სასწრაფოდ დაეტოვა ალექსანდრეს მოედანი. ისმოდა ხმები: „გამცემი", „გამყიდველი!".

ტროცკის, კამენევის და მურალოვის ავტომობილს სემანოვის დიდ მოედანზე ასეთივე სტვენითა და აღშფოთებით შეხვდენ მუშები, რის გამოც ისინი იძულებული გახდენ უკან მოებრუნებინათ ავტომობილი და საბოლოოდ დაეტოვებიათ დემონსტრაცია.

ოპოზიციის უბადრუკი გამოსვლები, რითაც მათ გადალახეს პარტიისა და მუშათა კლასისადმი ლოიალობის ყოველგვარი ფარგლები, სასტიკი მარცხით დამთავრდა. ოპოზიციონერთა ჯგუფმა გამოაშკარავა, რომ მან საბოლოოდ გასწყვიტა კავშირი მუშებთან, რომელთაც არაჩვეულებრივი ერთსულოვნებით იდღესასწაულეს თავისი დიადი გამარჯვების ათი წლის თავი (ადს).

დღესასწაული ლენინგრადში

ლენინგრადი, 9 ნოემბერი. მიუხედავად ღრუბლიანი დღისა, დილიდანვე სხვადასხვა რაიონებიდან და განაპირა კუთხეებიდან ლენინგრადის ქუჩებს მოაწყდა ასეული ათასი მუშა და მუშა-ქალები. ურიცკის მოედანი ხალხით აივსო. სანაპირო ქუჩებზე პროცესია რამოდენიმე ვერსის მანძილზე იყო გაჭიმული. დაუსრულებელი რიგებით მოძრაობდენ საბარგო და მსუბუქი ავტომობილები, სავსე მოძრავი სამზარეულოები, პატარა დაზგები და მანქანები, რომელნიც ხალხს უჩვენებდენ ქარხნების ყოველდღიურ მუშაობას. დემონსტრანტების კოლონები გვერდს უვლიდენ ურიცკის მოედანზე აღმართულ ტრიბუნას, საიდანაც ხალხს მისასალმებელ სიტყვებს ეუბნებოდენ ამხ. **რიკოვი**, [illegible], **კომაროვი** და სხვები. საპასუხოდ გაისმოდა ხალხის ძლიერი „ურა". ტრიბუნის წინ გაიარეს „ავრორას" მეზღვაურებმა, შეიარაღებულმა ახალგაზრდობამ, ქალთა სანიტარულმა რაზმებმა, ძველ წითელ გვარდიელების რაზმებმა და სხვა. დაახლოვებით ლენინგრადის დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 800 ათასმა კაცმა (ადს).

ლენინის ძეგლი

ლენინგრადი, 9 ნოემბერი. 6 ნოემბერს მოხდა ლენინის ძეგლის გახსნა სმოლნის წინ. კვარცხლბეკზე სრული ტანით სდგას ლენინი, რომელსაც ხელი გაწვდილი აქვს ვიბორგის მხარეზე (ადს).

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

როგორ ჩატარდა ოქტომბრის დღესასწაული

საბჭოთა კავშირში

ლენინის მუზეუმი

ლენინგრადი, 9 ნოემბ. ბინაზე, სადაც ლენინი ცხოვრობდა 1917 წლის ზაფხულში, მოწყობილია ლენინის მუზეუმი. სახლზე მიკრულია მარმარილოს დაფა შემდეგი წარწერით: „ამ სახლში 1917 წლის 16 აპრილიდან მილიუკოვას და კერენსკის ბატონობის დროს ცხოვრობდა რუსეთის და მსოფლიო რევოლიუციის უკვდავი ბელადი, საბჭოების შემქმნელი, კომინტერნის ორგანიზატორი ვ. ი. ულიანოვი-ლენინი".

ბინა შეკეთებულია და მორთულია იმ ავეჯით და აგრეთვე სხვა ნივთებით, რომელიც იქ იყო ლენინის დროს (ადს).

ჰანრი ბარბიუსის წერილი

მოსკოვი, 8 ნოემბერი. საბჭოთა მწერლობის ფედერაციის მიერ დღეს გამოშვებულ „ოქტომბრის გაზეთში" დაბეჭდილია ამხ. ბარბიუსის წერილი, რომელშიაც ნათქვამია:

„როდესაც დღეს დილით მივდიოდი წითელ მოედანზე, მე ვიცოდი, რომ დავესწრებოდი საზეიმო ცერემონიალს, მაგრამ მე წარმოდგენილი არ მქონდა მისი ასეთი ძლევამოსილობა. მე ვხედავდი, როგორ მოაბიჯებდა წითელი არმია—ეს შეურყეველი კედელი, რომლის იქითაც კეთდება შრომის რევოლიუციის დიადი საქმე. ჩემი ენტუზიაზმი, აღტაცება და პატივისცემა არ შენელებულა რამოდენიმე საათის განმავლობაში, როცა ჩემ წინ მიდიოდენ დიდებული წითელი ჯარის კაცები და უფროსები—მსოფლიო რევოლიუციის უბადლო მჭედლები.

აღფრთოვანებისაგან მე ვყვიროდი მათ დანახვაზე. 10 ათასი კაცის ძახილი გაისმოდა მათ საპატივცემულოდ. რადიო-აპარატის მაუწყებლებს გადაჰქონდათ ეს ყვირილი წითელი მოედნიდან ოთხი მიმართულებით მთელს მსოფლიოში.

შემდეგ დაიწყო ხალხის მსვლელობა. ეს მღელვარე ნაკადი, რომელსაც დენა დილის 11 საათზე დაიწყო, არ შეჩერებულა საღამოს 7 საათამდე—იმ წუთამდე, როცა მე ამ სტრიქონებს ვსწერ, მიუხედავად [illegible] სიბნელისა. დღევანდელი ზეიმი წარმოადგენს დიდებულ გიგანტურ ძალების,—მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს შეუბღალავ სალების დაუვიწყარ სანახაობას. იგი სტოვებს დიდებულ, ძლიერ შთაბეჭდილებას, იგი გვაძლევს წარმოდგენას, თუ რა არის სიხარული. საბჭოთა კავშირისადმი მტრულად განწყობილ მთავრობების სახელს, იფთ „თოლვაგეთა" კარიკატურები. მრავალი მორთული ავტომობილები და მოძრავი დეკორაციები სტოვებენ მხიარულ ბრწყინვალების და აზვირთებულ მხიარულების შთაბეჭდილებას. ეს ნიშნავს იმას, რომ უდიდესი დემონსტრაცია ზეიმობს გამარჯვებას, რომ ეს, მართლაც, ბედნიერი დღესასწაულია, რომელიც ფეთქავს ცეცხლითა და ვნებით და, რომელსაც დღესასწაულობს თავისუფალი ხალხი".

ანრი ბარბიუსი. (ადს).

კოოპერაციის მონაწილეობა დღესასწაულში

მოსკოვი, 9 ნოემბერი. კავშირთა სახლში გამგეობების, კოოპერატიულ წრეების და კუთხეების შეკრება მოსკოვისა და მოსკოვის გუბერნიის კოოპერატიული აქტივი სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირის ხელმძღვანელთან ერთად. საბჭოთა კოოპერაციის 10 წლის მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა „ცენტროსოიუზის" გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ლიუბიმოვი.

— უდიდესი დაბრკოლებები გადალახა მუშათა კლასმა განვლილი წლების განმავლობაში,—განაცხადა ამხ. ლიუბიმოვმა. სამაგიეროდ მეათე წლის თავზე მას აქვს ისეთი მიღწევები, რომლითაც მას შეუძლია იამაყოს. მთელი რიგი ციფრებით ამხ. ლიუბიმოვი ასურათებს სახალხო მეურნეობის და, კერძოდ, კოოპერაციის დღევანდელ მდგომარეობას. 15.200.000 წევრი, 12,5 მილიარდი მან. ბრუნვა, 600.000.000 მანეთი საკუთარი თანხა—ეს არის სამომხმარებლო კოოპერაციის მიღწევები პირველი ათი წლის განმავლობაში. კოოპერაციამ უდიდესი მუშაობა ჩაატარა კულტურულ-საგანმანათლებლო ფრონტზე. [illegible] საგამომცემლო მუშაობაზე დახარჯულია 1.200.000 მანეთი, ბავშთა მოწყობაზე 8—9 მილიონი მანეთი. ამასთან ერთად მომხსენებელი აღნიშნავს კოოპერაციის ნაკლულოვანებას.

აღფრთოვანებით შეხვდა კრება ინგლისის კოოპერატიული ორგანიზაციების წარმომადგენელს რივოს, რომელიც მიესალმა საბჭოთა კოოპერატიულ ორგანიზაციებს. რივოს საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა ქარხანა „სერპი მოლოტის" მუშამ. საფრანგეთის რევოლიუციონური კოოპერატივების სახელით თავის შთაბეჭდილებები საბჭოთა კავშირის შესახებ კრებას გაუზიარა ბაფერომ. შემდეგ გამოვიდნენ ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის და ფინეთის წარმომადგენელნი. მქუხარე ტაშის ცემით შეხვდა კრება ჩეხო-სლოვაკიის დელეგატ-ქალს. ინგლისის წარმომადგენელმა ქალმა ფორსტერმა ქალთა კოოპერატიულ აქტივს გადასცა პატარა წითელი დროშა, რომელიც საჩუქრად გამოუგზავნია ინგლისის სანახშირო რაიონების მუშა-ქალებს. კრებამ მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა პარტიის ცეკას, ცაკსა და კომინტერნს.

გერმანიის კომპარტიის წერილი

მოსკოვი, 9 ნოემბ. საკავშირო კომპარტიის ცეკამ გერმანიის კომპარტიის ცეკასაგან მიიღო მისასალმებელი წერილი, რომელშიაც ნათქვამია:

„თქვენი სახელოვანი რევოლიუციის ათი წლის თავზე ყველა ქვეყნების ბრძოლაში გამობრძმედილი მილიონი პროლეტარები მუხლს იდრეკენ უკვდავ მებრძოლთა საფლავების წინაშე, ლენინის ცხედრის წინაშე, ლენინის, რომელიც არის მუშათა კლასის ისტორიული მისიის სიმბოლო და განსახიერება. 1917 წლის ოქტომბრის დღეები ღრმად აღბეჭდილია ევროპის მუშების შეგნებაში. იმპერიალისტურ ხოცვა-ჟლეტის ბნელ ღამეში თქვენი ოქტომბრის ნათელ შუქმა მუშათა მასებს და დაჩაგრულ ერებს გზა გაუკვლია განთავისუფლებისაკენ. ოქტომბრის ცეცხლში გამოიჭედა პროლეტარული ბრძოლის ის იარაღი, რომელმაც დაამსხვრია ბურჟუაზიის ბატონობა. ამ ცეცხლში წარმოიშვა პროლეტარიატის ბატონობის ის ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს სოციალიზმის აღმშენებლობას. გერმანიის მრავალ მილიონ მუშების გულში არ არსებობს სხვა სამშობლო, გარდა სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირისა. ლენინმა მუშათა კლასს მისცა ბრძოლის ლოზუნგები საკუთარი ბურჟუაზიის დასამხობათ, იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომათ გადასაქცევათ. საბჭოთა კავშირთან ომის შემთხვევაში მილიონი მუშები ჯარისკაცის ფარაჯაში და სამხედრო ქარხნებში იბრძოლებენ იმპერიალიზმის დასამხობათ, რევოლიუციონურ არმიების გამარჯვებისათვის. ამას ჩვენ მტკიცედ ვაცხადებთ წითელი ოქტომბრის ათი წლის თავზე. თქვენ ვერასოდეს ვერ გაიმარჯვებდით, ვერასოდეს ვერ შესძლებდით კონტრ-რევოლიუციის განიარაღებას, სოციალისტური აღმშენებლობის უზრუნველყოფას, მჭიდრო რიგებით რომ არ ებრძოლა თქვენს პარტიას ლენინურ მთლიანობის ლოზუნგის ქვეშ. თუ რუსეთის რევოლიუციის ათი წლის თავზე ტროცკიზმი ცდილობს ძირი გამოუთხაროს პარტიის ამ ბრძოლაში გამობრძმედილ მთლიანობას, ჩვენ მოვალეობათ ვთვლით მუდამ განვაცხადოთ: ტროცკი, რომელიც რევოლიუციის გამარჯვების შემდეგ მუდამ იბრძოდა ოქტომბრის რევოლიუციის პრინციპების და ბოლშევიკური პარტიის რევოლიუციონურ სტრატეგიის წინააღმდეგ, კვლავ ცდილობს დეზორგანიზაცია შეიტანოს ბოლშევიზმში, დასავლეთ ევროპაში ტროცკიზმი უკავშირდება წვრილ-ბურჟუაზიულ რენეგატებს, რომელნიც ხელს უშლიან კომუნისტური პარტიების ბრძოლას, რომელნიც ცილს სწამებენ საბჭოთა კავშირს და რომელთაც გამოაშკარავეს, რომ ისინი არიან ბურჟუაზიის აგენტები მუშათა კლასის ბანაკში.

რუსეთის რევოლიუციის ათი წლისთავი არის ლენინიზმის მსოფლიო ზეიმი. ტროცკიზმს არა აქვს ადგილი რევოლიუციონურ პროლეტარიატის რიგებში. ჩვენი პარტიის საუკეთესო სახელით, რომელიც აერთიანებს გერმანიის მუშათა კლასის საუკეთესო ნაწილს, ათეულ ათას გერმანელ კომუნისტების სახელით, რომელნიც გამობრძმედილი არიან სამოქალაქო ომის ქარცეცხლში, ჩვენი კომუნისტური პარტიის სახელით, რომელიც გერმანიის რევოლიუციის ყველა ბრძოლებში ბურჟუაზიის რეფორმისტულ ქოფაკებს წინააღმდეგ პროლეტარიატის პირველ რიგებში იდგა, ფიცს ვსდებთ თქვენს წინაშე: ძმებო და ამხანაგებო, საბჭოთა კავშირის მუშებო! გერმანიის რევოლიუციონური მუშები თქვენს მხარეზე იქნებიან, რაც არ უნდა მოხდეს. დაურღვეველია ისტორიის მიერ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიის და გერმანიის კომუნისტურ პარტიის შორის შექმნილი კავშირი. დაურღვეველია კომუნისტური ინტერნაციონალის ლენინური მთლიანობა. გაუმარჯოს წითელ ოქტომბერს!" (ადს).

მოსკოვის პროფკავშირთა საბჭოს პლენუმი

მოსკოვი, 9 ნოემბერი. 5 ნოემბერს შედგა მოსკოვის პროფკავშირთა საბჭოს გაფართოებული საზეიმო პლენუმი საგუბერნიო განყოფილებათა გამგეობებისა, პროფკავშირთა და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების თანდასწრებით. პლენუმს დაესწრო უცხოეთის მრავალრიცხოვანი დელეგაციები. პლენუმი გახსნა მოსკოვის პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. მიხაილოვმა.

შემდეგ პლენუმმა დიდის ყურადღებით მოისმინა ამხ. ტომსკის მოხსენება შემდეგ თემაზე—პროფმოძრაობის ათი წელი საბჭოთა კავშირში. მოხსენება გაგრძელდა 3 საათს. მომხსენებელმა აღნიშა, რომ ჩვენი პროფკავშირების კლასობრივი სახე ნათლად გამოაშკარავდა ჯერ კიდევ დროებითი მთავრობის დროს, სახელმწიფო თათბირის გახსნის წინ 1917 წ. მოსკოვში. დროებითი მთავრობის ცდაზე, რომ შეეკავშირებია ბურჟუაზია და მოსკოვის პროლეტარიატი, პროფკავშირებმა უპასუხეს ერთსულოვანი საპროტესტო გაფიცვით, რითაც დამტკიცდა, რომ მოსკოვის პროლეტარიატი მზად იყო აქტიური ბრძოლისათვის საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად. ამხ. ტომსკი მოკლედ შეეხო პროფკავშირთა მუშაობას საბჭოთა კავშირის მშვიდობიან და სამხედრო ფრონტებზე, და გაუკეთა ჯამი იმ შედეგებს, რომელნიც მიღწეულ იქნა 10 წლის ბრძოლისა და მშენებლობის განმავლობაში. 1917 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში პროფკავშირებში იყო 1.475.000 კაცი. ამჟამად, 1927 წლის ივლისში პროფკავშირთა წევრების რიცხვი უდრიდა 10.251.000 კაცს. კავშირის პროფმოძრაობა ძლიერ გაიზარდა. სამუშაო ხელფასი (საშუალო) 1927 წლის სექტემბერში შეადგენდა 85 მან. ანუ ომამდე არსებული დონის 125 პროც. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში სამუშაო ხელფასის ზრდა შეადგენს 25 პროცენტს. 1913 წ. სამუშაო დღე ჩვენს ფაბრიკებსა და ქარხნებში საშუალოდ აღწევდა 9 ს. 45 წ.-მდე, 1917 წელში—8 ს. 45 წ.-მდე და 1927 წელში—7 ს. 18 წ.-მდე. ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ სამუშაო ხელფასი იზრდება და სამუშაო დღე განუწყვეტლივ მცირდება. მტკიცდება პროფკავშირთა საფინანსო მდგომარეობა, იზრდება სპეციალური ფონდები. საკავშირო პროფსაბჭოს მრავალ მოწოდებას ამსტერდამის ინტერნაციონალისადმი,—ამბობს შემდეგ ამხ. ტომსკი,—რათა დამყარებულიყო მთლიანი ფრონტი, სრული დუმილით შეხვდენ. ინგლის-რუსეთის კომიტეტის ჩაშლამ ამსტერდამის გმირებს მისცა იმედი იმისა, რომ საბჭოთა კავშირის მუშებს სავსებით ჩამოაშორებენ საზღვარ-გარეთის მუშებისაგან. უჯერებდენ ყოველგვარ ზღაპრებსა და ლეგენდებს საბჭოთა კავშირის შესახებ. საზღვარგარეთის დელეგაციები, რომელნიც ეწვიენ საბჭოთა კავშირს, ევროპისა და ამერიკის მუშათა ფართე მასებს უამბობენ ყოველივე იმას, რაც ნახეს 1927 წლამდე საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა 24 მუშათა დელეგაცია. 1927 წლის განმავლობაში (ოქტომბრის დღესასწაულზე დასასწრებლად ჩამოსული დელეგატების რიცხვის ჩათვლით) ჩამოვიდა 82 დელეგაცია. მოხსენების შემდეგ გამოვიდენ უცხოელი დელეგატები. ლოუტერმა, რომელიც მოსკოვის პროფკავშირებს მიესალმა ინგლისის და ირლანდიის მუშების სახელით, განაცხადა:

„ჩვენ ჩამოვედით აქ, რათა დავამყაროთ მტკიცე კავშირი საბჭოთა და ჩვენი ქვეყნის პროფკავშირთა შორის. ბელადების ჯიუტობა ვერ დაარღვევს ამ კავშირს, რომელიც ნაკარნახევია ჩვენი ქვეყნების მუშათა ინტერესებით და დამყარებულია სიმპატიებზე საბჭოთა კავშირის მუშათა კლასისადმი".

გერმანიის მესამე მუშათა დელეგაციის სახელით სიტყვა წარმოსთქვა ფრეიდერბერგმა, რომელიც გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან იქნა გამორიცხული გერმანიის პირველ მუშათა დელეგაციაში მონაწილეობისათვის. იგი ამბობს:

„ომს საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ ჩვენ განვიხილავთ, როგორც ომის გამოცხადებას მთელი საერთაშორისო პროლეტარიატისადმი. ჩვენი დელეგაციის სახელით ვაცხადებ: „გაუმარჯოს გერმანიის და საბჭოთა კავშირის მუშების ერთიან ფრონტს, რომელიც ყოველ წუთში მზად იქნება შეებრძოლოს ბურჟუაზიას, როგორც კი შეეცდება იგი თავს დაესხას საბჭოთა კავშირს".

ნორვეგიის, შვეციის და დანიის მუშათა დელეგაციების სახელით საბჭოთა მუშათა კლასს მიესალმა მერქი. მან ამ ქვეყნების 50.000 მუშის სახელით გამოსთქვა იმედი, რომ ნორვეგიის, შვეციის და დანიის მუშები წავლენ საბჭოთა კავშირის გზით და ჩაიგდებენ ხელში ძალაუფლებას.

საფრანგეთის მუშათა დელეგაციის წარმომადგენელი კოლომარი აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირი ერთად ერთი სამშობლოა ყველა ქვეყნების მშრომელთათვის.

პლენუმმა მოისმინა აგრეთვე ავსტრიის, ირლანდიის და ბელგიის დელეგაციების წარმომადგენლების მოხსენება. შემდეგ პლენუმმა მიიღო რეზოლიუცია, რომელიც მოსკოვის მუშებს მოუწოდებს უფრო მჭიდროთ დაირაზმონ საკავშირო კომპარტიის (ბ) ირგვლივ და განაგრძონ ბრძოლა პროფმოძრაობის მთლიანი ფრონტისათვის (ადს).

ესკადრილია „ჩვენი პასუხი ჩემბერლენს"

თვითმფრინავების გადაცემა სამხედრო-საჰაერო ძალებისათვის

მოსკოვი, 9 ნოემბერი. მოსკოვის აეროდრომზე მოხდა წითელი არმიის სამხედრო საჰაერო ძალებისათვის „ჩვენი პასუხი ჩემბერლენს"-ის თვითმფრინავების საზეიმო გადაცემა. თვითფრინავები აგებულია საბჭოთა კავშირის მშრომელთა მიერ შეგროვილ თანხებით. დილის 11 საათზე აეროდრომზე გამოცხადდენ საბჭოთა კავშირის სამხედრო-რევოლიუციონური საბჭოს წევრები და დაათვალიერეს 30 ჩამწკრივებული თვითმფრინავი. მიტინგი გახსნა საბჭოთა კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის თავმჯდომარეს მოადგილემ ამხ. უნშლიხტმა, რომელმაც განაცხადა შემდეგი:

„დღეს საბჭოთა კავშირის მშრომელნი მთელი მსოფლიოს თვალწინ საჰაერო ფლოტს გადასცემენ 35 თვითმფრინავს,—30-ს მოსკოვში და 5 ლენინგრადში. გარდა ამისა, წითელი არმიის 10 წლის თავისთვის, თავდაცვის კვირაში შეგროვილი ფულით აგებული იქნება კიდევ ახალი თვითმფრინავები და ტანკები ჩვენი შეიარაღებული ძალებისათვის".

მქუხარე ტაშისა და ორკესტრის გუგუნში უნშლიხტმა თავდაცვა-ავიაქიმის სახელით სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოს წარმომადგენელს ამხ. ბუბნოვს გადასცა სიგელი 12 თვითმფრინავებზე. საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წევრმა ამხ. ბუბნოვს გადასცა სიგელი 18 თვითფრინავზე, რომელიც აგებულია პროფკავშირების თანხებით.

სიგელების ჩაბარებისას ამხ. ბუბნოვმა განაცხადა:

„წითელი არმია და წითელი ფლოტი, ამ ახალ თვითფრინავებს იბარებს იმ მომენტში, როცა ომის საშიშროება შესამჩნევად გაძლიერდა. ჩვენი წითელი საჰაერო ფლოტი ჯერ კიდევ ახალგაზრდაა, მაგრამ ჩვენ თამამად შეგვიძლია ვუთხრათ მთელს მსოფლიოს, რომ იგი დგას იმ მოთხოვნილების სიმაღლეზე, რომელიც შეიძლება წაყენებული იქნეს მთელი ქვეყნის საუკეთესო კაპიტალისტური საჰაერო ფლოტების მიმართ". თავის მხრით, ამხ. ბუბნოვმა ჩაბარებული სიგელები გადასცა საბჭოთა კავშირის სამხედრო-რევოლიუციონურ საბჭოს წევრს—წითელი არმიის საჰაერო ძალების უფროსს ამხ. ბარანოვს, რომელმაც სიგელების ჩაბარების დროს განაცხადა, რომ წითელი მფრინავები არა თუ მზად არიან მთელი თავისი ძალები გაიღონ საჰაერო ფლოტის მშენებლობისათვის, არამედ, საჭიროების დროს, ისინი არ დაზოგავენ საკუთარ სიცოცხლეს ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა დასაცავად.

შემდეგ გამოვიდნენ ცალკე რესპუბლიკების და ცალკე ერების მრავალრიცხოვანი წარმომადგენელი. თურქმენისტანიდან სიტყვა წარმოსთქვა ამხ. საპაევმა. უკრაინიდან, რომლის სახელით გადაცემულია საკოსა და ვანცეტის სახელობის თვითმფრინავი, სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ზადაროჟნიმ, გაზეთ „ბაკინსკი რაბოჩი"-ის სახელით, რომელმაც გადასცა სტეფანე შაუმიანის და ალიოშა ჯაფარიძის სახელობის თვითმფრინავი, გამოვიდა ამხ. ბოჟენკოვი, უზბეკისტანიდან, რომლის სახელით გადაცემულია თვითმფრინავი „კზილ უზბეკისტან"-ი ამხ. დაუთ კარიმოვი და სხვა.

დასასრულ სიტყვები წარმოსთქვეს ოქტომბრის დღესასწაულზე დასასწრებლად ჩამოსულ ინგლისის მუშათა დელეგაციის და ირლანდიის მუშათა დელეგაციების წარმომადგენლებმა ლოუტერმა და კონვეიმ.

„თვითმფრინავების დღევანდელმა გადაცემამ და გუშინდელმა ალლუმმა,—განაცხადეს მათ,—დაგვარწმუნეს, რომ საბჭოთა კავშირის მშრომელთ მოუმზადებიათ საიმედო პასუხი ინგლისის იმპერიალისტურ გამოსვლისათვის. ჩვენი ამოცანაა, რომ სახლში დაბრუნებისას გავილაშქროთ ჩვენი მთავრობის იმპერიალისტური ტენდენციების წინააღმდეგ და ვიბრძოლოთ კაპიტალისტური წესწყობილების დასამხობად, კაპიტალიზმის დამხობის შემდეგ ჩვენ შევძლებთ მთელი ჩვენი ძალები და ძალღონე შევწიროთ მშვიდობიან სოციალისტურ მშენებლობას.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის მუშათა კლასს!

გაუმარჯოს ინგლისის მუშათა კლასს"!

მიტინგის დამთავრების შემდეგ დაიწყო ფრენა შეერთებულ საავიაციო რაზმებისა, რომელიც ჰაერში ჰფანტავდენ სპეციალურ ფურცლებს (ადს).

დარბაზობა ამხ. ჩიჩერინთან

მოსკოვი, 9 ნოემბერი. საბჭოთა ხელისუფლების 10 წლის თავის შესრულების გამო საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. ჩიჩერინი ინახულეს და 10 წლის თავი მიულოცეს სპარსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალი-გოლი-ხან ანსარიმ, გერმანიის ელჩმა ბროკდორფ-რანცაუმ, საფრანგეთის ელჩმა ჟან ერბეტამ, ოსმალეთის ელჩმა ზეკია-ბეიმ, იტალიის—ჩერჩუტიმ, იაპონიის—ტანაკამ, ლატვიის, ავსტრიის, შვეციის, დანიის, ნორვეგიის, მექსიკის, საბერძნეთის, აფგანის, ესტონიის, პოლონეთის, ფინეთის ელჩებმა, მონგოლეთის და ტუვინის სახალხო რესპუბლიკის სრულუფლებიანმა წარმომადგენლებმა, ჩინეთის და სპარსეთის საქმეების რწმუნებულებმა, ჩეხო-სლოვაკიის რესპუბლიკის წარმომადგენელმა და მოსკოვში ზეიმზე დასასწრებლად ჩამოსულმა ოსმალეთის დელეგაციამ.

გარდა ამისა აფგანის ელჩმა მირზა მახმედმა ამხ. ჩიჩერინს გადასცა აფგანისტანის ფადიშახისგან კალინინის სახელზე გამოგზავნილი მისალოცი დეპეშა. მონგოლეთის რესპუბლიკის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ბოიან ჩულგანმა ამხ. ჩიჩერინს გადასცა მონგოლეთის ხალხისა და მთავრობის სახელით გამოგზავნილი წერილობითი მილოცვა. (ადს) ხამემდმა ამხ. ჩიჩერინს გადასცა აფგანის ფადიშახისგან მისალოცი დეპეშა. აფგანისტანის ფადიშახისგან კალინინის სახელზე გამგზავნილი მისალოცი დეპეშა.

უცხოეთში

შეერთ.-შტატებში

დაიცავით საბჭ. კავშირი

ნიუ-იორკი, 8 ნოემბერი. ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავის აღსანიშნავად „უორკერს პარტიამ" შაბათს, კვირას და ორშაბათს მთელს შეერთ. შტატებში მოაწყო მიტინგები და საზეიმო კრებები. დემონსტრაციებში მონაწილეობა მიიღეს ნიუ-იორკის, ჩიკაგოს და სხვა ქალაქების მემარცხენე პროფკავშირებმა.

უორკერს პარტიამ გამოაქვეყნა მოწოდება სათაურით: „დაიცავით საბჭოთა კავშირი"

მიტინგები ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 8 ნოემბერი. ოქტომბრის ათი წლის თავის გამო ნიუ-იორკში გაიმართა სამი მასიური მიტინგი. ასეთივე მიტინგები გაიმართა ბოსტონში, ფილადელფიაში, ჩიკაგოში, სანფრანცისკოში, სიეტლში და მთელ რიგ სხვა ქალაქებში.

ორატორები ხაზგასმით აღნიშნავდენ საბჭოთა წესწყობილების მიღწევებს და მოუწოდებდენ საბჭოთა კავშირის დაცვისაკენ.

„დეილი უორკერ"-მა, „ფრეიჰეიტ"-მა და სხვა კომუნისტურმა ორგანოებმა გამოუშვეს სპეციალური ნომერი ილიუსტრაციით. ზოგიერთი ბურჟუაზიული გაზეთები ათი წლის თავს უძღვნიან მოწინავე წერილს. (ადს).

გერმანიაში

დემონსტრაციები ბერლინში

ბერლინი, 8 ნოემბერი. ბერლინის მშრომელთა დემონსტრაციამ, რომელიც მოხდა 6 ნოემბერს ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის აღსანიშნავად, მიუხედავათ წვიმიანი ამინდისა, მეტად ფართო ხასიათი მიიღო. ასი ათასამდე მუშა და მუშა-ქალები, წითელი ფრონტელები და ახალგაზრდობა შეიკრიბა ლიუსტგარტენში; აქედან ისინი ურიცხვი დროშებით, ფიგურებით გაემართენ ქალაქისაკენ. დროშებზე წარწერილი ლოზუნგები მოუწოდებდენ საბჭოთა კავშირის—მთელი მსოფლიოს მშრომელთა სამშობლოს დაცვისაკენ და კაპიტალიზმისა და რეფორმიზმის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. ლიუსტგარტენში 16 ტრიბუნაზე გამოვიდენ კომპარტიის ორატორები, რომელნიც თავის სიტყვებში უპირისპირებდენ ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარს და რეფორმისტული ტაქტიკის შედეგებს სხვა ქვეყნებში.

დემონსტრანტები ინტერნაციონალის სიმღერის შემდეგ მწყობრი რიგებით დაიშალენ.

5 ნოემბერს პისკატორის თეატრში შედგა საზეიმო კრება, რომელიც მოწყობილ იქნა სტუდენტების, საბჭოთა კავშირის მოქალაქეთა მიერ. კრებაზე სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ლუნაჩარსკიმ, რომელმაც დაახასიათა საბჭოთა კავშირის კულტურული აღმშენებლობის შედეგები ათი წლის განმავლობაში. ოქტომბრის ათი წლ. თავთან დაკავშირებით კომპარტია მთელ გერმანიაში აწყობს კამპანიას ახალი წევრების მისაღებათ პარტიაში და პარტიული პრესის გასავრცელებლად.

დარბაზობა ბერლინის სრულუფლებიან წარმომადგენლობაში

ბერლინი, 8 ნოემბერი. 7 ნოემბერს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობაში გამართულ დარბაზობას დაესწრნენ პოლიტიკური, ეკონომიური და სამეცნიერო წრეების წარმომადგენელნი, მათ შორის შტრეზემანი და სახალხო მეურნეობის მინისტრი კურციუსი. დაესწრნენ აგრეთვე იაპონიის, ოსმალეთის ელჩები და სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენელნი. დღისით დიდ საოპერო თეატრში გაიმართა საბჭოთა კოლონიის საზეიმო კრება, რომელზედაც საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა გერმანიაში კრესტინსკიმ წარმოსთქვა ვრცელი სიტყვა საბჭოთა ტინსკიმ წარმოსთქვა ვრცელი სიტყვა საბჭოთა ხებ (ადს).

ინგლისში

ლონდონის გაზეთები ათი წლის თავის შესახებ

ლონდონი, 8 ნოემბერი. ლონდონის გაზეთების უმრავლესობა მოწინავე წერილს უძღვნის ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავს.

კონსერვატიული პრესა, როგორც ჩვეულებრივ, საბჭოთა რეჟიმს ახასიათებს როგორც „განუსაზღვრელ დესპოტიზმს".

ლიბერალური პრესა უფრო „ზრდილობიან" გამოთქმებს ხმარობს და ფიქრობს, რომ ბოლშევიზმი არის კარგისა და ცუდის ნარევი, ამასთანავე იგი ხაზს უსვამს, რომ „მდგომარეობა რუსეთში განუწყვეტლივ იცვლება". (ადს).

კუკი თავს იმართლებს

ნიუ-იორკი, 8 ნოემბერი. „სენდეი უორკერი"-ს წარმომადგენელთან საუბარში მემაღაროეთა ფედერაციის მდივანმა კუკმა განაცხადა, რომ ფედერაციას არ ჰქონდა საშუალება გაეგზავნა დელეგატები მოსკოვში ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის დღესასწაულზე დასასწრებლად იმის გამო, რომ მემაღაროეები ამჟამად გაჭირვებულ მდგომარეობაში არიანო.

„თვითონ მეც არ შემეძლო გავყოლოდი მოსკოვში ინგლისის მუშათა დელეგაციას, ვინაიდან ძალიან ვარ დატვირთული მუშაობით,—სთქვა კუკმა. (ადს).

პოლონეთში

ოქტომბრის ათი წლის თავი პოლონეთში

ვარშავა, 8 ნოემბერი. 6 ნოემბერს ვარშავაში გამოიწვიეს პოლიციის რაზმები პროვინციიდან. განსაკუთრებით გაძლიერებული იყო პოლიცია დიდი ფაბრიკების რაიონებში. მიუხედავად ამისა, 7 ნოემბერს ქალაქის მუშურ რაიონებში გამოჩნდა პლაკატები წარწერებით საბჭოთა ხელისუფლების ათი წლისთავის შესახებ. მუშაობის დამთავრების შემდეგ თითქმის ყველა მსხვილ და საშუალო წარმოებებში მოწყობილ იქნა მასიური კრებები, რის შემდეგ მუშები დროშებით, პლაკატებით და რევოლიუციონური სიმღერებით გაემართენ ცენტრისაკენ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო პოცისის სამუნიციო ქარხნის ეზოდან გამოსული დემონსტრაცია. მეორე დიდი დემონსტრაცია მიდიოდა [illegible], სადაც ის პოლიციამ დაშალა. ნორბლინის ფაბრიკის მახლობლად მუშა კომუნისტებსა და პოლონეთის სოციალისტურ პარტიის რაზმელებს შორის მოხდა სისხლისმღვრელი შეტაკება. რაზმელებს, რომელთაც ეხმარებოდა პოლიცია, ატეხეს სროლა. სხვა დემონსტრაციების მონაწილეთა შორის არიან დაჭრილები და დასახიჩრებულნი. დაპატიმრებულია ბევრი მუშა.

კვირას ვარშავის განაპირა უბნებში გაიმართა დემონსტრაციები. პროვინციიდან ჯერ არ მოსულა ცნობები (ადს).

ვარშავა, 8 ნოემბერი. მუშათა დელეგაციამ ინახულა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობა და გადასცა საბჭოთა კავშირისადმი მისასალმებელი ადრესი ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის გამო (ადს).

მუშათა დელეგაციის არჩევა

ვარშავა, 8 ნოემბერი. ფაბრიკა-ქარხნებში სწარმოებს გაცხოველებული აგიტაცია იმ მუშათა დელეგაციაში მონაწილეობის შესახებ, რომელიც გაემგზავრება საბჭოთა კავშირში მუშების და გლეხების მდგომარეობის გასაცნობათ. დელეგაციის გამგზავრების მომწყობ კომიტეტმა გამოაქვეყნა მოწოდება. დელეგაციის მონაწილეთა არჩევნები უკვე დაიწყო (ადს).

საფრანგეთში

კომპარტიის მიტინგი

პარიზი, 8 ნოემბერი. მიუხედავათ ცუდი ამინდისა, ივრიში (პარიზის განაპირა უბანი) კომპარტიის მიერ ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის გამო მოწყობილი დემონსტრაცია დიდის წარმატებით ჩატარდა. წითელ დროშებზე მოსჩანდა წარწერები: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით! გაუმარჯოს რუსეთის რევოლიუციას! სამუდამო ხსოვნა წამებულ საკოს და ვანცეტს! მოვითხოვთ საყოველთაო ამნისტიას და სხვ... თვითმმართველობის შენობა მორთული იყო გვირგვინით ნამგლისა და ჩაქუჩისაგან. ივრის ქალაქის თავი კომუნისტი მარანი თავის სიტყვაში პარიზის პროლეტარიატს მიესალმა წითელი ივრის სახელით

ამის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა კოსტემ, რომელმაც აღნიშნა, რომ საბჭოთა მთავრობამ საუკეთესოთ აღნიშნა ოქტომბრის ათი წლის თავი, გამოსცა რა დადგენილება 7 საათის სამუშაო დღეზე გადასვლის შესახებ

შემდეგ ილაპარაკა მონმუსომ. მან აღნიშნა, რომ რუსეთის რევოლიუციას აქვს მტკიცე ბაზა პროფკავშირების სახით, რომელნიც რამოდენიმე მილიონ წევრებს აერთიანებენ. მზად უნდა ვიყვეთ რუსეთის რევოლიუციის დასაცავად—განაცხადა დასასრულ მონმუსომ.

მონმუსოს შემდეგ გამოვიდა მარტი, რომელსაც დემონსტრანტები ოვაციით შეხვდენ. მარტიმ მოუწოდა ამნისტიისათვის ბრძოლისაკენ. ეს ბრძოლა, მისი სიტყვით, უნდა გახდეს შემადგენელი ნაწილი საერთო ბრძოლისა ბურჟუაზიის დასამხობათ და ძალაუფლების ხელში ჩასაგდებათ.

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა კომკავშირის ცეკას გენერალურ მდივანმა ფერამ, რომელმაც განაცხადა: „ფიცი დასდეთ, რომ იბრძოლებთ თქვენ სამშობლოსათვის—საბჭოთა კავშირისათვის. ფიცი მიიღეთ წითელო ჯარისკაცებო".

კაშენის და დორიოს გამოჩენას ტრიბუნაზე დემონსტრაციის მონაწილენი მხურვალე ოვაციით შეხვდენ.

კაშენმა განაცხადა: „რევოლიუციამ გაიმარჯვა. რა სიამაყით უნდა ალავსოს ამ დღემ რუსეთის მუშების გული".

დორიომ განაცხადა: „ჩვენ იამოცანაა განვაგრძოთ, გავაფართოოთ და გავაღრმავოთ პირველ საბჭოთა რესპუბლიკის მიერ მიღწეული გმირული შედეგები".

დემონსტრაცია უინციდენტოთ ჩატარდა.

„რომედასის პარიზის განყოფილებამ გამოაქვეყნა მიმართვა, რომელშიაც მოუწოდებს მასებს მონაწილეობა მიიღონ ივრის მანიფესტაციაში, რათა მიღწეულ იქნეს რეაქციონურ კანონმდებლობის მოსპობა და საყოველთაო ამნისტია. (ადს).

უნგრეთში

მხურვალე სალამი საბჭოთა კავშირის მშრომელთ

ვენა, 8 ნოემბერი. უნგრეთის კომპარტიის ორგანო „უი გარციუმ"-ში გამოქვეყნებულია წერილი, რომელშიაც „უნგრეთის დამარცხებული მუშათა კლასი, რომელიმაც პირველი გამოეხმაურა 1917 წლის ოქტომბრის მოდებას", მხურვალედ ესალმება საბჭოთა კავშირის მშრომელთ ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლისთავის გამო. (ადს).

მონღოლეთში

ულან-ბატორი, 8 ნოემბერი. ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის დღესასწაული დაიწყო 6 ნოემბერს. ულან-ბატორის ყველა რაიონებში და ნაწილებში რევოლიუციონური არმიები მართავენ საზეიმო კრებებს. მიტინგები დიდის ენტუზიაზმით მიმდინარეობს. (ადს).

საქართველოში

დაუვიწყარი დღე

ზეიმი, რომელიც 7 ნოემბერს გადაიხადა თბილისის პროლეტარიატმა, დიდხანს დარჩება ჩვენს მეხსიერებაში, როგორც ნიმუში მასების უდიდესი რევოლიუციონური აღფრთოვანებისა.

თბილისმა ჯერ კიდევ წინა დღით, მიიღო სადღესასწაულო იერი. დილიდანვე ქალაქმა თავს დაიდგა ელექტრონის წითელ სანათურებიანი თაგული. ირგვლივ უამრავი დროშები, ლენტები და პლაკატები. ქალაქზე წითელი ალი დგას.

ორშაბათს ზეიმი დილა-ადრიანად დაიწყო. აფუსფუსდენ რაიონები, შეინძრა მუშათა უბნები. ყველა საგანგებოდ არჩეულ ადგილისაკენ გაეშურა.

ზარბაზნების ხმამ ამცნო დანარჩენ მოქალაქეებს, რომ გათენდა მეათე ოქტომბერი, რომელმაც მტვრად აქცია საუკუნოებრივი მონობის ბორკილები და მშრომელს დაუბრუნა თავისი უფლებები ადამიანისა და ქვეყნის პატრონისა.

ზღვა ხალხი დაიძრა ქალაქის ცენტრისაკენ. თბილისს მრავალი დემონსტრაცია უნახავს, მაგრამ ასეთი გრანდიოზული სანახაობა არ მოსწრებია მის ქუჩებს.

კოლონა კოლონას მისდევს, ურიცხვი დროშები ერთმანეთში იხლართებიან და ორკესტრების გამუდმებული ყიჟინა აყრუებს დამძიმებულ ჰაერს. ტალღასავით მიგორავს ეს ზღვა ხალხი ქუჩის ორივე მხარეზე და დასასრული არ უჩანს მის მოუსვენარ ბორგვას.

ცეკას და სახსახის წინ აღმართულია ტრიბუნები, საიდანაც თბილისის პროლეტარიატს ესალმებიან მისი ბელადები.

სასახლესთან ტრიბუნაზე მთავრობის წევრებთან ერთად არიან უცხო სახელმწიფოების წარმომადგენლებიც.

თერთმეტ საათზე სახალხო კომისართა საბჭოს შენობის წინ სახელმწიფო ოპერის გაძლიერებული ორკესტრი და გუნდი ასრულებს ზ. ფალიაშვილის საიუბილეო კანტატას.

უსმენ ამ საგანგებოდ დაწერილ მუსიკას, რომელშიაც „ინტერნაციონალთან" და „მარსელიეზასთან" მოხერხებულად დაკავშირებულია ქართული მელოდია და გული კიდევ უფრო გიტოკავს, ძარღვები კიდევ უფრო გეჭიმება და სულიც მეტ ამაღლებას ეძლევა.

მუსიკა აძლიერებს გატაცებას, რევოლიუციონურ-პატეთიურ მუსიკას შეუძლია უდიდეს გმირობაზე წააქეზოს ადამიანი.

დასრულდა კანტატა, მძლავრად გაისმა სივრცეში მისი უკანასკნელი აკორდი-მოწოდება გადამწყვეტ ბრძოლისაკენ და დაიწყო პროცესიის მსვლელობა.

ტრიბუნას, რომელზედაც არიან ამხ. მიხა ცხაკაია, შალვა ელიავა, ლ. ქართველიშვილი, ალ. გეგეჭკორი, ი. ვარძიელი, ა. შაჭერდოვი და სხვები, ორივე მხრიდან უვლიან დემონსტრანტები და მქუხარე „ვაშა"-ით უპასუხებენ ბელადების ყოველ მისალმებაზე.

— გაუმარჯოს საერთაშორისო ოქტომბერს!

— გაუმარჯოს სოციალისტურ რევოლიუციას მთელს მსოფლიოში,—ასე ულოცავენ დემონსტრანტებს ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავს საქართველოს მშრომელთა ბელადები.

იწყება კარნავალი. რამდენი უშუალო შემოქმედებაა კარნავალის სცენებში, რამდენი პოლიტიკური სარკაზმია მათში! აი, თუ გინდ, მეორე ინტერნაციონალის დაკრძალვა. პატარა „ტაჩკა"-ში შებმულია იგი. „ტაჩკა"-ზე ასვენია კუზო, რომელშიაც გაშხლართულია მეორე ინტერნაციონალი. „ტაჩკა"-ს უკან მისდევენ მუშები პლაკატით: „ჩვენ ვასაფლავებთ მეორე ინტერნაციონალს".

აი, კიდევ მეორე ცოცხალი პლაკატი. ერთ პიონერს ხელში უჭირავს გრძელი ჯოხი, რომელზედაც წამოცმულია ჩემბერლენი—„პეტრუშკა". ჩემბერლენი ხან ფეხებს სწევს ზევით, ხან კიდევ ცილინდრს უხდის ხალხს.

დემონსტრანტების ერთ კოლონას ჩემბერლენი უკუღმა შეუჯენია ვირზე და ისე დაატარებს ქუჩებზე. „კეთილშობილი" ინგლისელი ლორდი ცოტა არ იყოს უხერხულად გრძნობს თავს ამ თავისთვის უჩვეულო საჯდომზე, ის ხანდახან ბრაზმორეული მუშტებით იმუქრება და ლამობს ძირს ჩამოხტეს, მაგრამ, აბა, როგორ შესძლებს ამას, როცა გვერდს წითელი ხიშტები უმშვენებენ.

პოლიტიკურ კარნავალს მისდევს კარნავალი: „ჩვენი სოფლის მეურნეობა წინეთ და ოქტომბრის 10 წლის თავზე". აქ სხვადასხვა სცენებით და ექსპონატებით წარმოდგენილია სოფლის მეურნეობის ყველა დარგები. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს უზარმაზარი ღორი, ჯიშიანი ქათმები და დოღის ცხენები.

კარნავალის მსვლელობით თავდება დემონსტრაცია. უჩვეულო ხმაური და სიმხიარულე არ წყდება ქალაქში დემონსტრაციის შემდეგაც.

საღამოს ქალაქს კვლავ ალყა შემოარტყეს წითელმა სანათურებმა. მთელი ქალაქი [illegible]. აელვარდა. ზღაპრულად განათებულია აღმასკომის შენობა, სასახლე, პროფსაბჭო, კომისარიატების შენობა და სხვა. ყველგან უამრავი ხალხია თავმოყრილი. ქვაფენილებიდან ხალხის ტალღა ქუჩებში შეიჭრა და უთვალავ ჭიანჭველებივით მოედო მათ.

ქართველ მხატვართა სურათების გამოფენისა და რუსთაველის თეატრის წინ შეიქნა უზარმაზარი კუდები. ასეთივე მდგომარეობა იყო ყველა გასართობ ადგილებთან.

და დიდხანს არ შეწყვეტილა ეს საერთო ჟრიამული. შუაღამეს გადასული იყო, როცა ქუჩები თანდათან მიწყნარდა. მთელი დღით ფეხზე დამდგარმა მშრომელებმა რამოდენიმე საათით თავი შეაფარეს სახლებს, რომ ცოტაოდენი შესვენების შემდეგ მეორე დღეს ისევ მიმოფანტულიყვნენ ქუჩებზე დიდი ოქტომბრის საქებრად და სადიდებლად.

შ—ა.

საზეიმო დემონსტრაცია რუსთაველის პროსპექტზე

დემონსტრაციაზე

7 ნოემბრის დემონსტრაცია

გათენდა. დილის 7 საათზე ზარბაზნების გუგუნმა ამცნო თბილისის მოქალაქეებს, რომ საბჭოთა ქვეყნების ცაზე დღეს მეათეჯერ ამოანათა ოქტომბრის რევოლიუციის მზის სხივებმა.

ზარბაზნის გრიალს ერთი უბნიდან უპასუხებს გუგუნით მეორე უბანი, მეორეს ეხმაურება მესამე, მესამეს—მეოთხე და ერთხანს მთელი ქალაქი გახვეულია ყუმბარების ძლევამოსილი გუგუნში.

შინ ველარ კავდები, გამოდიხარ გარეთ—დანიშნულ დროზე უფრო ადრე. (დღეს ყველა მუშა—ყველა მოსამსახურე მოწვეულია საზეიმოდ დანიშნულ ადგილზე).

ქუჩები, სასახლეები და სახლები მორთულია—მოკაზმულია არაჩვეულებრივად.

სახლები თავისი მოკაზმულობით ერთი-მეორესგან განირჩევიან. ყველა შეძლებისდაგვარად მორთულან, გამოწყობილან—ერთნი ათასნაირ სამკაულებით. მეორენი უფრო სადათ, უფრო მარტივად.

საერთოდ კი ყველას საზეიმო—სადღესასწაულო შეხედულება აქვს.

ფართოდ გაწოლილი რუსთაველის გამზირი ცარიელი და უმოძრაოა. წითლად ირხევიან და შრიალებენ მხოლოდ სახლებზე გამოკიდული დროშები. გამზირზე მყუდროებაა: იგი მოელის მოზეიმე პროლეტარიატის გამოსვლას.

ამომავალი მზის სხივებით შექსოვილია მთაწმინდის მაღლობი და მაღალი სასახლეების ზედა სართულები.

ულრუბლო, ნათელი და ლურჯად მომღიმარი ცა გულში აორკეცებს სიხარულს და აღფრთოვანებას.

მუშები, მოსამსახურეები, მოწაფეები, პიონერები სტოვებენ სახლს და ჩქარი ნაბიჯით მიეშურებიან თავთავიანთ რაიონებში.

დილა-ადრიან მიწყნარებული ქუჩებს სული ედგმით, ცოცხლდებიან, მოქალაქეების ამოძრავებულ ტალღებს მოაქვთ სიხარული და აღფრთოვანება. დროშები დროშებს ემატება, პლაკატი-პლაკატს, დანიშნულ ადგილზე მოქრიან მორთულ-მოკაზმული საბარგო ავტომობილები. რამოდენიმე კუთხიდან ისმის მუსიკის დამათრობელი ჰანგები. ქუჩები ივსებიან მოზღვავებული ხალხით, როგორც ადიდებული კალაპოტი მთიდან მომსკდარი ნიაღვრებით.

რუსთაველის გამზირი ისევ დაცარიელებულია.

ჯერ კიდევ არ დამდგარა დრო კარნავალის მსვლელობის დასაწყებად.

მთელი ქალაქი ხმაურობს, გუგუნებს, მღელვარებს ათასგვარ ფერებით, ათასნაირ ხმებით.

დარაზმული პროლეტარებით, მოწაფეებით, მოსამსახურეებით ავსებული ქუჩები—თავიანთ კალაპოტში ველარ კავდებიან.

ქუჩები ჰგავან ლაგამამოდებულ ბედაურებს, რომელნიც მოუთმენლობისაგან მოუსვენრად ერთ ადგილას ტორტმანობენ.

მუშათა ურიცხვი კოლონები სდგანან და ელიან, ელიან სიგნალს, რომ დაიძრენ.

გაისმის ზარბაზნის გამაყრუებელი გრიალი, და ერთბაშად სივრცეს იპყრობს საზეიმო კანტატის გრანდიოზული ჰანგები. მარსელიეზის წარმტაცი ხმები ერევა დიდებული „ინტერნაციონალის" დამათრობელ ჰანგებში. კანტატას ეხმაურებიან მომღერალთა გუნდები და მრავალრიცხოვანი ორკესტრები. მთელი ქალაქი მღერის ძლევამოსილ ინტერნაციონალს.

აღფრთოვანება ნაპირებს სცილდება. გადამეტებულ აღტაცებისაგან ტანში ჟრუანტელი გივლის, და თმა ყალყზე დგება. თვალებზე ცრემლი გადგება.

ათასი თვალი უნდა გქონდეს, ათასი ყური და ათი ათასჯერ გამახვილებული გრძნობის ორგანოები, რომ დაინახო, მოისმინო და მისწვდე ამ დიდებულ სანახაობად გარდაქცეულ დღესასწაულს.

იწყება გრანდიოზული კარნავალის გამაცვიფრებელი მსვლელობა.,

თბილისის დღევანდელი ზეიმი არა ჰგავს არც ერთს დღესასწაულს, ისე როგორც ოქტომბერი არა ჰგავს არც ერთს რევოლიუციას მსოფლიოში.

დღევანდელი ზეიმი თავისი ფორმით არ არის მხოლოდ გამარჯვებული ხალხის გრძნობების გაშლა, გამოფენა. კარნავალი წარმოადგენს მშრომელი ხალხის [illegible] და გამარჯვების მხატვრულ დასურათებას.

კარნავალი მუშათა კლასის თავგანწირული რევოლიუციონური ბრძოლის, ამ ათი წლის განმავლობაში მის მიერ ჩატარებული აღმშენებლობის დასურათებული ისტორიაა.

ამ უზარმაზარი კარნავალის თვითეული კოლონა ბრძოლის და აღმშენებლობის, რომელიმე ეპიზოდს წარმოადგენს.

რამოდენიმე საათის განმავლობაში ერთი მეორეზე თვალწინ იშლება განვლილი წლების გამარჯვებისა, თუ დამარცხების, უკან დახევის და სამეურნეო წარმატების სურათები. ეს არის წლის ცოცხალი მატიანე, რომელიც გაგრძნობინებს ოქტომბრის რევოლიუციის ძლევამოსილებას.

აგერ ნელი ნაბიჯით ზანტად მიდის ავტომობილი, რომელიც გამოხატავს თვითმპყრობელობას—მეფით, ჟანდარმებით, პრისტავებით, ეპისკოპოზებით, მემამულეებით,—ოდესღაც ძლიერნი, ამაყნი,—ქედმოუხრელნი—ეხლა საცოდავნი და სასაცილონი არიან. „თვითმპყრობელობას" უკან მისდევენ მისი დამსამარებელი—„რევოლიუციონური ძალები"—მკლავმაგარი მუშები და გლეხები,—არალეგალურ მუშაობასა და ბრძოლაში ჩაბმული. რამოდენიმე კოლონა მუშებისა გამოხატავს ბრძოლის ეპიზოდებს ამ ორ ძალას შორის. ეს მსვლელობა თავდება „ოქტომბრის გამარჯვების" დიდებული სანახაობით.

შემდეგ იწყება მეორე მსვლელობა,—რომელიც გამოხატავს სამოქალაქო ომის პერიოდს. პუანკარეები და ჩემბერლენები ემზადებიან რევოლიუციის ჩასახშობად—ტანკებით, ზარბაზნებით, ჰაეროპლანებით. არ სძინავთ დამარცხებულ კლასების წარმომადგენლებსაც—იარაღასხმულნი მემამულეები—მზად არიან ეკვეთონ გამარჯვებულ პროლეტარიატს—მათ გვერდს უმშვენებენ—შინაური კონტრ-რევოლიუციონერები—კადეტები, ესრები, მენშევიკები, რომელნიც საბოტაჟით და ფარული მუშაობით სცდილობენ ძირი გამოუთხარონ პროლეტარულ დიქტატურას. მაგრამ იმათ [illegible] ხვდება მშრომელი ხალხი—იგი ჰქმნის წითელ გვარდიას, პარტიზანულ რაზმებს და შემდეგ ძლევამოსილ წითელ არმიას,—ერთი-მეორეს სცვლის განვლილი ამბების ასეთი დასურათება. შემდეგი სანახაობაა—გაცხარებული ბრძოლა რევოლიუციისა და კონტრ-რევოლიუციის შორის—ამ ეპიზოდებს შორის შემაძრწუნებელ შთაბეჭდილებას სტოვებს—26 კომუნარის დახვრეტის სურათი.—ტყვიით შუბლგანგმირული,—სისხლით, შეღებულ სახით გდიან მიწაზე კომუნიზმისათვის წამებულნი კომუნარები—მათ შორის, ხვდება ნაცნობ სახეებს,—ალ. ჯაფარიძეს, სტ. შაუმიანს, ფუნტიკოვს. სამოქალაქო ომის პერიოდის განსახიერება თავდება „გამარჯვებულ კომუნართა" მსვლელობით, რომელსაც სამოქალაქო ომის საშინელი სურათების ნახვის შემდეგ,—კვლავ სიხარული და აღტაცება მოაქვს მნახველებისათვის.

არა ნაკლები სიცხოველით და სისწორით გადმოცემულია კარნავალში სამოქალაქო ომის შემდგომი პერიოდი—განადგურებული სახალხო მეურნეობა:—ქარხნის შენობა (ავტომობილზე) კარებს და ფანჯრებს შემოგლეჯილი, სახურავ გადამძვრალი, გაპარტახებული, დალეწილი განჯინებით და გაფუჭებული იარაღებით—აი, ერთგვარდიელიების და უცხოელ იმპერიალისტების ნამოღვაწარი. ამ უნუგეშო სანახაობას სცვლის გამამხნევებელი სურათი—სოციალისტური შენებლობა—ახლად აგებული მშვენიერი მრავალსართულიანი მუშათა სახლი, თუ ახალი ქარხანა,—შემდეგ თვით სოციალისტური აღმშენებლობის პროცესი;—ჩაქუჩისა და გრდემლის გამუდმებული ცემა.

რას წარმოადგენდა ჩვენი სასოფლო მეურნეობა—ამას თვალსაჩინოდ გამოხატავდა კარნავალის შემდეგი ჯგუფები—ცხრაუღელ ხარკამეჩებში შებმული პირველყოფილი გუთანი, ადამის დროინდელი ფარცხით, ბარით და თოხით,—ეს არის წარსულის მემკვიდრეობა,—რომელიც ოქტომბრის რევოლიუციამ შესცვალა—ტრაქტორით, სალეწი,—სანიავებელი მანქანებით;—ნაკლებ შემოსავლიან სიმინდის და ქერის მაგივრად—აბრეშუმი, თამბაქო, ჩაი, მეხილეობა, ძვირფასი ტეხნიკური კულტურა,—ეს ყველაფერი სათანადო ექსპონატებით იშლება დემონსტრანტების წინაშე. წარმოდგენილია მეურნეობის სხვა დარგებიც—მეფრინველეობა—საუკეთესო ჯიშის ქათმებით, მესაქონლეობა—იშვიათი ხარით, ძროხით და ღორით,—და მეცხენეობა—ერთი-მეორეზე უკეთესი და ულამაზესი ბედაურებით.

ამით თავდება ჩვენი სასოფლო მეურნეობის აღორძინების მიმოხილვა. კარნავალი თავისი მრავალფეროვნებით განუზომელ შთაბეჭდილებას სტოვებს.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობენ ფიზკულტურის წრეები, რომელნიც წინ მიუძღვიან თვითეულ კოლონას. ჯანი და ღონე სჩანს მათ მტკიცე ნაბიჯებსა და მწყობრად მოძრავ კუნთებში.

ავიაქიმის რაზმები გამარჯვებული სამხედრო იარაღებით, მოწმობენ, რომ მშრომელნი ფხიზლად სდგანან სოციალისტური სამშობლოს სადარაჯოზე.

ვერ აცდება მაყურებლის ყური აგრეთვე მოძრავ რადიოებს,—რომელნიც მიდი-მოდიან (ავტომობილებით) და ხმამაღლა აუწყებენ დემონსტრანტებს ორატორთა მიერ წარმოთქმულ სიტყვებს. აუარებელი პლაკატები ათასგვარ მოწოდებით, ლოზუნგებით ავსებენ დღესასწაულის შინაარს.

ყველა სანახაობა ერთი-მეორეზე უფრო მიმზიდველია, პლაკატი ერთი-მეორეზე შინაარსიანი, სიმღერები ერთი-მეორეზე წარმტაცი და სასიამოვნო. რომელ ერთს შეხედო, რომელს მოუსმინო,—არ იცი,—მთლიანად ჩაძირული ხარ საერთო საზეიმო აღტაცებაში, გავიწყდება წარსული დროების სიმწარე და ნახულ-განცდილით გაბრუებული გაათკეცებული იმედით შესცქერი მომავალს—ოქტომბრის რევოლიუციის ძლევამოსილ მსვლელობას—მთელს მსოფლიოში.

შ—ნი.

მუშათა უნივერსიტეტის გახსნა

ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან გაიხსნა მუშათა უნივერსიტეტი.

ეს უნივერსიტეტი შექმნილია სპეციალურად დაზგის მუშებისათვის, რომლებიც მუშაობის შემდეგ აქ მიიღებენ უმაღლეს ცოდნას. წელს აღნიშნულ უნივერსიტეტში იწარმოებს მხოლოდ მოსამზადებელი მუშაობა. მიღებული იქნება 90 მსმენელი ქართულ განყოფილებაში (სახელმწიფო უნივერსიტეტთან) და 60 მსმენელი რუსულ განყოფილებაში) ლენინის სახელობის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტთან). აღნიშნული მსმენელები მიმდინარე წლის განმავლობაში მომზადებულ იქნებიან უმაღლესი სასწავლებლისათვის. მომავალ წლიდან კი გაიხსნება თვით უმაღლეს სასწავლებლის ორი ფაკულტეტი: 1) საბუნებისმეტყველო-ტეხნიკური და 2) სოციალ-ეკონომიური—ქართულ განყოფილებაში და ერთი საბუნების-მეტყველო-ტეხნიკური ფაკულტეტი რუსულ განყოფილებაში ლენინის სახელობის პოლიტეხნიკური ინსტიტუტთან.

8 ნოემბერს სახელმწიფო უნივერსიტეტის დარბაზში შედგა უნივერსიტეტის გახსნის საზეიმო სხდომა. დარბაზი სავსე იყო მუშებით, სტუდენტებით, მასწავლებლებით და მოწვეულ სტუმრებით. საზეიმო კრება პარტიის ცენტრალურ კომიტეტის, პროფკავშირთა საბჭოს და პოლიტგანათლების სახელით გახსნა ამხ. იმედაძემ, რომელმაც თავის სიტყვაში ჯამი გაუკეთა ათი წლის მანძილზე გაწეულ მუშაობას და აღნიშნა, რომ ჩვენი მუშების შრომის ნაყოფიერებამ უნდა გაუსწროს ევროპის მუშის შრომის ნაყოფიერებას, რასაც მივაღწევთ ჩვენი მუშათა კლასის კულტურულ დონის ამაღლებით. ორატორმა მადლობა გადაუხადა სახელმწიფო უნივერსიტეტის მუშაკებს და ყველა იმ ორგანიზაციებს, რომელთაც მხურვალე მონაწილეობა მიიღეს მუშათა უნივერსიტეტის შექმნაში.

მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ, (პარტიის თბილისის კომიტეტის სახელით ამხ. ბუდილევი, სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები პროფ. კეკელიძე და წუწუნიძე, სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფ[illegible] აღმასკომის წარმომადგენელი ლოჯარია, მუშფაკის და ლენინის სახელობის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის სახელობის [illegible]ცკი და მარსონი, განათლების [illegible]შირის სახელით შიუშვილი და მუშათა უნივერსიტეტის მომავალ მსმენელთა სახელით ჯიშკარიანი და ბარიძე.

საზეიმო სხდომის დახურვის შემდეგ სტუდენტებისათვის გამართულ იქნა წარმოდგენა.

ისტორიული საჩუქარი

ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავი თბილისის პროლეტარიატმა აღნიშნა მთელი რიგი ახალი საწარმოო დაწესებ. გახსნით. საიუბილეო დღესასწაულების უკანასკნელ დღეს, 8 ნოემბერს, დიდუბეში საძირკველი ჩაეყარა ხე-ტყის გადამამუშავებელ ახალ დიდ ქარხანას.

შუადღის 12 საათზე დიდუბეში, ფაბრიკის ასაშენებელ ადგილას თავი მოიყარეს მთავრობის, თბილისის აღმასკომის, მუშათა ორგანიზაციების, წითელი არმიის და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენლებმა. ტრიბუნაზე არიან ამხ. ფ. მახარაძე, ვ. ავაქოვი, ლადო სუხიშვილი, ივანოვ-კავკასკი, ასრიბეკოვი, და სხ. ტრიბუნასთან დამდგარია რკინის გზის ბათალიონი ორკესტრით. „ინტერნაციონალის" ქვეშ ამხ. ლადო სუხიშვილი თბილისის აღმასკომის სახელით საზეიმო მიტინგს გახსნილად აცხადებს. სიტყვებით გამოდიან ამხ. ფ. მახარაძე, ავაქოვი და სხვ. აზერბეიჯანელი მუშების სახელით მისასალმებელ სიტყვას ამბობს ამხ. ბარიბოვი. წითელი არმიიდან მიტინგს ესალმება ამხ. კოვალენკო, და აღმშენებელ მუშათა კავშირიდან ამხ. ბაირამოვი.

მიტინგის შემდეგ ყველა დამსწრეები გაემართენ ქარხნის ასაგებ ადგილას, სადაც ამხ. ფილიპე მახარაძემ პირველი აგური დასდო ქარხნის საფუძველზე.

„1927 წლის 7 ნოემბერს, დიდი ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის აღსანიშნავად თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილება საძირკველს უყრის თბილისის ხის გადამამუშავებელ ქარხანას"—ასეთი წარწერა ჰქონდა იმ ფირფიტას, რომელიც გახდა აღნიშნულ ფაბრიკის საძირკვლის პირველ ქვათ.

რით აღინიშნა ოქტომბრის დღესასწაული

ჯანმრთელობის დარგში

სამკურნალო დაწესებულებების გახსნა

ოქტომბრის რევოლიუციის 10 წ. თავის აღსანიშნავად ჯანსახკომმა გახსნა თბილისში: სოციალურ ჰიგიენის ინსტიტუტი; ფიზიო-ტერაპევტიულ ინსტიტუტთან (ლენინის ქუჩაზე) მოეწყო რენტგენის განყოფილება, სადაც დაიდგა საზღვარგარეთიდან ახლად მიღებული რენტგენის აპარატი; სამეანო გინეკოლოგიურ ინსტიტუტთან გაიხსნა დედათა და ბავშვთა კონსულტაცია; სადგურის ქუჩაზე (№ 19) გაიხსნა ცენტრალური სანიტარულ-ჰიგიენური ლაბორატორია.

საავადმყოფოს და ამბულატორიის შენობების აგება

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატში მიღებულია ცნობა, რომ 7 ნოემბერს, ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლისთავის აღსანიშნავად, თელავში საფუძველი ჩაეყარა დიდ საავადმყოფოს და ამბულატორიის შენობას ადგილობრივ აბრეშუმის სახვევ ფაბრიკასთან. ზეიმს დიდძალი ხალხი დაესწრო.

ახალი სამკურნალო პუნქტი

სოფ. შილდადან (თელ. მ.) დეპეშით იტყობინებიან, რომ 7 ნოემბერს დიდძალი გლეხობის თანდასწრებით მოხდა ახალი სამკურნალო პუნქტის საზეიმო გახსნა. პუნქტის გახსნისას გაიმართა მიტინგი, რომელზედაც ილაპარაკეს გლეხების წარმომადგენლებმა.

პიონერების მსვლელობა

ფიზიო-თერაპ. ინსტიტუტის გახსნა

საკურორტო სამმართველოს მიერ, ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლისთავის აღსანიშნავად ბორჯომში გაიხსნა ამხ. ლავრენტი ქართველიშვილის სახელობის ფიზიო-ტერაპევტიული ინსტიტუტი. ინსტიტუტი მოთავსებულია ქართულ სტილზე აგებულ დიდ შენობაში და მოწყობილია მეცნიერების უკანასკნელ მიღწევათა თანახმად.

ინსტიტუტში მკურნალობა იწარმოებს მრავალნაირი მეთოდებით. მაღლა სართულში მოეწყობა მზის აბაზანები, ტალახით სამკურნალო განყოფილება და სხ. ინსტიტუტისათვის საჭირო შენობა აგებულია ჯანსახკომის მიერ.

საზეიმო გახსნას დაესწრნენ მთავრობისა და ადგილობრივ ორგანიზაციების წარმომადგენლები და 3.000-მდე მოქალაქე.

ამბულატორია მუშებისათვის

7 ნოემბერს ბორჯომში საძირკველი ჩაეყარა ახალ ამბულატორიას მუშათა უბანში, ე. წ. ჩარხის წყალთან. ზეიმს დაესწრნენ ადგილობრივი ქარხნების მუშები.

ახალი ფაბრიკა-ქარხნების აგება

ახალი საავადმყოფო სურამში

სურამში 7 ნოემბერს, მოხდა ახალი, 10 საწოლიანი საავადმყოფოს საზეიმო გახსნა. ზეიმს დაესწრნენ სოფლებიდან ჩამოსული გლეხები.

სახერხი ქარხანა ბზიფზე

7 ნოემბერს მოხდა ბზიფის დიდი სახერხი ქარხნის ასაგებ სამუშაოთა საზეიმო გახსნა, რომელსაც დაესწრნენ აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლები. ადგილობრივ გამართულ მიტინგზე გამოვიდნენ მუშების წარმომადგენლები, რომლებიც აღნიშნავდნენ საბჭოთა ხელისუფლების დიდ მიღწევებს აღმშენებლობის დარგში.

საკონსერვო ფაბრიკის საძირკვლის ჩაყრა

გორში მოხდა საკონსერვო ფაბრიკის საძირკვლის საზეიმო ჩაყრა. ზეიმს დაესწრნენ [illegible] წარმომადგენლები.

რამდენი ქარხნის აგებაა დაწყებული

ს. მ. უ. საბჭოში მიღებული ცნობებით, ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლისთავის აღსანიშნავად დაწყებულ იქნა შემდეგი ახალი ქარხნების აგება: ახალციხეში საფუძველი ჩაეყარა ხილის საშრობ ქარხანას, ახალ-სენაკში დაწყებულ იქნა აგურ-კრამიტის ქარხნის აგება, ცხინვალში — საფუძველი ჩაუყარეს დიდ სახერხ ქარხანას, [illegible] ქარხანასთან დაწყებულ იქნა მუშათა საცხოვრებელი ბინების აგება.

საქართველოს კომპარტიის (ბ) მეხუთე ყრილობის წინ

სოფლად მუშაობის შესახებ

(ამხ. ფ. მახარაძის მოხსენების თეზისები)

1. გლეხური მეურნეობის განვითარება პროლეტარიატის დიქტატურის დროს

სოფლის და ქალაქის ურთიერთობა პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში ამ ურთიერთობისაგან კაპიტალისტურ სინამდვილის პირობებში ძირითადად განსხვავდება იმით, რომ თუ კაპიტალისტურ საზოგადოებაში ინდუსტრიის განვითარება შესაძლოა მხოლოდ ისეთი შინაური ბაზრის არსებობის დროს, რომელიც იწვევს საშუალო გლეხობის ძირითად მასის გაღატაკებას და მაშასადამე, მის პროლეტარიზაციას,—პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში, პირიქით, ინდუსტრიის განვითარება იწვევს საშუალო გლეხობის და სოფლის ღარიბი მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას.

ამგვარად, თუ კაპიტალისტურ სინამდვილის პირობებში მსხვილი მრეწველობა წარმოადგენს საქონლის წვრილ მწარმოებელთა სამეურნეო დამონების იარაღს, პირიქით, პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში მსხვილი მრეწველობა და მასთან ერთად სოციალისტური მეურნეობის დანარჩენი ძირითადი ელემენტები—კოოპერაცია, სახელმწიფო ვაჭრობა, ტრანსპორტი, კრედიტი და სხვ., წარმოადგენს სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის ბერკეტს, იმ მამოძრავებელ ღვედს, რომლის საშუალებით ქალაქს თავისი გზით მიჰყავს სოფელი.

ქალაქსა და სოფელს შორის სწორი ურთიერთობის შექმნა და ქალაქის ხელმძღვანელი როლის უზრუნველყოფა შესაძლოა მხოლოდ მეურნეობის გეგმიანი ხელმძღვანელობის პირობებში, რაც თავის მხრივ მოითხოვს საწარმოო საშუალებათა და სავაჭრო აპარატის ცენტრალიზაციას, და აგრეთვე საქონლის წვრილ მწარმოებელთა გაერთიანებას კოოპერაციაში. პარტიის ეკონომიური პოლიტიკა მიზნად ისახავდა და ისახავს სწორედ ისეთი პირობების, ისეთი წინასწარი პირობების შექმნას, რომელნიც ხელს შეუწყობენ სწორი ურთიერთობის დამყარებას ქალაქსა და სოფელს შორის.

ამ პირობების განვითარება ხდებოდა მთელ რიგ პერიოდების განმავლობაში: ა) პირველი პერიოდი, რომელიც დაიწყო უშუალოდ ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღების შემდეგ, როცა გლეხს, რომელიც პირველად შეხვდა სოციალისტური წარმოების და საქონლის გეგმიანი ბრუნვის სისტემას, ეჭირა დაცვის პოზიცია, როცა ის თვალყურს ადევნებდა იმას, თუ რამდენათ შეუძლია ამ სისტემას სწორი ურთიერთობის განმტკიცება ქალაქსა და სოფელს შორის და უკანასკნელის სამეურნეო მდგომარეობის გაუმჯობესება. პარტიის ამოცანა, რომელიც ძნელი იყო მთელი სახალხო მეურნეობის მაშინდელ ნგრევის პირობებში, მდგომარეობდა იმაში, რომ გაგვექარწყლებია გლეხობის უნდობლობა ამ სისტემისადმი და ამით ნიადაგი გამოგვეცალა მძვინვარე წვრილ-ბურჟუაზიულ სტიქიონისათვის; ბ) მეორე პერიოდი: თანდათან მოწესრიგდა, ჯერ ერთი, სოციალისტური აღმშენებლობა, და მეორე, საქონლის გეგმიანი ტრიალი ქალაქსა და სოფელს შორის, რის შედეგათ ჩვენ დავძლიეთ გლეხობის უნდობლობა: გლეხობა თანდათან დარწმუნდა ახალ ურთიერთობის უპირატესობაში სოფელსა და ქალაქს შორის,—მოხდა ძალთა და სამეურნეო ფორმების გადაჯგუფება სახალხო მეურნეობის სოციალისტური სექტორის გაძლიერების მიმართულებით და გ) მესამე პერიოდი, რომელსაც ახასიათებს მეურნეობის სოციალისტური სექტორის შემდგომი ზრდა და ძალთა კიდევ უფრო დიდი გადაჯგუფება სოციალისტური მრეწველობის ბაზის უფრო გაძლიერების მიმართულებით.

„ქალაქის და სოფლის კავშირის შემდგომი განმტკიცება, რომელიც ძირითადი წინასწარი პირობაა სოციალისტური აღმშენებლობის წარმატებისათვის, უნდა მიდიოდეს შემდგომი ხაზით: სოფლის ღარიბ და საშუალო ფენების ფართოდ ჩარაზმვა კოოპერაციაში, საგლეხო მეურნეობაზე გეგმიანი ზეგავლენის გაძლიერება, მუშათა კლასის და სოფლის ღარიბი მოსახლეობის კავშირის განმტკიცება საშუალო გლეხობასთან და კულაკის მტკიცე იზოლიაცია“ (იხ. ამხ. მოლოტოვის თეზისები სოფლად მუშაობის შესახებ).

2. ძირითადი წინააღმდეგობანი სასოფლო მეურნეობის განვითარებაში

თუ განვიხილავთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროცესს ჩვენს ქვეყანაში, მივალთ შემდეგ ძირითად დასკვნებამდე:

1. საქართველოს სასოფლო მეურნეობაში აღდგენის პროცესი უკვე დამთავრდა. სათეს სივრცემ მიაღწია ომამდე არსებულ ნორმას და კიდეც გასცილდა მას. ამასთანავე ერთად სოფლის მეურნეობაში თავს იჩენს უმაღლეს ტეხნიკურ კულტურებზე გადასვლის და სასოფლო მეურნეობის მაშინიზაციის ტენდენცია, მაგრამ ჯერ-ჯერობით ყველაფერი ეს დასაწყისია და საჭიროა ამ ტენდენციის შემდგომი გაძლიერება.

ინტენსიფიკაციის ელემენტების უქონლობა ჩვენს სასოფლო მეურნეობაში წარმოადგენს მცირე მოსავლიანობის და, მაშასადამე, სასოფლო მეურნეობის მცირე საქონლიანობის მთავარ მიზეზს. სასოფლო მეურნეობის მცირე საქონლიანობა თავის მხრივ აფერხებს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას, ვინაიდან საბჭოთა კავშირის (აქ ნაგულისხმევია საქართველოც) ინდუსტრიალიზაცია მოითხოვს ინტენსიფიკაცია ქმნილ სასოფლო მეურნეობის არსებობას, ე. ი. მტკიცე სერიოზულ ბაზისის შექმნას.

2. მუშა ხელის სიჭარბე სოფლად. რაც გამოწვეულია მიწის სიმცირით და მსხვილი ინდუსტრიის განუვითარებლობით (განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში) არის ქართული სოფლის ერთ-ერთი ყველაზე მტკივანი ადგილი.

მეორე უარყოფითი მოვლენა, რომელიც აფერხებს სასოფლო მეურნეობის განვითარების ტემპს, არის მიწათმოწყობის უაღრესად სუსტი განვითარება და, აგრეთვე, ცოცხალი და მკვდარი ინვენტარის ნაკლებობა მცირე შეძლების გლეხობაში.

სოფლის დღევანდელ მდგომარეობაში არა ნაკლებ უარყოფით მოვლენას წარმოადგენს ერთის მხრივ მრეწველობის და მეორეს მხრივ სასოფლო მეურნეობის პროდუქტების ფასების დაშორება.

მუშა ხელის სიჭარბე სოფლად შეიძლება და უნდა იქნეს კიდეც დაძლეული: ა) ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, ბ) სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაციის, გ) უფრო მეტი შრომის ტევად კულტურების განვითარების და დ) ზედმეტი მოსახლეობის სხვადასხვა ადგილებში დასახლების გზით.

მიწათმოწყობის სასწრაფოდ განხორციელება, რაც წარმოადგენს სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაციის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს, ნაკარნახევია პირველ ყოვლისა და უმთავრესად ღარიბ-საშუალო მეურნეობათა ინტერესებით, რომ კულაკობას წაერთვას საკუთარ ხელში თავისუფალ მიწების მოქცევის საშუალება.

სოფლის მეურნეობის ინვენტარიზაცია და ინდუსტრიალიზაცია მიღწეულ უნდა იქნას ღარიბ და საშუალო გლეხობის კოოპერატიული დარაზმვით და ამისთვის გრძელვადიანი სესხის მიცემით.

და, ბოლოს, ფასების დაშორება მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის პროდუქტებზე აღმოფხვრილ უნდა იქნეს სამრეწველო საქონელზე ფასების დაკლების პოლიტიკით, ისევე, რასაკვირველია, რაციონალიზაციისა და სამრეწველო საქონლის თვითღირებულების დაკლების საფუძველზე.

3. პროლეტარული დიქტატურის პირობებში სასოფლო მეურნეობის განვითარების პროცესის განსაკუთრებულ მხარეს წარმოადგენს ის გარემოება, რომ მასში სწარმოებს ბრძოლა სოციალისტურ და კაპიტალისტურ ტენდენციებს შორის.

აი ეს ბრძოლა აჩენს განსაკუთრებულ დაღს სოფლის დიფერენციაციას.

თუ კაპიტალისტურ სინამდვილის პირობებში სოფლის დიფერენციაცია მიდის საშუალო გლეხობის შესუსტების ხარჯზე და ამავე დროს აუცილებლად იზრდებიან უკიდურესი ჯგუფები —ღარიბი გლეხობა და კულაკობა, სამაგიეროდ პროლეტარული დიქტატურის პირობებში ეს დიფერენციაცია ხასიათდება საერთო აღორძინებით და უმთავრესად საშუალო გლეხობის გაძლიერებით, ამასთან კულაკური ჯგუფი იზრდება საშუალო გლეხობის შეძლებული ნაწილის ხარჯზე. ხოლო ღარიბი გლეხობა კი მცირდება მისი მნიშვნელოვანი ნაწილის გადასვლით საშუალო გლეხობაში.

აი სწორედ ამაში მდგომარეობს გლეხობის დიფერენციაციის ძირითადი ხასიათი.

„თუ კაპიტალისტური სინამდვილის პირობებში საქონლის უბრალო მწარმოებელს სასოფლო მეურნეობაში აქვს მხოლოდ ორი გზა—ან გადაიქცეს წვრილ კაპიტალისტად ან არა და პროლეტარად, **მესამე გზა მისთვის არ არსებობს**,—სამაგიეროდ სულ სხვა სურათს ვხედავთ პროლეტარული დიქტატურის პირობებში, როდესაც მას (საქონლის უბრალო მწარმოებელს) მასიური კოოპერაციის საშუალებით (როგორც საქონლის გაცვლა-გამოცვლის, ისე თვით საქონლის წარმოების სფეროში) შეუძლია თანდათან ჩაებას საერთო სოციალისტური მშენებლობის პროცესში. აი სწორედ ეს პირობა ჰქმნის იმ გარემოებას, რომ ღარიბ გლეხობას, რომელიც პროლეტარდებოდა კაპიტალისტური სინამდვილის პირობებში, პროლეტარულ დიქტატურის პირობებში აქვს საშუალება გადავიდეს საშუალო გლეხობაში. ეს პროცესი, საშუალო გლეხობის შემდეგი ზრდის პროცესი, კიდევ ერთხელ ამართლებს ამხ. ლენინის ცნობილ დებულებას იმის შესახებ, რომ საშუალო გლეხი არის „მიწათმოქმედების ცენტრალური ფიგურა“ (იხ. ამხ. მოლოტოვის თეზისები).

4. ოპოზიციის უხეში შეცდომა მდგომარეობს იმაში, რომ ის გლეხობის დიფერენციაციას კაპიტალისტური სინამდვილის პირობებში მთლიანად და სავსებით სავალდებულოდ სთვლის პროლეტარული დიქტატურის პირობებში, ხოლო ამითვე სოციალისტური წარმოების პირობებშიც.

„აქედან უკვე გამომდინარეობს მარქსიზმისა და ლენინიზმის იმ უდიდესი მნიშვნელობის თეორიულ დებულებების რევიზიის ცდა, რომლებიც შეეხებიან ქალაქისა და სოფლის მსხვილი და წვრილი წარმოების. ინდუსტრიალიზაციის და სასოფლო მეურნეობის შეფარდებას; აქედან გამომდინარეობს ლაპარაკი პროლეტარულ სახელმწიფოს „ტერმიდორიანული“ გადაგვარების შესახებ და, ბოლოს, კულაკისა და კერძო კაპიტალის როლისა და საფრთხის გაზვიადება“.

5. ოპოზიცია „მხედველობიდან უშვებს“ აგრეთვე იმ გარემოებასაც, რომ უკანასკნელ ხანებში მნიშვნელოვნად გაძლიერდა პროლეტარულ სახელმწიფოს გეგმიანი ხელმძღვანელი როლი სოფლის მეურნეობის დარგშიც.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გასაღების დარგში სახელმწიფო ორგანოებმა და კოოპერაციამ დაიკავეს გადამწყვეტი ადგილი გასაღების, ზოგიერთ უმნიშვნელოვანეს დარგებში—კი (კერძოთ საქართველოში—პარკი. თამბაქო, ჩაი, ბამბა და სხვა) გაბატონებული, თითქმის მონოპოლიური მდგომარეობა.

სახორგანოების და კოოპერაციის ასეთი მდგომარეობა გამოიხატება შემდეგში: 1) კერძო კაპიტალი სულ უფრო და უფრო იდევნება ბაზრიდან და კარგავს თავის პოზიციებს დამზადებით ოპერაციებში; 2) სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებთა რეალიზაცია იმ ფასებში, რომელსაც აწესებენ სახელმწიფო ორგანოები, საქონლის წვრილი მწარმოებლების ინტერესების აღრიცხვასთან ერთად, საშუალებას იძლევა აღვრიცხოთ აგრეთვე მთლიანად მთელი სახალხო მეურნეობის ინტერესებიც; 3) ფასების პოლიტიკა ძლიერებს სახელმწიფოს როლს სოფლის მეურნეობის მოწესრიგების საქმეში, კერძოთ ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის ყველაზე უფრო შემოსავლიან, შრომის ტევად დარგების ზრდას.

ამასთან ერთად საჭიროა აღინიშნოს, რომ სოფლის მეურნეობის ზოგიერთ დარგში, მაგალითად, მევენახეობაში, კერძო კაპიტალი დღემდე თამაშობს მნიშვნელოვან როლს.

6. საქონლის მიწოდების საქმეში უკვე მივაღწიეთ ისეთ მდგომარეობას, როდესაც სოფელი საქონელს ღებულობს უმთავრესად კოოპერაციის და სახ. ორგანოების საშუალებით.

ასეთი მდგომარეობის გასამტკიცებლათ საჭიროა, რომ გლეხებს მივაწოდოთ იაფი და კარგი ღირსების საქონელი, რომ ეს მიწოდება ხდებოდეს კერძო კაპიტალის ყოველგვარი შუამდგომლობის გარეშე და რომ მანქანების მიწოდება უნდა გადაიქცეს იმ მძლავრ იარაღათ, რომელიც ხელს შეუწყობს გლეხთა მეურნეობის განვითარებას და მათ კოოპერატიულად შეკავშირებას.

7. „ოპოზიციის დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს ის, რომ ოპოზიციას არ სჯერა, რომ კოოპერაციის საშუალებით შეიძლებოდეს გლეხთა ძირითადი მასების ჩაბმა სოციალისტურ მშენებლობაში და ეს მაშინ, როდესაც წარსული წლების გამოცდილებამ მთლიანად დაადასტურა ლენინის კოოპერატიული გეგმის სისწორე, იმ გეგმისა, რომელიც მიზნათ ისახავდა სოფლის განცალკევებულ მეურნეობათა განსაზოგადოებრივობას ახალი ტეხნიკის (ელექტროფიკაცია და სხვ.) საფუძველზე“.

უკანასკნელი ხნის განმავლობაში კოოპერაცია (როგორც სამომხმარებლო ისე სასოფლო-სამეურნეო) ძლიერ განვითარდა; დღეს ის აერთიანებს რამდენიმე ათეულ ათას კომლ და სახელმწიფო ვაჭრობასთან ერთად გადამწყვეტ როლს თამაშობს ქალაქის და სოფლის სავაჭრო ურთიერთობაში.

საბჭოთა კოოპერაციის ყველაზე უფრო დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ის აერთიანებს უმთავრესად სოფლის ღარიბებს და საშუალო ფენებს, მაშინ როდესაც წარსულში, კაპიტალიზმის პირობებში მის მუშაობას ხელმძღვანელობდენ კულაკური ელემენტები. ამასთან დაკავშირებით შეიცვალა კოოპერაციის მოქმედების ხასიათიც. დღეს ის ემსახურება გლეხობის ძირითად მასსას, მის ღარიბ და საშუალო ფენებს.

კოოპერაციის მნიშვნელობა მარტო იმით არ ამოიწურება, რომ ის გეგმიან ზეგავლენას ახდენს როგორც საქონლის ბრუნვაზე, როგორც სოფლის შიგნით, ისე სოფელსა და ქალაქს შორის. რამდენათ კოოპერაცია წარმოადგენს საუკეთესო საშუალებას გლეხობის მასიურ სამეურნეო გაერთიანებისათვის და იმისათვის, რომ ის ჩაბმული იქნეს საერთო სოციალისტურ მშენებლობაში, იმდენათ მნიშვნელოვანი უნდა იყოს კოოპერაციის როლი საწარმოო კოოპერაციის საფუძველზე სოფლის მეურნეობის აშენების საქმისთვისაც, რაც უნდა ტარდებოდეს არტელების, სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობების და კომუნების დაარსების გზით.

3. პრაქტიკული მუშაობის მდგომარეობა და მისი ნაკლულევანებანი

პარტიული ხაზის პრაქტიკული დამახინჯება

საერთო პოლიტიკის სისწორესთან და იმ ზეგავლენის ზრდასთან ერთად, რომელსაც სხვადასხვა ორგანოები ახდენენ სოფლის მეურნეობაზე, საჭიროა აღინიშნოს, რომ სინამდვილეში ადგილი აქვს დიდ ნაკლულოვანებას, შეცდომებს და პარტიის პოლიტიკური ხაზის გამრუდებას.

1) მიუხედავათ იმისა, რომ კოოპერაციის შემადგენლობის აბსოლიუტურ უმრავლესობას შეადგენენ გლეხობის უღარიბესი და საშუალო ფენები, კოოპერატიულად გაერთიანებულ უღარიბეს გლეხების რაოდენობა მაინც მცირეა. არის შემთხვევები, როდესაც კოოპერაციის არჩეულ ორგანოებში დღესაც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ კულაკები, მიუხედავათ გადაწყვეტილებისა, რომ კულაკური ელემენტი არ უნდა იქნეს დაშვებული ასეთ ორგანოებში.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ ღარიბთა ინტერესებს არა ყოველთვის უწევენ საკმაო ანგარიშს კრედიტების განაწილების დროს.

2) საბჭოთა მუშაობის დარგში აღსანიშნავია აქტივობის ზრდა გლეხობის ყველა ფენებში და, როგორც ამის შედეგი, საბჭოების მუშაობის გაცხოველება. სოფლის საბჭოები თანდათანობით გადაიქცენ საზოგადოებრივ- შემაკავშირებელ ცენტრაბათ, საბჭოთა მუშაობაში ებმებიან გლეხობის უფრო და უფრო მეტი მასები და საერთოდ საბჭოების ირგვლივ იქმნება უღარიბეს და საშუალო გლეხობის აქტივი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ღარიბ გლეხთა აქტივობის ზრდა. გლეხობის ეს ნაწილი თავს იყრის სოფლის საბჭოს ირგვლივ და სავსებით სამართლიანად სთვლის მას ისეთ ორგანოთ, რომელიც იცავს მის სასიცოცხლო ინტერესებს.

მაგრამ ამასთანავე აღსანიშნავია ისიც, რომ გლეხთა აქტივიზაციის დარგში დღემდე ჩატარებული მუშაობა საკმარისი არ არის.

3) პარტმუშაობის დარგში აღსანიშნავია შემდეგი უმთავრესი ნაკლულოვანებანი: ნაკლები ყურადღება ექცევა გლეხთა ფენებათ დაყოფის საკითხებს; ერთგვარ პასივობას ვამჩნევთ სოფლის ყოფა -ცხოვრებასთან დაკავშირებულ საკითხებისადმი, ღარიბი და საშუალო შეძლების გლეხები საკმარისად არ არიან ჩაბმული პარტმუშაობაში და უშუალოდ პარტიაში; ამის გარდა აღსანიშნავია, რომ ნაკლები ყურადღება ექცევა უპარტიო გლეხობის აქტივის დაწინაურებას და პარტიული და პოლიტიკური მუშაობის დაკავშირებას სამეურნეო მშენებლობის საკითხებთან.

კომკავშირი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს სოფლად. ამიტომ, მისი სოციალური შემადგენლობის მოწესრიგებასთან ერთად, უნდა გაუმჯობესდეს პოლიტიკურ- აღმზრდელობითი მუშაობა მის წევრთა შორის, უნდა გაძლიერდეს მისი მონაწილეობა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის და განვითარების საქმეში, ფართე კულტურული ინიციატივის განვითარებაში და სოციალისტური მუშაკების ახალი კადრების მომზადებაში.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა გლეხ-ქალთა სადელეგატო კრებებს, რომლებიც მიზნათ ისახავენ პარტიის ახლო მდგომ გლეხ-ქალთა, კერძოთ ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხ-ქალთა ფართე ფენების ჩაბმას სოციალისტურ მშენებლობის საქმეში.

4. პარტიის მორიგი ამოცანები

ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ: 1) სოფლის სამეურნეო ცხოვრების დარგში ადგილი აქვს სახალხო მეურნეობის სოციალისტური სექტორის მნიშვნელოვან ზრდას; 2) კერძო კაპიტალი თანდათანობით იდევნება თითქმის ყველა მნიშვნელოვან პოზიციებიდან; 3) კულაკური ელემენტების ერთგვარ ზრდასთან ერთად სწარმოებს საშუალო გლეხობის გაძლიერება და სოფლის ღარიბ ნაწილის ორგანიზაციულად შეკავშირება; 4) სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია მთლიანად თანდათანობით აძლიერებს თავის როლს საქონლის ბრუნვის მოწესრიგების და გლეხობის საწარმოო გაერთიანების საქმეში. ამჟამად პარტიის წინაშე სდგას შემდეგი ამოცანები:

1. პარტიის სამეურნ. პოლიტიკა

ა) სოფლის მეურნეობის სახელმწიფოებრივ- გეგმიანი მოწესრიგება

1) უნდა გაძლიერდეს კოოპერაციის და სახ. ორგანოების მუშაობა სამრეწველო საქონლის სოფლად გასაღების და ქალაქისათვის სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოების დამზადების საქმეში, რაც ხელს შეუწყობს ბაზრის სტიქიის დაძლევას და გეგმიანობის დამყარებას სოფლის მეურნეობაში.

2) კოოპერაციის მუშაობის ფარგლების გაფართოებასთან ერთად, ხელი უნდა შეეწყოს ისეთი ურთიერთობის დამყარებას კოოპერაციასა და სახელმწიფო ორგანოებს შორის, როცა კოოპერაცია გადაიქცევა არა მარტო დამამზადებელ ორგანიზაციათ, არამედ ისეთ ორგანიზაციათ, რომელიც გადამწყვეტ როლს ითამაშებს, როგორც საქონლის ბრუნვაში, ისე საწარმოო კოოპერაციის ნიადაგზე სოფლის მეურნეობის გაერთიანების საქმეშიაც.

ბ) გადასახადებით დაბეგვრა

1) თვალყური უნდა ვადევნოთ, რომ ხელმოკლე გლეხობის განთავისუფლება სასოფლო-სამეურნეო გადასახადებისაგან ტარდებოდეს სრული სისწორით; ამასთან ერთად სოფლის შეძლებული ფენების გადიდებული შემოსავლის დაბეგვრის მიზნით, საჭიროა შემუშავდეს ღონისძიებანი უფრო გეგმიანი საშემოსავლო გადასახადზე გადასასვლელად.

გ) კოოპერაცია

1) გაფართოებული და გაძლიერებული უნდა იქნეს სამომხმარებლო და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ქსელი და უმნიშვნელოვანეს და პირველ რიგის საკითხად უნდა იქნეს ცნობილი კოოპერაციის რიგებში ღარიბ და საშუალო გლეხების ჩაბმის საჭიროება.

2) გაძლიერებული უნდა იქნეს ხელმოკლე მეურნეობათათვის სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის მიწოდება, რისთვისაც ფართე შეღავათები უნდა მიეცეს ამ მეურნეობათა ყოველგვარ გაერთიანებებს (არტელებს, ამხანაგობებს, კომუნებს და სხვ.) და ამით ბოლო უნდა მოეღოს ხელმოკლე მეურნეობათა სამეურნეო დამოკიდებულებას კულაკისაგან.

3) გაძლიერებული უნდა იქნეს ღარიბთა ფონდი სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტებით. აღნიშნული ფონდები მოხმარებული იქნეს მხოლოდ დანიშნულებისამებრ და ამავე დროს გაძლიერებული უნდა იქნეს ღარიბთა ფონდები სხვა კრედიტებშიაც.

4) ყურადღება მიექცეს იმას, რათა კოოპერაციის ორგანოები შესდგებოდენ გლეხობის მხოლოდ ღარიბ და საშუალო ფენების წარმომადგენლებისაგან.

დ) მიწათსარგებლობა და მიწათმოწყობა

1) ბრძოლა უნდა გამოეცხადოს, როგორც მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულს, ყოველგვარ პირდაპირ და არაპირდაპირ ცდას, მიმართულს მიწის ნაციონალიზაციის დარღვევისაკენ, როგორიცაა მიწის ყიდვა, გაყიდვა, გაჩუქება და სხვა.

2) მიღებული იქნეს ზომები საიჯარო მიწების სივრცის და საიჯარო ვადის შემცირებისათვის და პასუხისგებაში უნდა იქნენ მიცემული ის პირები, რომლებიც შემჩნეული იქნებიან საიჯარო კანონების დარღვევაში. მიღებული იქნეს ზომები, რომ მიწები იჯარით მიეცეს მხოლოდ ხელმოკლე გლეხებს, ან მათ გაერთიანებებს.

3) გლეხობის ღარიბ და ხელმოკლე ფენების მიწათმოწყობა გატარდეს სახელმწიფოს ხარჯზე და ყურადღება მიექცეს იმას, რომ მიწათმოწყობის დროს მთლიანად იქნეს დაცული გლეხობის უღარიბეს ფენების ინტერესები.

ე) დაქირავებული შრომა სოფლის მეურნეობაში

1) მთავარ ამოცანათ ცნობილი იქნეს ყველა სასოფლო-სამეურნეო მუშების და მოჯამაგირეების გაერთიანების საჭიროება მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის რიგებში. გატარდეს ცხოვრებაში კანონი სასოფლო-სამეურნეო და ტყის მუშების და მუშა-ქალების სოციალური დაზღვევის შესახებ. ამასთან ერთად ყურადღება მიექცეს იმას, რათა სასოფლო-სამეურნეო მუშები ფაქტიურად სარგებლობდენ იმ შეღავათებით, რომელთაც ანიჭებენ მათ შრომის კოდექსი და კოლხელშეკრულებები, და სასტიკ პასუხისგებაში იქნეს მიცემული ყველა, ვინც დაარღვევს აღნიშნულ კოდექსს ან კოლხელშეკრულებებს.

ვ) ხელმოკლე გლეხობის დაზღვევა. გლეხკომები

1. დაევალოს ცეკას მიიღოს ზომები [illegible] გლეხების მოხუცებულობის დროს დაზღვევის კანონის ცხოვრებაში გატარებისათვის საჭირო პირობების მოსამზადებლად. 2. გლეხკომების მუშაობა წარიმართოს გლეხობის მცირე შეძლების მქონე ფენებისათვის საწარმოო-კოოპერატიული დახმარების აღმოჩენის მხრით, რათა გლეხკომები ნამდვილად გახდენ სოფლის ღარიბ და საშუალო ფენების მასიურ ორგანიზაციათ, რომელიც აღვიძებს ამ ფენების სამეურნეო ინიციატივას და არა სხვის ხარჯზე ცხოვრების განწყობილებას (რასაც ჯერ კიდევ ადგილი აქვს მათ წრეში).

გ. საბჭოები. კულტურული მუშაობა

1. გლეხობის, განსაკუთრებით მისი ღარიბ და საშუალო ფენების აქტივობის ზრდის გამოყენების დროს ყოველნაირად ხელი უნდა შეეწყოს მათ ჩაბმას ყოველდღიურ შემოქმედებით მუშაობაში.

2. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გლეხური აქტივის შექმნასა და დაწინაურებას და მის დარაზმვას სოფლის სხვადასხვა ორგანიზაციების ირგვლივ.

უნდა შევეცადოთ, რომ აქტივის ზრდა სწარმოებდეს ღარიბ და საშუალო ფენებისა და აგრეთვე მოჯამაგირე გლეხ-ქალების ხარჯზე.

3. საბჭოების მომავალ საარჩევნო კამპანიაში ყოველნაირად უნდა იქნეს გამოყენებული გლეხობის აქტივობა იმ მიზნით, რომ სოფლის საბჭოებში გაძლიერდენ ღარიბი და საშუალო ფენები და საარჩევნო კამპანია ჩატარდეს ფართო საბჭოთა დემოკრატიის საფუძველზე. ამასთანავე ერთად საჭიროა თვალყურის დევნება, რომ საარჩევნო სიებიდან კულაკურ და სხვა ანტი-პროლეტარულ ელემენტების გამორიცხვის ნორმები მთელი სისასტიკით ტარდებოდეს.

4. სასკოლო სისტემა, რომელიც არაკვალიფიციური ინტელიგენციის გამრავლების მთავარი მიზეზია, მჭიდროთ უნდა დაუკავშირდეს სასოფლო-მეურნეობის მოთხოვნილებებს. პარტიამ და სახალხო განათლების ორგანოებმა მტკიცე კურსი უნდა აიღონ გლეხური ახალგაზრდობის სკოლების ქსელის გაფართოებისაკენ იმ მიზნით, რომ მახლობელ წლებში სოფლის სასკოლო სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილი აგებულ იქნეს ამ პრინციპზე.

5. საჭიროა განმტკიცდეს და გაფართოვდეს პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობა სოფლად, კერძოდ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოფლის რადიო-დადგმულობათა, კინოების, ბიბლიოთეკების და სხ. ქსელის გაფართოებას. ამ მუშაობაში მონაწილეობა უნდა მიიღონ პროფორგანიზაციებმა.

6. საჭიროა თვალყურის დევნება. რომ სახალხო ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებმა ყოველგვარი უფასო დახმარება აღმოუჩინონ ღარიბ და საშუალო ფენებს. სახალხო ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები უნდა იქნენ არა მარტო უშუალო საექიმო დახმარების მიმწოდებლები, არამედ სოფელში გამეფებულ უვიცობის წინააღმდეგ მებრძოლი ცენტრიც.

7. რევოლიუციონური კანონიერების განმტკიცება და, სასამართლო სისტემის რეფორმასთან დაკავშირებით, მისი ორგანოების ფართო გლეხურ მასებთან დაახლოვება უნდა სწარმოებდეს სოფლის სასამართლო ორგანოების შემადგენლობის კლასიური შერჩევის პოლიტიკის გაძლიერებასთან ერთად.

3. საორგანიზაციო -პარტიული საკითხები

შინა-პარტიული მუშაობის დარგში სოფლად პარტიის წინაშე შემდეგი მთავარი ამოცანები სდგას:

1. მუშაობის გაღრმავება ოპოზიციის იმ დანაშაულებრივი მოღვაწეობის ახსნა-განმარტების დარგში, რომელიც გათიშვით ემუქრება პარტიას; სოფლის მთელი პარტიული მასის დარაზმვა ლენინურ ცეკას გარშემო.

2. ყურადღების გაძლიერება გლეხობის ფენებად დაყოფის საკითხებისადმი, კერძოდ გადამჭრელი ზომების მიღება იმისათვის, რომ მუშაობა ღარიბ გლეხებს შორის ატარებდეს მუდმივ და სისტემატიურ ხასიათს; დაუშვებელია ღარიბი გლეხობის ჯგუფების ორგანიზაციული განცალკევება და მათ მიერ ადმინისტრატიული ფუნქციების მითვისება.

3. ღარიბი გლეხობისა და მოჯამაგირეების მოწინავე ფენების მოზიდვა პარტიაში.

4. მოჯამაგირეების მოზიდვა მიწა-ტყის მუშაკების კავშირში, მათი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება და მათი ეკონომიური ინტერესების ყოველგვარი დაცვა.

5. მუშაობის გაძლიერება მოსახლეობის გასამხედროების მიზნით და მისი ჩაბმა ნებაყოფლობით საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, კერძოდ თავდაცვა—ავიაქიმში.

6. ყურადღების გაძლიერება სოფლის ყოფა-ცხოვრების საკითხებისადმი, როგორიცაა: საგზაო და სასკოლო მშენებლობა, საგადასახადო საქმე, დაზღვევა, საექიმო დახმარება და სხ.

7. გადამჭრელი და სისტემატიური ბრძოლა ბიუროკრატიულ გადამახინჯებასთან, საქმის გაჭიანურებასა და უყაირათობასთან, რომლებიც აფერხებენ მთელი მოსახლეობის ნაყოფიერ მუშაობასა და სასოფლო მეურნეობის განვითარებას.

8. არა პარტიულ ორგანიზაციებზე ხელმძღვანელობის გაძლიერება სათანადო კომფრაქციების საშუალებით და სოფლის უჯრედების მხრით არა პარტიული ორგანოების საქმეებში უშუალო ჩარევის შემთხვევების დაუშვებლობა.

9. პოლიტუცოდინარობის ლიკვიდაცია სოფლის პარტიულ მასაში, მისი ჩაბმა პოლიტსკოლებში, თვითგანვითარების წრეებში და სხ.

10. სოფლის უჯრედების მუშაობის სიმძიმის ცენტრის გადატანა გლეხობისათვის შემდეგი სახის დახმარების (კულტურული და ორგანიზაციული დახმარების) დარგში: მიწათსარგებლობის ფორმების გაუმჯობესების, სამანქანო ამხანაგობების, კერძოთ ღარიბთა სამანქანო ამხანაგობების და სასოფლო-სამეურნეო არტელების მოწყობის დარგში და სხ.

11. ხელმძღვანელობის გაძლიერება საკანდიდატო ჯგუფებზე, მათ მუშაობაში გეგმიანობის შემოღება, ზომების მიღება მათში პარტდისციპლინის აწევის მიზნით და წესდების დარღვევის ცდების ლიკვიდაცია.

12. მტკიცე კურსის აღება ნამდვილი შინა-პარტიული დემოკრატიის გაღრმავებისაკენ; ოპოზიციონერობასთან საქმიანი კრიტიკის შერევის დაუშვებლობა.

13. დაწინაურებისა და უპარტიო გლეხურ აქტივთან მუშაობის შესახებ უმაღლეს პარტორგანოების დადგენილებათა რეალიზაცია, აქტივისტების საზოგადოებრივ სამუშაოზე გეგმაშეწონილი დაწინაურების გზით. უარყოფილი უნდა იქნას აქტივობის ფორმალური განსაზღვრა და აღებულ იქნას კურსი აქტივის ღარიბ და საშუალო ფენებიდან წამოყენებისაკენ.

14. ღარიბ გლეხთა ახალგაზრდობის ჩაბმა კომკავშირში, პოლიტიკური დონისა და პარტდისციპლინის აწევა სოფლის კომკავშირელებში და მათი მონაწილეობის გაძლიერება სასოფლო-მეურნეობის ინტენსიფიკაციისა და მისი კულტურული წარმოების საქმეში.

15. მუდმივი პარტიული და კომკავშირული ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა პიონერთა ორგანიზაციებზე, მათ შორის მუშაობაში სოფლის ინტელიგენციის ჩაბმა, პიონერთა შორის ანტირელიგიური პროპაგანდის გაძლიერება და წინამძღოლთა კადრის მომზადება.

16. ყურადღების გაძლიერება პარტიული ორგანიზაციების მხრით ქალთა შორის მუშაობისადმი, მათი ყოველდღიურ პრაქტიულ მუშაობაში ჩაბმა და სხ.

17. სოფლის უჯრედების ყურადღების გაძლიერება ანტიმენშევიკურ მუშაობისადმი და ამ მუშაობაში პასივობის ელემენტების აღმოფხვრა.

საქ. კომპ. (ბ) ცეკას სამეურნეო მუშაობა

საკავშირო კომპარტიის (ბ) მეთოთხმეტე ყრილობის ძირითადი ხაზი სამეურნეო და პოლიტიკურ მშენებლობაში წარმოადგენდა საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას მუშაობის საფუძველს საანგარიშო პერიოდის განმავლობაში.

ეს ორი წელი, რომელიც გავიდა საქართველოს კომპარტიის მეოთხე ყრილობის შემდეგ, შეიძლება ითქვას, არის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი პერიოდი ამიერ-კავკასიის რევოლიუციონურ განვითარების მთელ მანძილზე. აღნიშნულ პერიოდის თავისებურობა და მისგან გამომდინარე ამოცანათა სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ პარტიას საანგარიშო წლის განმავლობაში გადასაწყვეტი ჰქონდა ისეთი დიდი ამოცანები, როგორიცაა ინდუსტრიალიზაციის საქმის განმტკიცება, მომჭირნეობის რეჟიმის ჩატარება, პარტიის პოზიციის გამაგრება სოფელში, ისე რომ ეს სიმაგრე დაყრდნობილი ყოფილიყო საშუალო გლეხისა და ღატაკების კავშირზე და ყოველივე ამასთან ერთად საკუთარი რიგების მთლიანობის დაცვა, რაც ოპოზიციის დეზორგანიზატორულ გამოსვლების გამო საანგარიშო პერიოდის განმავლობაში უაღრესი მნიშვნელობის მოტანას წარმოადგენდა ჩვენს შინა-პარტიულ მშენებლობის საქმეში.

სამრეწველო მშენებლობა

როგორ გადაწყვიტა საქართველოს კომპარტიის ცეკამ ეს მორიგი დიდი მნიშვნელობის სამეურნეო და პოლიტიკური ხასიათის ამოცანები? პირველყოვლისა სამეურნეო მშენებლობის შესახებ. როგორც ვიცით ჩვენი პარტიის ძირითად გეზს სამეურნეო მოღვაწეობაში წარმოადგენს ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, რომელიც მიმართული იქნება სოციალისტური მშენებლობის შემდგომი განმტკიცებისაკენ და სოფლისა და ქალაქის ახალ გაძლიერებულ მოთხოვნილების დაკმაყოფილებისაკენ. საქართველოში ინდუსტრიალიზაციის ამოცანა სდგას უმთავრესად, როგორც მრეწველობაში ახალ კაპიტალურ დაბანდებათა ამოცანა. ჩვენი ქვეყანა მთელ რიგ ისტორიულ და პოლიტიკურ მიზეზების გამო ისე, როგორც ძველი რუსეთის ბევრი სხვა ყოფილი პერიფერიები, ჩამორჩენილია მრეწველობის განვითარების მხრივ, ამავე დროს საქართველო თავის ბუნებრივ სიმდიდრით ნოყიერ ნიადაგს წარმოადგენს მრეწველობის სხვადასხვა სპეციფიურ ფორმათა განვითარებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცეკას ყურადღებაც ჩვენი სამრეწველო მშენებლობის დარგში უმთავრესად აქეთკენ იყო მიმართული. ჯერ კიდევ საქართველოს კომპარტიის ცეკას 1926 წლის დეკემბრის პლენუმმა აღნიშნა რომ საქართველოს მრეწველობამ საშუალოდ მიაღწია ომამდე არსებულ დონეს და ზოგიერთ დარგში კიდეც გადალახა ის. პლენუმმა საჭიროდ სცნო მრეწველობის შემდგომ განვითარება წარმართული ყოფილიყო ბუნებრივ სიმდიდრეთა (ნახშირი, სპილენძი) გამოყენებისა და ნედლეულის (აბრეშუმი, ტყე) დამზადების გაძლიერების გზით.

თუ ჩვენ შევადარებთ საქართველოს ტრესტების პროდუქციას 1925-26 წლის პირველ ნახევარში, ამავე ტრესტების პროდუქციასთან 1926-27 წლის პირველ ნახევარში მივიღებთ, რომ ის გაიზარდა 11,46 პროცენტით. ეს ზრდა დღესაც შეუჩერებელი ტემპით მიმდინარეობს.

თუ ჩვენ გადავხედავთ მრეწველობის ცალკე დარგებს და შევადარებთ მათი პროდუქციის რეალიზაციის ჯამს 1926-27 წლის პირველ ნახევარში—1925-26 წლის პირველ ნახევართან, ასეთ სურათს მივიღებთ: ნახშირის მრეწველობა გაიზარდა 43,2 პროცენტით; ტყის 15 პროცენტით და პოლიგრაფიული—5,5 პროცენტით.

ჩქარი ნაბიჯით მიდის წინ აბრეშუმის მრეწველობა, რომელმაც 1926-27 წ. მოგვცა 2,083,084 მანეთის პროდუქცია.

მთავარ დაბრკოლებას მრეწველობის განვითარებისათვის წარმოადგენდა და წარმოადგენს საბრუნავი თანხების სიმცირე. ამჟამად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს მრეწველობა წინ მიდის წარმოებათა ტეხნიკურად გაუმჯობესების და ახალ ფაბრიკა-ქარხნების აშენების გზით.

ელექტროფიკაცია

მაგრამ მრეწველობის შეუჩერებელი წინსვლა მთელი სიმწვავით აყენებს სათბობი მასალის, ან მამოძრავებელი ენერგიის გამომძებნისა და გაძლიერების საკითხს. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა ელექტროფიკაციას. წყლის ენერგიით ისეთ მდიდარ ქვეყანაში, როგორიცაა საქართველო, ელექტროფიკაციას შეუძლია გადაიქცეს არა მარტო მრეწველობის, არამედ მთელი სახალხო მეურნეობის მძლავრ სოციალისტურ მამოძრავებლად.

საქართველოს კომპარტიის ცეკა ამ საკითხს თავიდანვე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. ამ მხრივ ჩვენ უკვე გვაქვს ბევრი თვალსაჩინო მიღწევანი და ვდგევართ საუკეთესო პერსპექტივების წინაშე. ჰიდროელსადგურები, რომელნიც უკვე აშენებულია, ან რომელნიც ეხლა შენდება, შეიძლება დაყოფილ იქნეს სამ ჯგუფათ: **რაიონული, ადგილობრივი და მცირე-ძალოვანი სადგურები.** პირველი ჯგუფის რიცხვს ეკუთვნის მაგალითად საყოველთაოდ ცნობილი ზემოავჭალის ჰიდროელსადგური (ზაჰესი) და რიონის ჰიდრო-ელსადგური, რომელიც შენდება ქუთაისის მახლობლად.

ზაჰესი უკვე გახსნილია და ის ჯერ-ჯერობით იძლევა 18-20.000 ცხენის ძალას, რომელიც შეიძლება გადიდებულ იქნას 54.000 ცხენის ძალამდე. ზაჰესის ამუშავების შემდეგ სრულიად განთავისუფლდა სათბობი მასალით მომუშავე მრავალი მოტორი, რომელთაგან ბევრი უნაკლო იყო. აქედან ნაწილი გადაეცა მაზრებს იქ არსებულ ელსადგურების გასაძლიერებლად.

რაც შეეხება რიონის ელსადგურს, მისი აგება უკვე დაიწყო და უნდა დასრულდეს 1931 წელს. ამ სადგურის მთავარი დანიშნულებაა ენერგიის მიწოდება სურამის უღელტეხილზე, ჭიათურის სამთო მრეწველობისათვის და ქაღალდის ფაბრიკის დაკმაყოფილება, რომელიც აგებული იქნება მდ. ენგურზე და რომელსაც რიონჰესთან ერთად ენერგიას მიაწოდებს აბაშის ჰიდრო-ელსადგურიც.

ადგილობრივ სადგურების ჯგუფში შედის: 1) აჭარის წყალი ჰიდროელსადგური, რომელიც შენდება ს. მახუნცეთში ბათომის ახლოს და რომელსაც შეეძლება 12.000 ცხენის ძალიანი ენერგიის მიცემა. 2) აბაშის ჰიდრო-ელსადგური, რომელსაც ექნება 3.200 ცხენის ძალა.

მესამე ჯგუფის სადგურებში კი, ესეიგი მცირე ძალოვან სადგურების რიგში შედიან შემდეგი ელსადგურები: ახალციხის ჰიდრო-ელსადგური—150 ცხენის ძალა; აბასთუმანის ჰიდრო-ელსადგური 75 ცხენის ძალა; ონის ჰიდრო-ელსადგური —120 ცხენის ძალა (ეს სადგური დასრულებული იქნება 1928 წელში); შოვის ჰიდრო-ელსადგური—120 ცხენის ძალით; ხონის ჰიდრო-ელსადგური 80 ცხენის ძალა; ცხინვალის ჰიდრო-ელსადგური—70 ცხენის ძალა და ახალქალაქის ჰიდრო-ელსადგური, რომლის შეკეთებაც ეხლა მიმდინარეობს და რომელიც ტურბინის დადგმის შემდეგ მოგვცემს 100-120 ცხენის ძალას.

ასეთია ამჟამად საქართველოს ელექტროფიკაციის სურათი. ცეკა როგორც უკვე ვთქვით, ამ საკითხს აქცევს უდიდეს ყურადღებას. მან საჭიროდ სცნო საქართველოს ელექტროფიკაციის საერთო გეგმის გამომუშავება და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან სპეციალური ორგანოს დაარსება, რომელიც ხელმძღვანელობას და ზედამხედველობას გაუწევს საელექტროფიკაციო მშენებლობას ჩვენში.

შრომის ნაყოფიერება და ხელფასი

მრეწველობის განვითარება მჭიდროთაა დაკავშირებული შრომის ნაყოფიერების გადიდების საკითხთან. ამას ყურადღება მიაქცია აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცეკას მეხუთე პლენუმმა. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ჩვენ მოწმე ვართ შრომის ნაყოფიერების უდავო ზრდისა. თუ მრეწველობის ცალკე დარგებს ავიღებთ, თვითეული მათგანში შრომის ნაყოფიერების მხრივ ასეთი სურათი გვექნება: თამბაქოს მრეწველობა პროცენტული შეფარდებით შემდეგ ციფრებს იძლევა: 1923-24 წ. თითო კაცზე (შრომის ერთეულების მიხედვით) უდრიდა 3,55 პროცენტს; 1924-25 წელს—4,4 პროცენტს; 1925-26 წელს—5,8 პროც. 1926-27 წელს კი 6,95 პროცენტს. ტყავის მრეწველობა გვაძლევს შემდეგ ციფრებს: 1923-24 წელს—0,73 პროცენტს; 1924-25 წელს 0,87 პროც; 1925-26 წ. 1,09 პროცენტს და 1926-27 წლის პირველ ნახევარში 1,23 პროცენტს.

აქედან ცხადია, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში შრომის ნაყოფიერება შეუჩერებლივ იზრდება.

მაგრამ ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება გვერდი აუხვიოთ ხელფასის საკითხს. აქ ცეკა ატარებდა შემდეგ ხაზს: ხელფასის არსებულ დონის განმტკიცება ხელფასის მხრივ ჩამორჩენილ მუშა-მოსამსახურეთა ჯგუფების წინ წამოწევა და რეალური ხელფასის გადიდება. ფასების დაკლების კამპანია სამუშაო ქირის რეალური ღირებულის გადიდების ერთი მთავარი საშუალებათაგანი იყო. ამ კამპანიის წარმატებით ჩატარებას პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა.

როგორია ხელფასის ზრდის სურათი ჩვენში? ნომინალური ხელფასის საერთო ზრდა საქართველოს მრეწველობაში შემდეგ შედეგს იძლევა. თვიური ხელფასი ჩერვონეცის მანეთებში 1925-26 წელთან შედარებით 1926-27 წლის პირველ ნახევარში იყო ასეთი:

	1925-26 წ.	1926-27 წ.	გაიზარდა
შუშის მრეწველობაში	58,58	66	12,7%
ნახშირის „	32,91	45,08	37%
ლითონის „	68,70	74,26	8,1%
ხის დამმუშავ. „	53,77	58	7,9%
თამბაქოს „	49,45	58,64	18,6%
საპნის სახარში „	53,50	58.92	10,1%
ტყავის „	69,16	82,92	19,9%
პოლიგრაფის „	76,37	78,03	1,9%

ასეთივე სურათს მივიღებთ თუ ჩვენ ავიღებთ რეალურ ხელფასის ზრდას. ციფრები აქ აღებულია საქონლის მანეთებში. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი იმის მაჩვენებელია, რომ რეალური ხელფასი წარსული ორი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა. ასე მაგალითად:

	1924-25 წ.	1926-27 წ.	გადიდება
ნახშირის მრეწველობაში	12,63	17,80	
ლითონის „	24,51	29,32	19,6%
ხის დამმუშ. „	19,38	22,90	18,2%
თამბაქოს „	17,45	23,16	32,7%
საპნის სახარში „	18	23,25	29,2%
ტყავის „	24,53	32,73	33,4%
პოლიგრაფის „	26,,50	31,41	18,5%
შუშის „	19,80	26,07	31,7%

ამრიგად საშუალო რეალური ხელფასი 1924-25 წელს 23 მანეთსა და 49 კაპეიკიდან 2926-27 წ. გაიზარდა 25 მანეთსა და 24 კაპეიკამდე, ესე-იგი ამ ხნის განმავლობაში რეალური ხელფასი გაიზარდა 7,4 პროცენტით.

უმუშევრობასთან ბრძოლა

ამასთან დაკავშირებით ცეკა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა უმუშევრობასთან ბრძოლას. თუ რა მიღწევებია ამ მხრივ, ეს სჩანს უმუშევრობის დღევანდელ სურათიდან, რომელიც ეხლა გვაქვს საქართველოში. 1926 წლის 1 სექტემბერის რეგისტრაციაში გატარებულ უმუშევართა საერთო რიცხვი უდრიდა—17.077 კაცს. 1927 წ. უმუშევართა რიცხვი გაიზარდა 1,32, რაც იძლევა უმუშევართა საერთო რიცხვს 17.303 კაცის რაოდენობით.

აღსანიშნავია, რომ უმუშევართა შორის დიდმნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ ისეთები, რომელნიც არ არიან წარმოებაში ნამუშევარნი და მოკლებულნი არიან რაიმე სპეციალურ ცოდნას. ასე [illegible]გალითად ამათგან კვალიფიციური 25 პროც., დაბალი კვალიფიკაცია აქ[illegible] 24,9 პროც., სრულიად არა აქვს კვალ[illegible]ფიკაცია 49,4 პროც. აქედან ისმება ს[illegible] [illegible]ადო სამუშაოების ფართოთ მოწყ[illegible] ამოცანა.

მიმდინარე წელს უმუშევრობ[illegible] საბრძოლველად გაღებულია 198.78[illegible] [illegible]ნეთი, საზოგადო სამუშაობის მოწ[illegible]ბაზე კი 43 ათას მანეთზე მეტი. ამ [illegible] და უმუშევრობის წინააღმდეგ ბ[illegible] სწარმოებს უმუშევართა კოლექ[illegible] ორგანიზაციის გზით. ეს კოლე[illegible] აერთიანებს უმუშევართა მნიშვ[illegible] ნაწილს. ასე მაგალითად თბილ[illegible] კაცს, ბათომში 66, ქუთაისში 18[illegible] [illegible]ში 65 და სხვა ადგილებში 1,47[illegible]

ყველა ეს საშუალებანი, მნი[illegible]ნად ამსუბუქებენ უმუშევართ[illegible] [illegible]რეობას.

კოოპერაცია და კერძო კაპიტალი

ვაჭრობასა და კოოპერაცი[illegible] კავშირი აქვთ ინდუსტრიალ[illegible]ციასთან და სოციალისტურ[illegible] [illegible]ლობის წარმატებასთან. ამიტომ [illegible] საკითხები, საკითხები ბაზრის მოწესრიგებისა და მისი შემდგომი დაპყრობის შესახებ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ცეკას განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდენ. გადადგმული იყო ნაბიჯები იმისაკენ, რომ სახელმწიფო ვაჭრობისა და კოოპერაციის ხვედრითი წონა უფრო გადიდებულიყო. ამან კი მოგვცა ასეთი შედეგები: 1924—25 წლის პირველ ნახევარში სახელმწიფო ვაჭრობის როლი საქონლის საერთო ტრიალში უ[illegible]რიდა 48,5 პროც., ამავე წლის მეო[illegible] ნახევარში 47,4 პრ. 1925-26 წლის მ[illegible]რე ნახევარში კი 51,9 პროც. ამავე [illegible] განმავლობაში კოოპერაცია იძლევა [illegible]დეგ სურათს: 1924—25 წლის პი[illegible] ნახევარში კოოპერაციის როლი ს[illegible]ლის საერთო ტრიალში უდრიდა 21,7 პროც., 1924—25 წლის მეორე ნახევარში 28,9 პროც.. 1925—26 წლის პირველ ნახევარში კი 30,5 პროცენტს. როგორი იყო ამავე წლების განმავლობაში კერძო კაპიტალის როლი ჩვენს ბაზარზე? აი, ამის დამახასიათებელი ციფრები: 1924—25 წლის პირველ ნახევარში კერძო კაპიტალის მონაწილეობა ბაზარზე უდრიდა 29,8 პროც., 1924—25 წლის მეორე ნახევარში 26,7 პროც., 1925—26 წლის პირველ ნახევარში კი 23,7 პროცენტს.

ამ ცნობებიდან აშკარაა, რომ კერძო კაპიტალის როლი თანდათან კლებულობს და ეს მაშინ, როცა საქონლის საერთო ტრიალი შეუჩერებლივ იზრდება.

გარდა ამისა სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობაში ცეკა მიაქცევდა ყურადღებას იმას, რომ ფასების დაკლებასთან ერთად მომხდარიყო კოოპერაციის ფინანსიურად გაჯანსაღება და ორგანიზაციულად გამაგრება. ამ მიზნით ცეკამ კოოპერაციას მისცა სპეციალური დირ[illegible]ვები, რომელნიც დამუშავებული [illegible] სამისოდ მოწყობილ თათბირებზე. [illegible]რექტივების შესრულების შემდეგ კი ა[illegible]რებდენ შემოწმებას სპეციალური გა[illegible]კვლევათა საშუალებით.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ღონისძიებების შემდეგ კოოპერაციის მუშაობა გამოცოცხლდა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სამომხმარებლო კოოპერაციის სავაჭრო საქმიანობის გაუმჯობესება, მისი ფინანსიურად გაჯანსაღება. ამასთან ერთად კოოპერაციაში გაერთიანებულ მოსახლეობის რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა. ზოგიერთ რაიონებში ეს ზრდა 45 პროც-მდე აღწევს. საშუალოდ მთელს საქართველოში კი კოოპერატივის წევრთა რიცხვი გაიზარდა 15 პროცენტით.

ფასების დაკლება

ფასების დაკლებას, როგორც ისეთ დიდმნიშვნელოვან ლოზუნგს, რომელსაც სხვათა შორის დიდი კავშირი აქვს მუშათა რეალური ხელფასის გაზრდასთან და ჩერვონეცის სყიდვითი უნარიანობის და განმტკიცებისათვის ცეკა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. ეს საკითხი იდგა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) მეექვსე პლენუმის დღის წესრიგში. პლენუმმა აღნიშნა, რომ ფასების დაკლების დარგში, კოოპერაციამ საგრძნობი მუშაობა გაატარა, მხოლოდ ნაკლები მონაწილეობა გამოიჩინა ამ საქმეში მრეწველობამ. იმისათვის, რომ მომავალში ფასების დაკლება უფრო ტკიცედ ჩატარებულიყო საჭიროდ იქნა აღიარებული სპეციალური კამპანიის ჩატარება, რომელსაც მიზნად ექნებოდა დასახული მრეწველობისა და საქონლის გამტარებელი ქსელის ზედნადები ხარჯების შემცირება. ამ ღონისძიებებმა, რომელნიც პარტიამ ჩაატარა პროფკავშირებით და მაშასადამე მასსის აქტიური მონაწილეობით, დამაკმაყოფილებელი შედეგი მოგვცეს. მაგრამ მრეწველობის მონაწილეობა ფასების დაკლების საქმეში ნორმალურ დონეზე მაინც ვერ დაიყვანეს. ფასების დაკლება საერთოდ საქართველოში ჩატარდა 8,3 პროც .აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს დაკლება მოხდა უმთავრესად მოგებისა და დაგროვებულ დოვლათის ხარჯზე.

თბილისი ფასების დაკლების მხრივ ბევრად წინ უსწრებს საქართველოს სხვა რაიონებს. ასე მაგალითად ფასების დაკლება თბილისში ჩატარდა 11,1 პროცენტით. სხვა ქალაქებში კი როგორც არის ბათომი, ფოთი, ქუთაისი, სოხუმი—7,5 პროც., დანარჩენ ქალაქებში ფასების დაკლება უდრის 7,1 პროც. სოფლად კამპანიამ მოგვცა ფასების 8 პროცენტით დაკლება.

(შემდეგი იქნება)

პროფკავშირები ათი წლის თავზე

საქართველოს გასაბჭოების პირველ დღეებიდანვე მუშათა მოძრაობა ყალიბდება ისეთ ორგანიზაციულ ფორმებში, როგორც ადგილი ჰქონდა საბჭოთა კავშირის სხვა ნაწილებში, ამან საშუალება მისცა მუშათა კლასს შეექმნა საქართველოში მასიური მუშათა მოძრაობა, რაც ვერ შესძლეს მენშევიკებმა 1919—20 წლის პერიოდში.

მენშევიკების დროს პროფკავშირები მოწყობილი იყვნენ ვიწრო ამქრულ საფუძველზე და ისინი სულაც ვერ აერთიანებდნენ საქართველოში მყოფ ყველა დაქირავებულ პირს. მშრომელთა 40 პროც. არ იყო ჩაბმული პროფესიონალურ მოძრაობაში; ისინი კავშირების უფლებრივ და ეკონომიურ დაცვის გარეშე იყვნენ დატოვებულნი და კერძო მწარმოებელთა უსაზღვრო ექსპლოატაციას განიცდიდნენ.

საბჭოთა პროფესიონალური კავშირები ორგანიზაციული მხრივ ჩამოყალიბებული არიან წარმოებების მიხედვით. მათ მიზანს შეადგენს მაქსიმალურად ჩააბას დაქირავებულნი პროფესიონალურ მოძრაობაში.

საქართველოს პროფესიონალურ კავშირებს შეუძლიათ იამაყონ ამ მხრივ არსებულ მიღწევებით. საბჭოთა საქართველოში ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე არსებობენ მძლავრი პროფესიონალური ორგანიზაციები, რომლებშიაც ჩაბმულია 165.073 (229,3 პრ. მეტი, მენშევიკების დროსთან შედარებით) წევრი. კავშირების გარეშე დარჩენილია მხოლოდ 8,8 პროც., რომლის უმრავლესობამ ჯერ კიდევ ვერ მოასწრო კავშირის წევრად ჩარიცხვა, ანდა, ზოგი მათგანი სეზონობით მომუშავენი არიან და სამუშაოს დასრულების შემდეგ სოფლებში თავიანთ მეურნეობას უბრუნდებიან.

პროფესიონალური მოძრაობა საქართველოში, როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ეწყობა ფართო დემოკრატიისა და მასების თვითმოქმედების საფუძვლებზე.

ფკავშირების წევრთა უმეტესი ნაწილის ჩაბ ქტიურ პროფმუშაობაში ხორციელდება საკავშირო აპარატის დაახლოვებით საკ მასასთან. მასების აქტიურობის ცხადსაყოფად შეიძლება მოვიყვანოთ ჩვენი პროფკავშირების ყრილობები, კონფერენციები და საერთო კრებები. ამ კრებების მონაწილეთა საქმიანი გამოსვლა პროფკავშირების მორიგ ამოცანათა და მუშათა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო საკითხების გადაჭრის საქმეში, მაჩვენებელია იმის, რომ ჩვენი კავშირების მუშაობის ხაზი სწორია და საკავშირო მასების ნამდვილ საჭიროებას და მოთხოვნილებას შეეფერება.

წინეთ არსებული შემთხვევები საკავშირო აპარატებში მომუშავეთა დანიშვნისა და თავზე მოხვევისა, რაც მეტ წილად მშრომელთა აქტივობას ადუნებდა,—სრულიად აღმოფხვრილია. პროფკავშირების აპარატის შერჩევა ხდება ფართო დემოკრატიის მონაწილეობით. ეს დასტურდება ფაბ-ქარხ-ადგილკომების გადარჩევის კამპანიით, რომელსაც ამჟამად ატარებენ საქართველოს პროფკავშირები.

როგორი აქტივი ჰყავს ამჟამად საქართველოს პროფმოძრაობას? კავშირების აქტიურ მუშაობაში ჩაბმულია 19502 პროფკავშირის წევრი, რაც უდრის საქართველოს პროფკავშირების ყველა წევრთა 12,4 პროცენტს. საჭიროა ხაზი გაუსვათ იმ გარემოებას, რომ ამ აქტივის აბსოლუტური უმრავლესობა უშუალოდ მუშაობს წარმოება-დაწესებულებებში და მხოლოდ 3,8 პროც. იმყოფება საკავშირო ორგანიზაციების აპარატში ფასიან თანამდებობაზე. ამნაირად, აქტივის ძირითადი მასა, რომელიც უშუალო მონაწილეობს პროფკავშირების საკითხების გადაწყვეტაში, დაკავშირებულია წარმოებასთან და იმყოფება პროფკავშირებში გაერთიანებულ მასებთან უშუალო დამოკიდებულებაში.

პროფესიონალურ მოძრაობის უაღრესად განვითარებამ შექმნა მშრომელთა მატერიალური და კულტურულ გაუმჯობესების პირობები. საქართველოს გასაბჭოების პირველ წლებში როცა მუშათა კლასს მენშევიკებიდან მემკვიდრეობად დარჩა დანგრეული სახელმწიფო მეურნეობა, მშრომელთა მატერიალურ მდგომ ობის გაუმჯობესება მიდიოდა ნელი ნაბიჯით. გორც სახელმწიფოს, ისე პროფკავშირებს უხ ოდათ არაჩვეულებრივი ენერგიის ხარჯვა, აღედგინათ დანგრეული სახალხო მეურ ა და შეექმნათ მატერიალური და ფინან დასაყრდენი მშრომელთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე პროფკავშირებს ამ მხრივ დიდი მიღწევები აქვს.

თუ 1924 წელში საქართველოს მუშა საშუალოდ იღებდა 26 მან. 16 კაპ., 1926 წელში მუშის სამუშაო საშუალო ხელფასი უდრის—62 მან. 93 კაპ. მუშის სამუშაო ხელფასმა 1926 წ. უკვე მიაღწია ომამდე არსებულ ხელფასის დონეს, 1913 წელს მუშის საშუალო ხელფასი უდრიდა 25 მან. 28 კ. ხოლო მენშევიკების დროს—1920 წ. იგი კატასტროფიულად დაეცა—5 მან. 59 კ. 1926 წ. მან უკვე მიაღწია ომამდე არსებულ დონეს, ხოლო 1927 წ. მუშის ხელფასმა წინ გაუსწრო ომამდე არსებულ ხელფასს.

სახელმწიფო-დაწესებულებებსა და სავაჭრო წამოწყებების მოსამსახურეთა სამუშაო ხელფასმა, რომელიც 1925 წ. უდრიდა 68 მან. 77 კაპ., 1926 წელში მიაღწია 77 მან. 29 კ.

ახალ სამეურნეო წელში კიდევ მოიმატებს რეალური სამუშაო ხელფასი.

უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად არსებულ სამუშაო ხელფასში ზედმეტ სამუშაოთა როლი შემცირებულია მინიმუმამდე (საერთო ხელფასში 1926 წელში ზედმეტ მუშაობიდან აღებული გასამრჯელო შეადგენდა 2,5 პროც.) ზემომოყვანილი მუშის ხელფასი შეადგენს 8 საათის სამუშაო გასამრჯელოს.

ომამდე სამუშაო დროის ხანგრძლივობა უდრიდა 10 საათს, ხოლო ფაქტიურად კი იგი ამ ციფრს აღემატებოდა.

საბჭოთა კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ოქტომბრის მანიფესტი, რომელმაც ქუხილივით დაიჭექა მუშათა მტრების თავზე, აწესებს 7 საათის სამუშაო დროს, რაც სოციალისტური რევოლიუციის უაღრეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს. ეს კი უმჯობესებს მატერიალურ პირობებს მუშათა კლასს.

გარდა ამისა დღეს მშრომელთა ბინის ქირა და კომუნალური სამსახური წესდება სახელმწიფოს მიერ, რის გამოც სახლის მფლობელებს არ შეუძლიათ არსებულ საბინაო კრიზისით ისარგებლონ და მტაცებლური ბინის ქირა დააწესონ.

მშრომელთა და მათი ოჯახის წევრების ჯანმრთელობის დაცვას მთლიანად იღებს თავის თავზე სახელმწიფო. სოციალისტური დაზღვევა სავალდებულოა, რაც ტარდება განსაკუთრებით დამქირავებელთა ხარჯზე და არა მშრომელთა ხელფასიდან, როგორც ეს იყო მენშევიკების დროს. მშრომელთათვის დაარსებულია დასასვენებელი სახლები და სანატორიუმები, სადაც წინეთ ნებივრობდა ბურჟუაზია. ამ სახლებში გაიარა მუშებმა შემდეგი რაოდენობით.

დასას. სახლებ.	1923—24 წ.	8.873 კაცი
„ „	1925—26 წ.	6.109 კაცი
სანატორიუმებში	1923—24 წ.	1.482 კაცი
„	1925—26 წ.	2.762 კაცი.

თუ როგორი დიდი სამუშაო გაატარა სოციალურ დაზღვევის სალაროებმა, ამას გვიჩვენებს შემდეგი ციფრები: ერთ დაზღვეულზე საშუალოდ დაიხარჯა:

1922—23 წ.	48 მან. 44 კაპ.,
1923—24 წ.	61 მან. 91 კაპ.,
1924—25 წ.	81 მან. 70 კაპ.,
1925—26 წ.	92 მან. 42 კაპ.

დაბოლოს, მშრომელთა კულტურულ დონის აწევის საქმეში პროფკავშირებმა დიდ მუშაობა ჩაატარა. კულტურული სამსახური მშრომელებს ეწევათ სხვადასხვა ტიპის სკოლებსა, კლუბებსა და ყოველგვარ კულტურულ სანახაობათა საშუალებით. შეძლებულ კლასთა მონოპოლია ხელოვნებაზე უკვე დამსხვრეულია. ხელოვნება ამჟამად სამსახურს უწევს იმ მშრომელ კლასთა აღზრდას, რომელიც ამას გასაბჭოებამდე იყვნენ მოკლებულნი.

საქრთველოს მშრომელთ და პროფესიონალურ ორგანიზაციებს დიდი მიღწევები აქვთ დიადი ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე.

პროფკავშირები,—რომლებიც ეყრდნობიან მუშათა კლასის მტკიცე და ურყევ გადაწყვეტილებას იბრძოლონ კომუნიზმის დიადი იდეალების განსახორციელებლად. შემდეგშიაც განაგრძობენ მუშაობას, რომ ამით კიდევ უფრო უკეთესად გააუმჯობესონ მუშათა კლასის მატერიალური და კულტურული მდგომარეობა.

მუშათა კლასი, გადის რა ის კომუნიზმის სკოლას, საკუთარი გამოცდილებით სწავლობს თუ როგორ უნდა ააშენოს სოციალისტური საზოგადოება. ის მას კიდეც ააშენებს.

ბაგრატ მახაიძე.

ოქტომბრის გავლენა გლეხთა საერთაშორისო მოძრაობაზე

ოქტომბრის რევოლიუციამ უდიდესი გავლენა იქონია საერთაშორისო რევოლიუციონურ მოძრაობაზე საერთოდ, კერძოდ კი გლეხთა რევოლიუციონურ მოძრაობაზე. მრავალმილიონიან რუსეთის გლეხობის აქტიური მონაწილეობა რევოლიუციაში, მემამულეებისა და კაპიტალისტების ხელისუფლების დამხობა, მშრომელი ხალხის სახელმწიფოს შექმნა, მიწის გადასვლა ამ სახელმწიფოს ხელში,—ეს ისეთი ფაქტებია, რომლებმაც გამოძახილი ჰპოვა დედამიწის ზურგის ყველა მიყრუებულ სოფლებში. ოქტომბრის რევოლიუციის ამბებმა გამოაღვიძა კაპიტალისტურ ქვეყნების გლეხობის თვითშეგნება და გადაახალისა მას, თავისი, თითქოს ურყევი, დამოკიდებულება არსებულ წყობილებისადმი. რუსეთის მშრომელებმა თვალსაჩინო მაგალითით დაუმტკიცეს მთელი ქვეყნის გლეხებს, რომ კაპიტალისტური წყობილება, რომელიც მათ ეჩვენებოდა ადამიანთა საზოგადოების ერთად-ერთ შესაძლებელ წყობილებად, სრულებითაც არ არის მარადიული, რომ,პირიქით, სავსებით შესაძლებელია ისეთი საზოგადოების არსებობა, სადაც არ წრებ ტაციები, არც ჩაგვრა და ექსპლოატა როც გაუგებ ყველაზე უფრო ჩამორ

განიზაციების ყრილობებსა და კონფერენციებზე, პარლამენტებში და თვითმმართველობის ორგანოებში, და გათავებული გლეხთა ფართო მასების შეიარაღებული გამოსვლებით. („ბრინჯის ამბოხებები“ იაპონიაში, ჩინეთის გლეხთა პარტიზანული მოძრაობა, რომელსაც აქვს მიმართულება აგრეთვე რევოლიუციისაკენ, გლეხთა მღელვარება ბრიტანეთის ინდოეთში, რომელიც არ სწყდება 1918 წლიდან, ინდონეზიის გლეხების შეიარაღებული აჯანყება წარსულ წელში).

ყველა ამ მოძრაობაში უეჭველად იქონია, და აქვს მეტი თუ ნაკლები გავლენა ოქტომბრის რევოლიუციას. რამდენადაც უფრო მომწიფებულია ეს მოძრაობა, მით უფრო უახლოვდება ის რევოლიუციონურ მოქმედებას.

მეორე.—გლეხობის პოლიტიკურ აქტივობის ჩენილმა სოფლებმაც კი ოქტომბრის რევოლიუციის გამო. ამაში მდგომარეობს მისი პირველი გაკვეთილი მთელი ქვეყნის გლეხებისათვის.

მეორე გაკვეთილი, რომელიც მისცა მათ ოქტომბრის რევოლიუციამ, მდგომარეობს იმაში, რომ რუსეთის გლეხებმა და მუშებმა არა თუ შესძლეს ხელისუფლების აღება,არამედ შესძლეს გამკლავებოდნენ როგორც რუსეთის მემამულეებისა და კაპიტალისტების იერიშებს, ისე უძლიერეს იმპერიალისტურ სახელმწიფოების ინტერვენციას. მუშურ-გლეხური წითელი არმიის გამარჯვება ნათლად მოწმობდა იმას, რომ მუშებისა და გლეხების ძალის წინააღმდეგ, რომლებიც იცავენ თავის საკუთარ საქმეს, უძლურია თანამედროვე ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის თანახმად შეიარაღებული ჯარებიც კი. ამ ფაქტმა ერთის მხრივ ძლიერ შეარყია გლეხობის თვალში იმპერიალისტურ ქვეყნებისა და გაბატონებულ კლასების—კაპიტალისტების და მემამულეების—ავტორიტეტი, მეორე მხრივ კი, გამოიწვია გლეხობის ნდობა მუშებისა და გლეხების გაერთიანებულ ძალებისადმი.

საბჭოთა კავშირის მშვიდობიან მშენებლობის დიდი მიღწევები, კერძოდ მნიშვნელოვანი მიღწევები გლეხის მეურნეობის დარგში, უმტკიცებენ მთელი ქვეყნის გლეხებს, რომ მუშათა და გლეხთა კავშირს არა თუ ძალუძს მემამულეებისა და კაპიტალისტების ხელისუფლების დამხობა და მშრომელთა სახელმწიფოს შექმნა, არა თუ ძალუძს მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს ყველა მტრების მოგერიება, არამედ მას შესწევს დიდი შემოქმედებითი მუშაობის უნარი, შესწევს ჰისი უნარი, რომ გააუმჯობესოს მშრომელთა ცხოვრების პირობები.

საბჭოთა კავშირის მუშებისა და გლეხების დიადი აღმშენებლობითი მუშაობა წარმოადგენს მესამე გაკვეთილს მთელი ქვეყნის გლეხობისათვის.

როგორი დასკვნები გააკეთა გლეხობამ დიდი ოქტომბრის რევოლიუციის საგულისხმო ცდებიდან? ამ კითხვაზე ჩვენ პასუხს გვაძლევს გლეხთა თანამედროვე მოძრაობის მთელი ისტორია, რომელშიაც ნათლად სჩანს ოქტომბრის გავლენა ამ მოძრაობის შესწავლით ჩვენ ვამჩნევთ შემდეგ დამახასიათებელ მოვლენებს:

პირველი—მნიშვნელოვნად გაიზარდა გლეხობის პოლიტიკური აქტივობა; ამ მოვლენას ვამჩნევთ მთელ მსოფლიოში: რომ არ ვილაპარაკოთ ევროპის ქვეყნებზე, ამ მოვლენას ადგილი აქვს იაპონიაში, ჩინეთში, ინგლისისა და ჰოლანდიის ინდოეთში (ინდონეზიაში), სპარსეთში, ჩრდილოეთ და სამხრეთ აფრიკაში, ჩრდილოეთ ამერიკის შტატებს შორის, მექსიკის გლეხობაში. ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ გლეხობა უკვე აღარ წარმოადგენს კაპიტალისტებისა და მემამულეების პოლიტიკის პასიურ ობიექტს. ის გადაიქცა ან იქცევა აქტიურ პოლიტიკურ ფაქტორად. ეს ამტკიცებს, რომ გლეხობას უკვე მოსწყინდა, მას უკვე თავი მოაბეზრა, კაპიტალისტებისა და მემამულეების არამკითხე მეურვეობამ, რომელიც, საბოლოო ანგარიშით, ყოველთვის განისაზღვრება გლეხობის ეკონომიური და პოლიტიკური ექსპლოატაციით. გლეხობას სურს გახდეს საკუთარი ბედ-იღბლის ბატონ-პატრონი. გაბატონებულ კლასების წინააღმდეგობა გლეხთა მოძრაობას თანდათან აძლევს მიმართულებას მარცხნით. უკანასკნელ ხანებში გლეხთა მოძრაობას ყველგან ახასიათებს გამემარცხენება. ეს გამემარცხენება მდგომარეობს როგორც გლეხთა ახალ ორგანიზაციების შექმნაში, ისე იმ გარემოებაში, რომ გლეხთა უკვე არსებულ ორგანიზაციებში ყალიბდება ოპოზიციონური მემარცხენე ჯგუფები. მაგალითისათვის აღვნიშნოთ მემარცხენე ფრთის („როდო-ნომინტო“-ს) გამოყოფა იაპონიის გლეხთა პარტიიდან, პოლონეთში „გლეხთა დამოუკიდებელი პარტიის“ შექმნა, რომელიც გამოვიდა „ვიზვოლენიე“-ს პარტიიდან, „დამოუკიდებელ დომოვინების“ შექმნა მორავიაში, სლოვაკიის „ლიუდოვაია პარტიაში“ რადიკალურ მოძრაობის გაძლიერება, მემარცხენე ფრთის გამოყოფა ბავარიის გლეხთა კავშირიდან, სილეზიის, ლაუზიცის, და რეინის სანაპიროების მთელ რიგ ორგანიზაციების შეერთება ხელმოკლე გლეხობის სრულიად გერმანიის კავშირთან, რომელიც, როგორც ვიცით, ემხრობა გლეხთა ინტერნაციონალს და სხვადასხვა გლეხთა მემარცხენე ორგანიზაციების მოღვაწეობის შინაარსი და მეთოდი, მათი განვითარებისა და აგრეთვე მათი კონკრეტული მდგომარეობის მიხედვით ამა თუ იმ ქვეყანაში—სხვადასხვანაირია. აღნიშნულ პირობების მიხედვით ეს მეთოდები ღებულობს სხვადასხვა გამოხატულებას და წყებული ლეგალურ ოპოზიციონურ გამოსვლებით გლეხთა პოლიტიკურ და ეკონომიურ ორზრდასა და გლეხთა მოძრაობის გამემარცხენებასთან ერთად, რუსეთის გლეხობის გადამწყვეტი გამარჯვების შედეგად გლეხობა თანდათან ითვისებს მუშათა კლასთან კავშირის მეთოდს, როგორც ბრძოლის ძირითად მეთოდს; ამას კი აქვს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა. ამ მხრივ გლეხთა მოძრაობის გარდატეხა იზრდება ისევე, როგორც გლეხობის მისწრაფება, რომ გაინთავისუფლოს თავი მისთვის უცხო ელემენტების ხელმძღვანელობისაგან. გლეხობის აქტივობის ზრდასა და ამის გამო ბრძოლის გამწვავებასთან დაკავშირებით მოკავშირეთა მოპოება გახდა გლეხთა მოძრაობის მორიგ ამოცანად. ამ მოძრაობის გამემარცხენების გამო აუცილებლობის კანონის მიხედვით გლეხობა ღებულობს იმ კლასის ორიენტაციას, რომელიც იბრძვის კაპიტალისტებისა და მემამულეების წინააღმდეგ,—ის ითვისებს იმ აზრს, რომ საჭიროა კავშირი პროლეტარიატთან, რომელმაც ოქტომბრის რევოლიუციის დროს დაამტკიცა, რომ მას აქვს უნარი და შეუძლია იბრძოლოს საბოლოო გამარჯვებამდე. გლეხთა ფართო მასებში თანდათან ვრცელდება ის რწმენა, რომ გლეხობის საქმის გამარჯვების წინასწარ პირობას წარმოადგენს მუშათა და გლეხთა კავშირი მუშათა კლასის ხელმძღვანელობით. ეს მოვლენა წარმოუდგენელი იყო გლეხთა მოძრაობის ისტორიაში ოქტომბრის რევოლიუციამდე.

მესამე.—ოქტომბრის რევოლიუციის გავლენის გამო ადგილი აქვს ისეთ სრულიად ახალ მოვლენას, როგორიც არის გლეხობის საერთაშორისო სოლიდარობა. იმ გარემოებამ, რომ გლეხთა მემარცხენე მოძრაობამ მიიღო მუშათა კლასის ორიენტაცია,გამოიწვია მუშათა კლასის განმანთავისუფლებელ ბრძოლის მეთოდების გამოყენების ტენდენცია. ამნაირად, არაფერი არ არის საკვირველი იმაში, რომ გლეხობისა და მუშათა კლასის კავშირის იდეამ სხვადასხვა ქვეყნის გლეხობაში წარმოშვა იმის შეგნება, რომ საჭიროა ერთმანეთთან შეკავშირება გლეხთა საერთო ინტერესების საფუძველზე. ამ გრძნობამ, გლეხთა სოლიდარობის გრძნობამ, დიდი ოქტომბრის რევოლიუციის გავლენით, გადალახა ცალკე ქვეყნებისა და ეროვნებების საზღვრები და, პირველად კაცობრიობის ისტორიაში, გამოხატულება ჰპოვა გლეხთა მოძრაობის ინტერნაციონალიზმში.

ამ ახალ მოვლენის განსახიერებას, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც გლეხობის, ისე პროლეტარიატის განმათავისუფლებელ ბრძოლაში, წარმოადგენს რევოლიუციონურ გლეხობის საერთაშორისო ორგანიზაცია—კრესტინტერნი. მაშასადამე, გლეხთა ინტერნაციონალის შექმნა, რომელსაც ლენინი აფასებდა, როგორც ჩვენი საუკუნის ერთ-ერთ უდიდეს მოვლენას, არსებითად მჭიდროდ დაკავშირებულია ოქტომბრის რევოლიუციასთან, რომლის გავლენამ გლეხთა სოლიდარობა ასწია ინტერნაციონალიზმის სიმაღლემდე.

გლეხობის პოლიტიკური აქტივობის გამოღვიძება, გლეხობის კავშირი მუშათა კლასთან და გლეხობის საერთაშორისო სოლიდარობა—აი, უმთავრესი ფაქტი, რომლებიც ყველაზე უფრო ნათლად ამტკიცებენ ოქტომბრის რევოლიუციის უდიდეს გავლენას გლეხთა საერთაშორისო მოძრაობაზე, რომელიც ამ მცნების ნამდვილი მნიშვნელობით უწინ არც არსებობდა და რომელიც წარმოადგენს ოქტომბრის რევოლიუციის ღვიძლ შვილს.

ოქტომბრის რევოლიუცია მთელი ქვეყნის გლეხობისათვის გახდა აგიტაციად მემამულეებისა და კაპიტალისტების ხელისუფლების წინააღმდეგ და მშრომელთა ხელისუფლების სასარგებლოდ; ის გახდა მუშათა და გლეხთა კავშირის იდეების პროპაგანდა; ოქტომბრის რევოლიუცია გახდა გლეხთა საერთაშორისო მოძრაობის ორგანიზატორად და მისმა გავლენამ წარმოშვა რევოლიუციონურ გლეხობის ორგანიზაცია—გლეხინტერნი.

ოქტომბრის რევოლიუციის განსაკუთრებით ძლიერი გავლენა გლეხობის რევოლიუციონურ მოძრაობაზე მთელს მსოფლიოში, აიხსნება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მუშათა და გლეხთა კავშირის გადამწყვეტი გამარჯვებით მათ გმირულ ბრძოლაში მშრომელთა მტრებთან, აიხსნება იმ დიდი გამარჯვებებით, რომლებიც გმირული მუშაობით მოიპოვა რუსეთის მუშათა კლასმა, საბჭოთა კავშირის მშვიდობიან მშენებლობის არანაკლებ მძიმე ფრონტზე. იმ მიზნით, რომ საკუთარი თვალით დარწმუნდეს ამ მუშაობის უდიდეს შედეგებში, მთელი ქვეყნის რევოლიუციონური გლეხობა გზავნის თავის საუკეთესო წარმომადგენლებს საბჭოთა კავშირში ოქტომბრის რევოლიუციის მეათე წლის თავისათვის. გლეხთა დელეგაციებს—საბჭოთა კავშირის გლეხობის სტუმრებს—საშუალება ექნებათ თავის თვალით ადგილობრივ იხილონ მუშათა და გლეხთა კავშირის 10 წლის მედგარი ბრძოლისა და მუშაობის ყველა მიღწევები. როცა ისინი დაბრუნდებიან სახლში, ათასობით მშრომელ გლეხებს მოუთხრობენ იმას, თუ რა ნახეს შრომის დიდ რესპუბლიკაში. ამრიგად, კიდევ უფრო გაძლიერდება ოქტომბრის გავლენა გლეხთა საერთაშორისო მოძრაობაზე, კიდევ უფრო ძლიერად განვითარდება გლეხობის ენერგიული ბრძოლა კაპიტალისა და მემამულეების ხელისუფლების წინააღმდეგ, კიდევ უფრო გაიზრდება მშრომელ გლეხობის რწმენა თავის ძალებისადმი, კიდევ უფრო მჭიდრო გახდება მისი კავშირი მუშათა კლასთან, განმტკიცდება გლეხთა საერთაშორისო სოლიდარობის გრძნობა—გრძნობა გლეხთა ინტერნაციონალიზმისა.

ოქტომბერი გახდება მამოძრავებელი ძალის ამოუწურავ წყაროდ გლეხთა მსოფლიო მოძრაობისათვის, გლეხობის განმათავისუფლებელი ბრძოლის ბერკეტად, მის უდიდეს მაგალითად მშრომელთა საბოლოო გამარჯვებამდე მთელ მსოფლიოში.

აი, რაში მდგომარეობს ოქტომბრის რევოლიუციის მნიშვნელობა გლეხთა საერთაშორისო მოძრაობისათვის.

ა. ხევეში.

გლეხინტერნის პრეზიდიუმის წევრი.

ვლადიმირ ილიჩი თავის ოთახში კრემლში 1919 წ.
(ლენინის ინსტიტუტის არქივიდან)

გამარჯვების ორგანიზატორი

კერენსკის ბანდები პეტროგრადთან იდგნენ. ახლად შექმნილი მუშურ - გლეხური რესპუბლიკის მდგომარეობა კრიტიკული იყო. ჩვენ ყველანი შევაიარაღეთ, ყოველი ძალა, რომელსაც კი შეეძლო რესპუბლიკისათვის ბრძოლა, ფრონტზე გავაგზავნეთ, მაგრამ არევ - დარევა ზოგიერთ ნაწილებში, სარდლობის ნაკლულოვანებანი და დაქსაქსულობა ოპერაციების ხელმძღვანელობის საქმეში ყოველგვარ მნიშვნელობას უკარგავდა ჩვენ მოქმედებას, ჩვენ მიერ მიღებულ ღონისძიებებს. მტრისათვის ძალიან ადვილი იყო ესარგებლა ამ არევ - დარევით, დაქსაქსულობით, ჯარების უკან დახევით და შემოჭრილიყო ჩვენს დედა-ქალაქში. სარდალი ამხ. ანტონოვი მოქანცული, მოდუნებული იყო და ძალიან უძნელდებოდა მიმდინარე ამბებში გარკვევა.

...ამხ. ლენინმა, რომელიც უდიდესი ყურადღებით ადევნებდა თვალს კერენსკის შეტევას და თეთრგვარდიელთა აჯანყების მსვლელობას, სავსებით რეალურად გაითვალისწინა და შეაფასა ჩვენი მდგომარეობა პოზიციებზე. იგი მოულოდნელად მოვიდა ოლქის შტაბში ამხ. სტალინთან და ტროცკისთან ერთად. მან გამომიძახა მე, ანტონოვი და მეხანოშინი და მოგვთხოვა გაგვეკეთებინა ვრცელი მოხსენება საქმის მდგომარეობის შესახებ, გაგვეცნო მისთვის ჩვენს განკარგულებაში მყოფი ძალები, მოწინააღმდეგის ძალები და ჩვენი ოპერატიული გეგმები.

ჩემს შეკითხვაზე, რას ნიშნავს მისი ჩამოსვლა — უნდობლობას თუ სხვა რამეს,—ამხ. ლენინმა მარტივად, მაგრამ მკვეთრად მიპასუხა: — ეს ნიშნავს არა უნდობლობას, არამედ იმას, რომ მუშათა და გლეხთა მთავრობას სურს გაიგოს, თუ როგორ მოქმედებს მისი სამხედრო ხელისუფლება.

ამ მომენტში მე პირველად ვიგრძენი, რომ ჩვენ გვაქვს დიქტატურა, რომ ჩვენ გვყავს ძლიერი, მტკიცე მუშური ხელისუფლება. მე აქ მივხვდი, რომ მე, პასუხისმგებელი მუშათა და გლეხთა წინაშე, ვარ ხელისუფლების აგენტი და არა უბრალო მუშაკი; რომ მე თვითონ დიქტატურის აპარატის უბრალო ნაწილს შევადგენ, ყოველ ჩემ ნაბიჯში ვემორჩილები პროლეტარიატის ხელისუფლებას და უდიდესი პასუხისმგებლობა მაქვს პროლეტარიატის დიქტატურის წინაშე სახალხო კომისართა საბჭოს სახით.

ამხ. ანტონოვმა გააცნო ჩამოსულებს პოზიციების საერთო გეგმა და რუკაზე აღნიშნა ჩვენი და მტრების ძალთა განწყობილების ადგილები. ამხ. ლენინის მთელი თავისი ყურადღება მიაპყრო რუკას. მან აქ გამოიჩინა გამჭრიახი სტრატეგის და სარდლის უნარი და მოითხოვა ახსნა-განმარტებანი: რატომ არ არის დაცული ის პუნქტი, რატომ არის განზრახული ამ ნაბიჯის და არა სხვა ნაბიჯის გადადგმა, რატომ არ არის გამოწვეული კრონშტადტის მძიმე ძალა, რატომ არ არის შემუშავებული ესა და ეს პოზიცია, რატომ არ არის დახურული ესა და ეს გასავალი.

ამ მოფიქრებულმა, გონიერმა და მკაცრმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ჩვენ მართლაც დაუშვით მთელი რიგი შეცდომების, არ გამოვიჩინეთ ის განსაკუთრებული აქტივობა, რომელსაც მოითხოვდა მომენტი. ჩვენ მივსდევდით მასებს, მაგრამ არაფერი გაგვიკეთებია იმისათვის, რომ ვყოფილიყავით მათი ბელადები და სარდლები. დარჩა ორი გამოსავალი: ან უნდა გვეთქვა ამხ. ლენინისათვის, რომ ჩვენ სრულიად გამოუსადეგი ვართ, არ შეგვიძლია ვიკისროთ პასუხისმგებლობა ოპერაციებისათვის, ან სხვა ვინმეს აეღო სარდლობა.

ლაპარაკი მცირე ხნით შეწყდა და შტაბის ამხანაგებთან აზრთა გაცვლა - გამოცვლის შემდეგ მივედი ამხ. ლენინთან და განუცხადე, რომ რომ ვკისრულობ მძიმე მდგომარეობის თავიდან აცილებას ფრონტზე, და იმედი მაქვს, რომ შევძლებ მთელი პეტერბურგის ძალების შეგროვებას.

მეორე დღის 12 საათზე ამხ. ლენინი მოვიდა ჩემთან შტაბში და მოითხოვა, რომ მისთვის დაედგა მაგიდა ჩემს კაბინეტში. მან განაცხადა, რომ სურს ყოველთვის იყოს საქმის კურსში და დასძინა, სახალხო კომისართა საბჭომ ჩემს დასახმარებლად გამომგზავნა ის, სტალინი და ტროცკი.

ამხ. ლენინი ჩაება საორგანიზაციო მუშაობაში: ის ყოველ ხუთ ან ათ წუთში მიგზავნიდა ვინმე დამხმარეს: ხან მომარაგების, ხან მუშათა მობილიზაციის საქმისათვის, ხან მეგრინავს, ხან აგიტატორს და სხ. იგი თანდათანობით ისე გაიტაცა ამ მუშაობამ, რომ თავისდაუნებურად გამოდიოდა იმის კაბინეტიდან და უშუალოდ აძლევდა განკარგულებას ხან ერთს, ხან მეორე ამხანაგს.

მუშაობა გაჩაღდა. მაგრამ ამხ. ლენინს ეს არ აკმაყოფილებდა: მისი ფიქრით მუშაობა ჯერ კიდევ ნელა, გაუბედავად მიმდინარეობდა, ამიტომ იგი თვითონ იწვევდა თავის კაბინეტში ქარხნების ორგანიზაციების წარმომადგენლებს და იგებდა მათგან ცნობებს მუშათა შეიარაღების, ტეხნიკური საშუალებების და იმის შესახებ, თუ რის მიღება შეიძლება საერთოდ მათგან და როგორი დახმარების გაწევა შეუძლია ამა თუ იმ ქარხანას. ამ დროს იქნა გამოცემული ბრძანება პუტილოვების მიმართ, რომ მათ დაეჯავშნათ ორთქლმავლები, გამოეტანათ ყველა ზარბაზნები, რომელიც კი იყო პუტილოვის ქარხანაში, წაეღოთ პოზიციებზე ბლინდაჟები. ნარვის რაიონს მიეცა ბრძანება მოეხდინა მეეტლეების ცხენების მობილიზაცია, 40 ზარბაზნის ფრონტზე გადასაგზავნად. სხვადასხვა ქარხნებში, ორგანიზაციებში დაიგზავნა კომისრები, რომ გამოერთმიათ მათთვის ყოველივე ის, რაც საჭირო იყო თავდაცვისათვის.

მე რამოდენიმეჯერ, 3—5 საათის განმავლობაში ხელს ვჰკიდებდი ამხ. ლენინს და პროტესტს ვაცხადებდი მისი „თვითნებური“ განმკარგულებელი მუშაობის წინააღმდეგ. ის ჩემს პროტესტებს თითქოს ეთანხმებოდა, მაგრამ რამოდენიმე წუთის შემდეგ იწყებდა და გვერდს უხვევდა. არსებითად ორი შტაბი შეიქნა: ხშირად მოდიოდა ამხ. ლენინი თავის კაბინეტში, სადაც განუწყვეტლივ იწვევდა სხვადასხვა მუშაკებს, მით უფრო მუდმივ ხასიათს იღებდა შემოხვევითი ხასიათის განკარგულებანი. ეს განკარგულებანი არ ეხებოდა არც ოპერაციებსა და არც სამხედრო ნაწილებს, არამედ მხოლოდ „ყველაფრისა და ყოველივეს“ მობილიზაციას თავდაცვისათვის. დაბოლოს მე მკაცრად და სრულიად უმართებულოდ მოვითხოვე, რომ ამხ. ლენინს გავეენთავისუფლებინე სარდლობის თანამდებობიდან.

ამხ. ლენინი ხენით, გაეცინა, როგორც არასოდეს: „ამ თქვენ პარტიულ სასამართლოში მიგცემთ, ჩვენ თქვენ დაგხვრეტთ. გიბრძანებთ განაგრძოთ მუშაობა და ხელი არ შემიშალოთ“-ო.

მხოლოდ მეორე დღეს შევაფასე ამხ. ლენინის პარალელური მუშაობის მთელი მნიშვნელობა. მე განსაკუთრებით ნათლად მივხვდი მას დიდ მნიშვნელობას მას შემდეგ, როცა ანალიზი გაუკეთე მუშათა ორგანიზაციების, რაიონული საბჭოების, საფაბრიკო - საქარხნო კომიტეტების, პროფესიონალური კავშირების და სამხედრო ნაწილების წარმომადგენელთა თათბირის შედეგებს. ეს თათბირი ამხ. ლენინმა მოიწვია და მიბრძანა მეც მივსულიყავი. აქ მივხვდი, თუ რაში მდგომარეობდა ამხ. ლენინის ძალა: ის განსაკუთრებულ მომენტში უაღრესი სიძლიერით ახდენდა მთელ აზრის, ძალების და საშუალებების კონცენტრაციას. ჩვენ ყველაფერს ვიღებდით, ძალებს ვაგროვებდით და ვფანტავდით შემთხვევით, მაგრამ გეგმაშეუწონილად, რის გამოც ადგილი ჰქონდა მოქმედების დაქსაქსულობას და აქედან მასების დაქსაქსულობას, აქტივობისა და ინიციატივის უქონლობას.

მასები არ გრძნობდენ რკინის ნებისყოფას და გეგმას, სადაც ყოველივე იქნებოდა მტკიცედ განწესრიგებული ისე, როგორც გეგმაში. ლენინი კი, იმ ვიათი შთაგონებით უნერგავდა ყველას იმ აზრს, რომ აუცილებელია მთელ ჩვენს ძალებს მოუყაროთ თავი თავდაცვისათვის, ყველაფერი მოვახმაროთ თავდაცვის საქმეს. ამ აზრის მიხედვით იგი შლიდა ფართო გეგმას. რომელშიაც, როგორც მთლიან მექანიზმში, უნებურად ნახულობდა ადგილს თავისათვის, თავისი ქარხნისათვის და თავისი ნაწილისათ-

ნ. პოდვოისკი

ძმური სალამი საბჭოთა საქართველოს



მშრომელთა დიადი დღესასწაულის დღეს, დიდი ოქტომბრის ათი წლის თავზე, სალამს უძღვნი მოძმე საბჭოთა საქართველოს მუშებს და გლეხთა მშრომელ მასებს.

ფ. ხოჯაევი.

(საკავშირო ცაკის თავმჯდომარე)

—:—



Коммунисту ко II-ому десятилетию желаю гордо пронести свое знамя к окончательной победе Социализма как в Грузии так и в СССР во всем мире

—:—

მეორე ათი წლისთავისათვის უსურვებ „კომუნისტს“—ამაყად ატაროს თავისი დროშა სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის როგორც საქართველოში, ისე საბჭოთა კავშირში და მთელს მსოფლიოში.

ტერ-გაბრიელიანი.



В дни 10-летнего юбилея Великого Октября пожелаю рабочим и крестьянам Советской Грузии дальнейшего успеха на пути социалистического строительства и укрепления братства народов многонациональной Закавказской Федерации.
Народный Комиссар Труда

დიდი ოქტომბრის 10 წლის იუბილეის დღეებში საბჭოთა საქართველოს მუშებს და გლეხებს უსურვებ შემდგომ გამარჯვებებს სოციალისტურ აღმშენებლობის და მრავალეროვნებიან ამიერ-კავკასიის ხალხთა შორის ძმობის განმტკიცების საქმეში.

რ. ს. ფ. ს. რ. შრომის სახალხო კომისარი

ა. ბახუტოვი.

—:—

ძალიან მწყინს, რომ ჯერ კიდევ არ ვყოფილვარ საქართველოში. მიულოცავ მას ოქტომბრის ათი წლის თავს ჯერ წერილობით. ხოლო ახლო მომავალში იმედი მაქვს მიულოცო მას სიტყვიერად.

დემიან ბედნი.

ხელმძღვანელი საჭესთან

სახალხო კომისართა საბჭოს პირველი არჩევა. ეს მოხდა სმოლნის რომელიღაც პატარა ოთახში, სადაც სკამებზე ეყარა პალტოები და ქუდები და სადაც ყველა გარს ეხვეოდა განახლებულ რუსეთის ხელმძღვანელთა ცუდად განათებულ მაგიდას. მე მეჩვენებოდა, რომ არჩევანი მეტისმეტად შემთხვევითია, მე სულ მეშინოდა იმისი, რომ მეტის-მეტად დიდი შეუფერებლობა იყო გიგანტიურ ამოცანებსა და იმ პირებს შორის, რომლებსაც ვირჩევდით, რომლებსაც მე კარგად ვიცნობდი და რომლებიც მე ჯერ კიდევ მოუმზადებლად მეჩვენებოდნენ ამა თუ იმ სპეციალობისათვის.

ლენინი ხელის ჩაქნევით მიცილიებდა მე და ამავე დროს ღიმილით ამბობდა:

— „ჯერ-ჯერობით... მერე ვნახოთ, საჭიროა პასუხისმგებელი პირები ყველა პოსტებზე, თუ არ გამოდგებიან—მოვახერხებთ გამოცვლას“.

რამდენად მართალი იყო ის. ზოგიერთი, რა თქმა უნდა, გამოიცვალა, ზოგი კი დარჩა თავის პოსტზე მთელი ამ ისტორიული წლის განმავლობაში.

რამდენი იყო ისეთი, რომლებიც შიშით შეუდგნენ დაკისრებულ საქმეს, შემდეგ კი სავსებით ღირსი აღმოჩნდნენ ამ საქმისა.

გადატრიალების ზოგიერთ არა თუ მეთვალყურეს, არამედ მონაწილესაც კი, რა თქმა უნდა, თავბრუ ეხვეოდა გრანდიოზულ პერსპექტივებისა და სიძნელეების წინაშე, რომლებიც დაუძლეველად გვეჩვენებოდა.

ლენინი ყველაზე უფრო, საოცარი სულიერი წონასწორობით უსწორებდა თვალს უდიდეს ამოცანებს და ისე ჰკიდებდა მათ ხელს, როგორც გამოცდილი ლოცმანი ჰკიდებს ხელს გიგანტიური გემის საჭეს ბორბალს.

ა. ლუნაჩარსკი.

მიჰქრის, მიჰქრის ძლევის ჰანგი

ჰა, დროშათა გიჟ ფრიალში კვლავ აიჰზნო წელთა სრბოლა
შემოდგომის ნისლს მიჰფარდა მოჰზეიმე სულის თრთოლა,
მიჰქრის, მიჰქრის ძლევის ჰანგი, რისხვით ამსხვრევს ძველ ბორკილებს,
და ათი წლის ქარიშხალი ესალმება მიმქრალ ჩრდილებს.

ოო, ოდესღაც დროშა ნაფხრეწს, ჯალათისაგან ჩვართა ქცეულს,
წვეთ-წვეთობით სისხლს ვწირავდით, სისხლს გულიდან გადმონთხეულს,
შმაგი აღთქმით მტერს ვხვდებოდით, დაშნას ვცემდით ერთი ფიცით,
და ვმღეროდით „დამარცხება არ გვცოდნია და არც ვიცით“.
განა ვკრთოდით, იმ დროს როცა ცეკვა ჰქონდათ ბარიკადებს,
როცა გულმკერდს უდაღავდენ მებრძოლ შვილთა ამაყ დედებს.
იქ ზარბაზნის ყრუ გრიალში, თავს სწირავდა გმირი გმირზე
და რიჟრაჟზე მზეს ვხვდებოდით სახრჩობელის საფეხურზე.

არ ვტიროდით, ჩვენ ცრემლები არ გვცოდნია და არც ვიცით,
მთელ მსოფლიოს გადავლახავთ შეუბღალავ წმინდა ფიცით.
განა ვთრთოდით იმ დროს, როცა მზე იმათთვის ელვარებდა
როცა მტერთა ბნელი დროშა სასახლეზე ფრიალებდა,
ტრფობის ნაცვლად შხამი სჩქეფდა, დროშის ნაცვლად მკერდთა ზვავი,
ბრძოლის ველზე სისხლს ვანთხევდით,დაგვჩხაოდა თავს ყორანი,
ერთი გრძნობით ვსულდგმულობდით, ერთი იყო სუნთქვა ძმური.
სიტყვა ტყვიას თან მჰყვებოდა გიჟური და თავხედური.

და ჰა, აწმყო უკრავს ჩანგურს და სულს ლახავს მოგონება,
იქ ქურუმთა ვერცხლოვან თავს გარიჟრაჟი ევლინება,
შორეულმა სივაგლახემ სიზმარივით გაიარა.
იქ დიდ ძეგლზე შევამთელით ფიცის დაშნა და ფარი.
მიჰქრის, მიჰქრის ძლევის ჰანგი, რისხვით ამსხვრევს ძველ ბორკილებს,
როგორც მაშინ ეხლაც ისე მოუწოდებთ გმირთ აჩრდილებს,
შემოდგომის ნისლს მიჰფარდა აღგზნებული სულის თრთოლა,
დღეს დროშათა გიჟ ფრიალში დაიფერფლა წელთა სრბოლა.

და ზეიმობს ოქტომბერი, ხვეჭს ათი წლის ქარიშხალი,
მზნებარ მიწას დაჰკოცნისებს მოკაშკაშე ვარსკვლავთ ალი,
ჩვენი გრგვინვა მზეს შესწვდება აღთქმის ცეცხლიც აინთება,
და მსოფლიოთ კვლავ იმღერებს, სიკვდილი ან გამარჯვება.

თამარ ტარუაშვილი.

ლენინი როგორც პროლეტარულ აჯანყების ბელადი

ოქტომბრის მეათე წლის თავი საშუალებას გვაძლევს უფრო მიუდგომლად შევაფასოთ ცალკე პირთა როლი ამ გრანდიოზულ ისტორიულ გადატრიალებაში, ვიდრე ეს შესაძლებელი იყო უშუალოდ ოქტომბრის ხანაში და მის უახლოეს წლებში. უდავოა, რომ პირველი ადგილი ოქტომბრის გადატრიალების ხელმძღვანელობის საქმეში, მისი მოწყობის და გამარჯვების უზრუნველყოფის საქმეში უკავია კომუნისტურ პარტიას—ბოლშევიკების პარტიას. ეს პარტია შეიძლება გამოვყოთ ყოველ პიროვნებისაგან—მხოლოდ შეუძლებელია მისი გამოყოფა ლენინისაგან. ულენინოდ ძნელი წარმოსადგენია ეს პარტია, მისი სახე, მისი ტაქტიკა და მისი სწრაფი ზრდა 1917 წელში. არ არსებობს ისეთი ეტაპი ბოლშევიკების პარტიის ბრძოლაში მასებზე გავლენისათვის, არ არსებობს არცერთი ეტაპი ამ პარტიის ბრძოლისა საერთოდ, რომელიც დაკავშირებული არ იყოს ლენინის სახელთან.

ეს სახელი სძაგდათ ყველა ოპორტუნისტებს, ბოლშევიკების ყველა მტრებს. ასე, მაგალითად, ჯერ კიდევ 1913 წელში ტროცკის მიაჩნდა, რომ „ლენინიზმის მთელი შენობა ამჟამად აგებულია სიცრუესა და სიყალბეზე და თითონვე ატარებს თავის გახრწნის შხამიან ელემენტებს“; ამიტომ ტროცკი აყენებდა ამოცანას, რომ „დანგრეული ყოფილიყო თვით საფუძვლები ლენინიზმისა, რომელიც შეუთავსებელია მუშების—პარტიულ პოლიტიკურ ორგანიზაციასთან“*).

ლენინის სიმტკიცე დასახულ მიზნის მისაღწევად, ლენინის პირდაპირობა და გამბედაობა პოლიტიკურ საკითხების დასმაში იწვევდა მის მოწინააღმდეგეთა უდიდეს გაბოროტებას. მათთვის ლენინი იყო „რუსეთის მუშათა მოძრაობის ყოველივე ჩამორჩენილობის პროფესიონალური ექსპლოატატორი“ (ლ. ტროცკი).

ახლა ყველამ იცის, თუ როგორ აამაღლა სწორედ ლენინმა მარქსიზმი, როგორც საზოგადოებრივ ურთიერთობათა მეცნიერულ გამოკვლევის მეთოდი. ესეც აბოროტებდა ლენინის მოწინააღმდეგეებს. „მისთვის მარქსიზმი მეცნიერულ გამოკვლევის მეთოდი კი არ არის,რომელიც დიდი თეორიული ვალდებულებების დამკისრებელია... არა, ეს არის... იატაკის ჩვარი, როდესაც საჭიროა თავის კვალის წაშლა, თეთრი ეკრანი, როდესაც საჭიროა თავის სიდიადის საქვეყნოდ ჩვენება დასაკეცი ალაბი, როდესაც საჭიროა თავისი პარტიული სინდისის წარდგენა“. ასე ახასიათებდა რევოლიუციის პირველ ხანაში ლ. დ. ტროცკი ლენინის მარქსიზმს.

მაგრამ მარქსიზმი ლენინისათვის დოგმა კი არ იყო, როგორც თითონ მას არა ერთხელ უთქვამს, არამედ „სახელმძღვანელო მოქმედებისათვის“. და ამ მხრივ—მარქსიზმის გამოყენების მხრივ მოქმედებაში—არავის არ აუმაღლებია მარქსიზმი ისეთ სიდიადემდე, როგორც აამაღლა ის ბოლშევიკების პარტიამ ლენინის ხელმძღვანელობით.

პირველი რევოლიუციის მომზადების ხანაში ლენინი უაღრესად გულდასმით აღნუსხავს იმ ფაქტებს, რომლებიც შეეხება აჯანყების ელემენტების ზრდას. პარტიას არ შეუძლია გაჰყვეს ქარის ქროლვას, პარტიას არ შეუძლია იყოს მხოლოდ მოწმე მოძრაობისა, რომელიც სტიქიურად იზრდება, ის უნდა ხელმძღვანელობდეს, **ის უნდა აწყობდეს აჯანყებას**. და სწორედ ლენინი არის აჯანყების **ორგანიზატორი**. როდესაც დადგა 1905 წლის მღელვარე დღეები, ლენინი არა მარტო აღნუსხავდა ფაქტებს ქუჩებში გამოსვლებისას, რომლებიც შეიარაღებულ აჯანყებებში გადადიოდა, არამედ ის უაღრესად სერიოზულად აწარმოებდა სამხედრო საქმის შესწავლას. ლენინის ინსტიტუტში შეიძლება ნახოთ სამხედრო საქმის დიდი ტაქტიკოსების და სტრატეგების მთელი რიგი თხზულებები, რომლებიც აჭრელებულია ლენინის შენიშვნებით, ხაზგასმებით და წარწერებით.მისი წინასწარი შენიშვნები იმ წერილების ტემებისათვის, რომლებიც ეხება აჯანყების მოწყობას ეს არის გენიალური შენიშვნები **სარდლის, ხელმძღვანელის, ბელადის**, რომელსაც არა მარტო იმისი უნარი აქვს, რომ შეამჩნიოს მთავარი, დააკავშიროს ცალკე მომენტები რომლებზედაც დამოკიდებულია აჯანყების გამარჯვება და დამარცხება, არამედ იმის უნარიც, რომ შეამჩნიოს მოძრაობის **ტენდენცია, მიმართულება**; ის **მხედველობაში იღებს მასებს**, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ მოძრაობაში, რომელთა ჩაბმა შეიძლება მოძრაობაში, რომელნიც ჩაბმული უნდა იქნენ მასში.

საკითხის უაღრესად კეთილსინდისიერი თეორიული შესწავლის შეერთება ღრმა პრაქტიციზმთან და ასევე ღრმა შორსმჭვრეტელობასთან ხდის ლენინს ბოლშევიკების პარტიის აღიარებულ ბელადად და მის სტრატეგად არა მარტო მოძრაობის გაშლის დროს, არამედ მისი შენელების დროსაც დამარცხების დღეებში.ბოლშევიკების ორგანო „ვპერიოდ“-ში, შემდეგ „პროლეტარ“-ში და სხვა ბოლშევიკურ გამოცემებში ლენინი მიაქცევდა პარტიის ყურადღებას ისეთ საკითხების გარჩევაზე, რომელთა დასმა ღვარძლიან დაცინვას იწვევდა მენშევიკების მხრივ. მენშევიკები დასცინოდნენ ჩვენს ლაპარაკს შეიარაღებულ აჯანყების **ტეხნიკური** მომზადების შესახებ. როდესაც ჩვენ ვლაპარაკობდით, რომ საჭიროა მუშების შეიარაღება, ისინი კმაყოფილდებოდნენ ცარიელი მაღალფარდოვანი ფრაზებით იმის შესახებ, რომ „საჭიროა მასების აღჭურვა თვითშეიარაღების მწვავე მოთხოვნილებით“ ამას ამბობდნენ მაშინ, როდესაც თვითშეიარაღების მწვავე მოთხოვნილება მუშებს ზომაზე მეტიც ჰქონდათ, მაგრამ აქედან პრაქტიკული გამოსავალის პოვნა მენშევიკებს არ შეეძლოთ, და არც ეძებდნენ სერიოზულად.

ლენინი გულდასმით ეკიდება სამხედრო-საომარი საქმის, სამხედრო-საომარი ტაქტიკის საკითხებს. ის, მაგალითად, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სამხედრო და საომარ ორგანიზაციების კონფერენციას (ტამერფორსში—1906 წლის ნოემბერ-დეკემბერში). როდესაც მენშევიკების ბანაკიდან გაისმის სამგლოვიარო ზარი, როდესაც პლეხანოვი ამბობს თავის ცნობილ ფრაზას „საჭირო არ იყო იარაღისთვის ხელის მოკიდება“—ლენინი ამას უპასუხებს მით, რომ ულმობელად ამჟღავნებს ჩვენ საკუთარ შეცდომებს, შეისწავლის 1905 წლის გამოცდილებას, მოუწოდებს პარტიას გულდასმით შეისწავლოს ეს გამოცდილება და მხედველობაში მიიღოს ის შეცდომები, რომლებიც ჩვენ დავუშვით ამ ხ

პირველი რევოლიუცია საშინლად დამარცხდა. პარტია ისევ იატაკ ქვეშ მიდის, იწყება რეაქციის ხანა. მენშევიკები გალობენ გლოვის ზარს, ახდენენ პარტიის ლიკვიდაციას. ლენინი აქაც, როგორც მებრძოლი პარტიის ხელმძღვანელი, როგორც **შეიარაღებულ აჯანყების** პარტიის ხელმძღვანელი, იჩენს იმ თვისებებს, რომლებიც საჭიროა პროლეტარული რევოლიუციის ბელადისათვის. **უნდა შეგვეძლოს უკან დახევა.** ამას ლენინი იმეორებს ბრესტის ზავის ხანაშიაც. ბოლშევიკი ის კი არ არის, ვინც „არ ფრთხება“ რევოლიუციის უდიდესი განვითარების მომენტში, ვინც კარგად იბრძვის მაშინ, როდესაც ყველა კარგად იბრძვის, როდესაც ყველა იერიშზე მიდის. ბოლშევიკი ის კი არ არის, ვინც **ამ მომენტში გაბედულად მოქმედებს შეტევაზე გადასულთა რიგებში**. ბოლშევიკი ის არის ვინც „არ ფრთხება“, არ იბნევა, ვინც არ ეძლევა პანიკას, პესიმიზმს, პარტიის გაბოროტებულ, ყალბ კრიტიკას მაშინ, როდესაც პარტიას უხდება უკან დახევა, როდესაც ის იძულებულია მოახდინოს უკანდახევის ესა თუ ის, ზოგჯერ ძლიერ ღრმა მანევრები, რომ შემდეგ მოიკრიბოს ძალები, მჭიდროდ შეუკავშირდეს კიდევ უფრო ფართო მასებს შეამოწმოს თავის რიგები, ხელახლა დააწყოს ისინი, მოაწყოს თავისი დაღლილი, ადგილ-ადგილ დამარცხებული ჯარები და ისევ გადავიდეს შეტევაზე. ასეთია ლენინი. გარშემო მეფობს ლიკვიდატორული, გულგატეხილი, უიმედო განწყობილება, ლენინი კი აღსავსეა რწმენით, რომ ჩვენ ყოველდღიური არალეგალური მუშაობით, უკუვაგდებთ რა ნახევრად-მეგობრებს მარჯვნიდან და მარცხნიდან, მტკიცედ გამოვარკვევთ ჩვენს ხაზს და ხელახლა მოვიკრებთ ძალებს ახალ ძლევამოსილ ბრძოლისათვის.

ლენინის მიერ წამოყენებული ეს მკაფიო, ნათელი, გარკვეული მარქსისტული დებულებანი აფრთხობდა ზოგიერთ მერყევ, სუსტ ელემენტებს, რომლებიც დაეძებდნენ კომპრომისებს, შეთანხმებებს, ეს დებულებები აფრთხობდა „ფრაქციების გარეშე მდგომ“ ელემენტებს. მაგრამ იგივე დებულებები იზიდავდა მასთან იმათ ვინც მჭიდროდ უკავშირებდა თავს მუშათა კლასის მოწინავე ავანგარდის ბედიღბალთან. ლენინი არასოდეს არ მისდევდა იმას, რომ ეს მოწინავე ავანგარდი ყოფილიყო ძლიერ მრავალრიცხოვანი. ის ფიქრობდა, რომ ამ მოწინავე ავანგარდში, ამ მთავარ კადრებში, რომლების გარშემო ეწყობა ჯარი უნდა შევიდნენ მუშათა კლასის ყველაზე უფრო მოწინავე, უფრო ენერგიული, უფრო შეგნებული ელემენტები. მუშათა კლასის ამ ყველაზე უფრო რევოლიუციონურ, შეგნებულ ელემენტებთან ლენინი მზად არის გულმოდგინედ იმუშაოს ლონჟიუმოს რომელიღაც პატარა სკოლაში. უკითხოს მათ ლექციები ხელი შეუწყოს ბოლშევიკ-ლენინელების თუნდაც ვიწრო, მაგრამ სამაგიეროდ მტკიცედ შეკრულ და შეკავშირებულ კადრების გამომუშავებას.

მოძრაობის გაშლის ხანაში ლენინის ამ ყოველდღიურმა, მკაცრმა მუშაობამ თავი იჩინა მით, რომ ჩვენმა რევოლიუციონურმა ლოზუნგებმა მოიპოვა უდიდესი გამარჯვება. ლენინი ანგარიშობს ძალებს. იატაკ ქვეშიდან ის სწორა და დაწვრილებით აღნუსხავს, თუ რამდენი ხელის მომწერი ყავს „პრავდას“, რამდენი მონაწილეობს „პრავდასათვის“ ფულის შეგროვებაში, რამდენი ხმა მოიპოვეს ბოლშევიკებმა მეტალისტთა კავშირში, დაზღვევის საავადმყოფო კასებში მისთვის ყველაფერი ეს არის ძალები, რომლებიც შემდეგ უზრუნველყოფენ აჯანყების გამარჯვებას.

იმპერიალისტური ომის დროს ლენინი თითქოს სრულიად განმარტოებული დარჩა. მეორე ინტერნაციონალმა გასცა მუშათა კლასი, მეორე ინტერნაციონალი გადავიდა ბურჟუაზიის სამსახურში, ლენინი ამჯობინებს დარჩეს მარქსიზმისა და პროლეტარიატის ერთგულ ადამიანების ვიწრო წრესთან, ვიდრე თავის მხარეზე ჰყავდეს სოციალ- პატრიოტები ან მერყევი კაუცკის მიმდევრები, ყველაზე უფრო მას სძაგს ისინი, ვისაც უკავია **საშუალო პოზიციები**: სძაგს ცენტრისტები, კაუტსკის მიმდევრები, გააფთრებით ეკამათება მარტოვს, ტროცკის, აფრთხილებს პარტიას, რომ ყველაფერზე უფრო საშიშარია დაბნევა ამ მოლაყბეთა ფორმულებში, რომლებიც გამოხატავენ „მემარცხენე ფრაზას—მემარჯვენე საქმეს“. ლენინი უკვე ამ ხანაში აგროვებს ძალებს მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის შესაქმნელად, რომელმაც უნდა წაიყვანოს მთელი ქვეყნის პროლეტარიატი უკანასკნელ და გადამწყვეტ ბრძოლაში.

მაგრამ აი, რუსეთში ამოვარდა აჯანყების ახალი ქარიშხალი. ირყევა მეფის ტახტი. იქმნება მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები.

ლენინი შვეიცარიაშია. ის იქიდან თავის “წერილებში შორეულ ქვეყნიდან“ სახავს საიმედო, სწორ გზას. ბრძოლის რთულ პირობებში, როდესაც პარტია გამოდის ფართო გზაზე, როდესაც ის იწყებს თავისი დაქსაქსული ძალების მოკრებას, უდგება თავისი ჯარის დაწყობას შემდგომი ბრძოლისათვის, — ცალკე რაზმებში კიდევ ისმის უთანხმოება.

სხვადასხვა სარდლები აყენებენ მოქმედების სხვადასხვა გეგმებს, მაგრამ ეს უთანხმოება საგრძნობია და თავს იჩენს ლენინის ჩამოსვლამდე რას იტყვის ლენინი, ეს აღიარებული ბელადი, კაცი, რომლისაც სჯეროდა მთელ პარტიას?

და აი ლენინი ბრუნდება. ლენინი სდგას ჯავშნიან ავტომობილზე ფინეთის სადგურთან და მიუთითებს წინ მიმავალ გზაზე—ეს არის ისტორიული სიმბოლო ლენინის, როგორც პროლეტარული რევოლიუციის ბელადის. მას გარს ახვევიან მუშები, გარს ახვევიან მეზღვაურები. ობივატელთა ბრბო მტრულად არის განწყობილი მის წინააღმდეგ. მათთვის ის არის „ვილჰელმის აგენტი“, მათთვის ის „დალუქულ ვაგონით“ ჩამოვიდა. მის გარშემო შეგროვილ მუშებისა, ჯარისკაცებისა და მეზღვაურთათვის, მის გარშემო შეგროვილ ბოლშევიკების ძველ გვარდიისათვის ის არის აღიარებული ბელადი.

მართალია, კიდევ მერყეობენ ზოგიერთი ამხანაგები, ცდილობენ უკან დააბრუნონ პარტია, ჩამოაშორონ იგი აჯანყებას და მათი აზრით; საშიშარ გზას. მათ ეშინიათ, რომ ჩვენი რევოლიუციონური ჯარი მეტის-მეტად განმარტოებული არ დარჩეს. მათ ეშინიათ, რომ ჩვენ მეტის-მეტად შორს არ შევტოპოთ. მათ ეშინიათ სიძნელეების,მათ არ სწამთ სოციალისტური რევოლიუციის გამარჯვება. მაგრამ ჯარი მტკიცედ და იმედიანად გრძნობს თავს, ვინაიდან მას მეთაურობს ლენინი.

გენიალური ხაზებით სახავს ლენინი პარტიის ძირითად გეზს. საჭიროა მოქმედების ძირითადი გეგმა უახლოეს კვირეებისა და თვეებისათვის. ეს არის მისი „**აპრილის თეზისები**“. მოვლენები სწრაფად ვითარდება. რევოლიუცია გიგანტური ნაბიჯებით მიიწევს წინ: კვირეებში გადის ათეული წლების გზას, თვეებში ამსხვრევს ისეთ დაბრკოლებებს, რომლებიც დაგროვილია საუკუნეების განმავლობაში. ის არ მიდის პირდაპირი გზით, აი ივლისის ტალღა, მას შემდეგ კი დროებით განადგურება, დროებით ჰერქვეშ ჩასვლა. ბოლშევიკების პარტია ალყაშემორტყმულია. მის წინააღმდეგ მიმართულია სიცრუისა და ცილისწამების გაუგონარი კამპანია. მაგრამ ბოლშევიკების პარტია ლენინთანაა. ის მისი ხაზის ერთგულია, ის ხელახლა აწყობს თავის რიგებს, რათა ემზადოს კიდევ უფრო გადამწყვეტ ბრძოლებისათვის. ივლისში კიდევ არ შეიძლება ხელისუფლების აღება. საჭიროა ლოზუნგის შეცვლა. ლენინი ურჩევს პარტიას დროებით მოიხსნას ლოზუნგი. „მთელი ძალაუფლება საბჭოებს“. პარტია აძლიერებს მუშაობას ჯარში, პარტია ჯარისა და მუშების საშუალებით აძლიერებს კავშირს გლეხებთან, პარტია უფრო სერიოზულ ყურადღებას აქცევს იმ საკითხებს, რომლებიც აღელვებს გლეხობას. პარტია ახდენს ძალების ახალ მობილიზაციას. ბელადი ჰერქვეშიდან ყურადღებით ადევნებს თვალყურს პარტიის მთელ მუშაობას,პარტია ჰქმნის თავის სამხედრო ორგანიზაციას და ამ სამხედრო ორგანიზაციის მუშაობა ღრმად აინტერესებს სარდალს, აჯანყების ბელადს—ლენინს. სამხედრო ორგანიზაციაში მუშაობენ ისეთი პირები, როგორც ძერჟინსკი, პოდვოისკი, ნევსკი და სხვ. ლენინი თვალყურს ადევნებს წითელი გვარდიის მოწყობის წარმოებას, მცირეოდენ ცვლილებებს საბჭოების კენჭის ყრაში, მაგრამ ლენინი ასეთივე ყურადღებით ადევნებს თვალყურს აგრეთვე მოწინააღმდეგის ფრონტის მდგომარეობასაც. მას ნაკლებად არ აინტერესებს ის გადაჯგუფებანი, რომლებიც ხდება ამ ფრონტზე, ცვლილებანი იმ სოციალურ ფენებში, რომლებიც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინად მხარს უჭერდნენ მოწინააღმდეგეს. **მოწინააღმდეგის ფრონტი და განსაკუთრებით მისი ზურგი, ეს არის აჯანყების ბელადის, რევოლიუციის ბელადის, ყურადღების ობიექტი. ის ამ ფრონტს ისევე უნდა იცნობდეს, როგორც თავის ძალებს; ის ანგარიშს უნდა უწევდეს მოწინააღმდეგის ზურგის მდგომარეობას, ისევე, როგორც ანგარიშს უწევს თავისი ზურგის მდგომარეობას. ის უნდა იცნობდეს მოწინააღმდეგის ზურგის სხვადასხვა სოციალურ ფენების განწყობილების ცვლილებებს ისე, როგორც უნდა იცნობდეს ამ ცვლილებებს თავის გარშემო.**

ლენინის ტაქტიკა, ლენინის სტრატეგია ეს არის არა უძრავი სწორი ხაზი. ეს არის **მოქნილი, მანევრების მწარმოებელი ხაზი**. დღეს, რამოდენიმე დღით. **კიდევ შესაძლებელია** კომპრომისი მენშევიკებთან და ესერებთან. დღეს—გამოსვლა კორნილოვის წინააღმდეგ, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის პირდაპირი მოწოდება დროებითი მთავრობის წინააღმდეგ აჯანყებისაკენ. ხვალ, როდესაც გაიზრდება გლეხთა აჯანყებები, როდესაც წარმოიშობა მთელი რიგი ნაციონალური კომფლიქტები დროებით მთავრობასთან, როდესაც ბოლშევიკები პეტროგრადის, მოსკოვის და ზოგიერთ პროვინციალურ საბჭოებში მიიღებენ უმრავლესობას, როდესაც არსებობს საშიშროება, რომ კონტრრევოლიუციონურ მიზნებისათვის პიტერს გერმანელებს ჩააბარებენ საჭიროა აჩქარება, საჭიროა აჯანყების ლოზუნგის წამოყენება და აქ დაყოვნება სიკვდილის უდრის“. ლენინი აყენებს ამ ლოზუნგს და ამ მომენტიდან ის ყოველდღე, ზოგჯერ დღეში რამოდენიმეჯერ დაჟინებით მოაგონებს პარტიას, მის ცეკას, მის პროვინციალურ კომიტეტებს, მთელ პარტიულ მასას, რომ „დაყოვნება არ შეიძლება“, რომ ძვირფასია ყოველი დღე, ყოველი საათი, რომ „დაყოვნება სიკვდილს უდრის“.

ცენტრალურ კომიტეტში, რევოლიუციონური ჯარის მთავარ შტაბში, ცეკას ორი წევრი—ზინოვიევი და კამენევი—არ ეთანხმება იმ ხაზს, რომელსაც აყენებს აჯანყების ბელადი, ისინი არ ეთანხმებიან ცეკას ხაზს. ისინი არ ემორჩილებიან უმრავლესობის ნებისყოფას, გადააქვთ დავა რევოლიუციონური ჯარის ცალკე ნაწილებში,მიმართავენ ცალკე კომიტეტებს და გადააქვთ ეს დავა გასარჩევად—გაუგონარი ამბავია!—ჩვენი პარტიის მოწინააღმდეგე პრესაში. ლენინი მოითხოვს ამ პირთა გამორიცხვას არა მარტო შტაბიდან, არამედ ის მოითხოვს, რომ ისინი გაძევებულ ყოფილიყვნენ რევოლიუციონური არმიის შემადგენლობიდან. **ასეთ შემთხვევებში მისთვის არ არსებობს პირადი მეგობრობა, პირადი მეგობრული კავშირი.** რევოლიუციის საქმე, პროლეტარულ აჯანყების საქმე მისთვის ყველაფერზე მაღლა სდგას.

„რამდენად უფრო სერიოზულია პრაქტიკული საკითხი, რამდენად უფრო პასუხისმგებელი და „ცნობილი“ არიან ის პირები, რომლებმაც ჩაიდინეს შტრეიკბრეხერობა, მით უფრო საშიშია ის, მით უფრო გადაჭრით უნდა განვდევნოთ შტრეიკბრეხერები, მით უფრო მიუტევებელი იქნებოდა მერყეობა შტრეიკბრეხერის წარსულ თუნდაც „დამსახურების“ გამო.

„მე სამარცხვინოდ ჩავთვლიდი ჩემთვის, რომ ამ ამხანაგებთან ძველი დაახლოების გამო მერყეობა გამომეჩინა მათ დაგმობაში. მე პირდაპირ ვაცხადებ, რომ ორივე ამ კაცს ამხანაგებად აღარ ვთვლი და მთელი ძალღონით შევეცდები, როგორც ცეკას, ისე ყრილობის წინაშე, რომ ისინი გამორიცხული იქნენ პარტიიდან

„ვინაიდან ხელმძღვანელ პარტიას, რომელსაც ცხოვრება სულ უფრო და უფრო ხშირად აყენებს პირისპირ აჯანყებასთან, არ ძალუძს გადაჭრას ასეთი ძნელი ამოცანები, თუ დავა ცენტრის გამოუქვეყნებელ დადგენილებების შესახებ მათი მიღების შემდეგ ვინმეს გადააქვს პარტიის გარეშე პრესაში და მებრძოლთა რიგებში შეაქვს მერყეობა და არევდარევა“*).

ლენინი ებრძვის ყველას, ვინც ცდილობს გვერდი აუხვიოს აჯანყების საკითხის ნათლად დასმას. ის ულმობელად აკრიტიკებს თავის უახლოეს მეგობრებსაც კი, როდესაც ისინი იწყებენ მერყეობას, როდესაც იწყებენ მეტის-მეტად დიდი იმედების დამყარებას „შემომვლელ მანევრზე“, გამარჯვების მოპოვების „წყნარ“ ლეგალურ საშუალებებზე. საჭიროა შევისწავლოთ ის დოკუმენტები, რომლებიც შეეხება 1917 წლის ხანას. რა თქმა უნდა, ეს ოქტომბრის გაკვეთილები უნდა შევისწავლოთ უწინარეს ყოვლისა ლენინის მიხედვით, და არა ისეთ „ოქტომბრის გაკვეთილების“ მიხედვით, რომელიც ამახინჯებს ისტორიულ სინამდვილეს, რომელიც ლენინს მიაწერს უმნიშვნელო, უბადრუკ როლს, რომელიც პარტიას სწევს უკან, რომელიც უყურადღებოდ სტოვებს სამხედრო ორგანიზაციისა და წითელ გვარდიის როლს, იმ მასიურ პროლეტარულ ორგანიზაციების როლს, რომლებთანაც დაკავშირებული იყო ჩვენი პარტია.

ლენინი სწორედ იმით იყო დიდი, როგორც ბელადი, რომ მას შეეძლო ანგარიში გაეწია ამ ძალების მნიშვნელობისათვის, პარტიის, როგორც **ორგანიზაციულ მთელის** მნიშვნელობისათვის, **პარტიული აპარატის მნიშვნელობისათვის**. ორგანიზაციის გარეშე, ასეთ მოქნილ, ფხიზელ აპარატის შექმნის გარეშე, რომელსაც, თუ საჭიროა, შეუძლია ცეკას დადგენილებები გაატაროს, როგორც **ბრძანება**,—შეუძლებელია პროლეტარიატის ძლევამოსილ აჯანყების მოწყობა. სამხედრო ორგანიზაციების შექმნის გარეშე, მუშათა მოწინავე კადრების ისეთ შეიარაღებულ ძალად შეკავშირების გარეშე, ან ისეთ ძალის შექმნის გარეშე, რომელსაც შეუძლია აჯანყების მომენტში შეიარაღდეს და იმოქმედოს, როგორც საომარმა ერთეულმა, რომლის გარშემო თავს იყრიან მებრძოლი მასები,—ყველა ამის გარეშე შეუძლებელია აჯანყების გამარჯვება რომელიმე ქვეყანაში. მასების წინასწარი მომზადების გარეშე, ამ მასების დაპყრობის გარეშე პროფკავშირების საშუალებით, პროლეტარული რევოლიუცია ვერ გაიმარჯვებს ვერც ერთ ქვეყანაში. შეუძლებელია გამარჯვება პარტიის რკინისებურ დისციპლინის გარეშე. ამიტომ რევოლიუციონური არმიის გამარჯვების ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს რევოლიუციონურ პარტიის და პროლეტარიატის **რკინისებური დისციპლინა**. მაგრამ რას ემყარება ის?

„უწინარეს ყოვლისა იბადება კითხვა, თუ რას ემყარება რევოლიუციონურ პარტიისა და პროლეტარიატის დისციპლინა. რით ხდება მისი შემოწმება, რით ხდება მისი განმტკიცება. უპირველეს ყოვლისა პროლეტარულ ავანგარდის შეგნებით და მისი ერთგულებით რევოლიუციისადმი, მისი სიმტკიცით, თავგანწირვით, გმირობით; მეორე—მით, თუ რამდენად შეუძლია მას დაუკავშირდეს, დაუახლოვდეს, რამდენიმედ, თუ გნებავთ შეუერთდეს, ამ მასას—პირველ რიგში პროლეტარულ, მაგრამ აგრეთვე არაპროლეტარულ მშრომელ მასასაც; მესამე—სწორი პოლიტიკური ხელმძღვანელობით, რომელსაც ახორციელებს ეს ავანგარდი, მისი პოლიტიკური სტრატეგიისა და ტაქტიკის სისწორით, იმ პირობით კი, რომ თვით ფართო მასები **საკუთარი გამოცდილებით** დარწმუნდენ ამ სისწორეში. ამ პირობების გარეშე განუხორციელებელია დისციპლინა რევოლიუციონურ პარტიაში, რომელსაც ნამდვილად აქვს იმის უნარი, რომ გახდეს მოწინავე პარტიის კლასის პარტიად, დაამხოს ბურჟუაზია და გარდაქმნას მთელი საზოგადოება. ამ პირობებს გარეშე დისციპლინის შექმნის ცდები იქცევა ლიტონ ფრაზად, მანჭვაგრეხად. ეს პირობები კი, ერთის მხრივ, არ შეიძლება ერთბაშად წარმოიშვას; ამ პირობების გამომუშავება ხდება მხოლოდ ხანგრძლივი შრომით, მძიმე გამოცდილებით; მათ გამომუშავებას აადვილებს სწორი რევოლიუციონური თეორია, რომელიც თავის მხრივ დოგმას კი არ წარმოადგენს, არამედ საბოლოოდ ყალიბდება მხოლოდ მჭიდრო კავშირში ნამდვილად მასიურ და ნამდვილად რევოლიუციონურ მოძრაობის პრაქტიკასთან“.

ასე სწერდა ლენინი 1920 წ. თავის ბროშურაში „მემარცხენეობის ბავშვური სენი კომუნიზმში“. მისი, როგორც რევოლიუციონურ ჯარის ბელადის, უფაქიზესი წესი მთელ მის სიცოცხლეში იყო ის, რომ იგი არასოდეს არ იყო უჯარო სარდალი, მაშინაც, როდესაც ჩვენი პარტია იყო მცირერიცხოვანი, სუსტი, — მას გავლენა ჰქონდა მუშათა ფართო წრებზე. მშრომელთა ფართო წრებზე, ჩვენი პარტიის რევოლიუციონური დისციპლინა ყოველთვის ხასიათდებოდა იმ ნიშნებით, რომლებზედაც მიგვითითებდა ლენინი. ლენინი არასოდეს არ იყო ვიწრო—შეთქმულებითი აჯანყების ბელადი, როგორც ამას მიაწერდნენ მას ისინიც კი, ვინც ბოლშევიკ-ლენინელებს უწოდებს ზოგჯერ თავს. ლენინისთვის აჯანყება იყო ხელოვნება, მაგრამ ისეთი ხელოვნება, რომელიც უნდა **შეითვისონ მასებმა**.

უნდა შევისწავლოთ ლენინი. უნდა შევისწავლოთ მისი წერილები 1905—1907 წლ. რევოლიუციის შესახებ. უნდა შევისწავლოთ 1917 წლის ისეთი მისი დოკუმენტები, როგორც „კატასტროფის საშიშროება და როგორ უნდა ვებრძოლოთ მას“, „შეინარჩუნებენ თუ არა ბოლშევიკები სახელმწიფო ხელისუფლებას“, „კრიზისი მომწიფდა“, „გარეშე რჩევა“, „წერილი ამხანაგებს“, „წერილი ი. სმილგას“ და მთელი რიგი სხვა დოკუმენტები, რომლებიც ეხება 1917 წელს, უნდა შევისწავლოთ ყველა ეს დოკუმენტები, რომ შევიგნოთ გენიალური ხაზი ლენინის, როგორც პროლეტარულ აჯანყების ბელადის. მხოლოდ მაშინ შეიძლება იმის გაგება, თუ როგორ უყურებდა ლენინი აჯანყებას, როგორც ხელოვნებას, როგორ შეეძლო მას მარქსისტულ მოთხოვნების გამოყენება თვითეულ ცალკე ისტორიულ მომენტის მიმართ.

ლენინს, როგორც პროლეტარულ რევოლიუციის ბელადს, აქვს საერთაშორისო მნიშვნელობა, ისე, როგორც ოქტომბრის რევოლიუციას აქვს მნიშვნელობა არა მარტო საბჭოთა კავშირისათვის, არამედ მთელი მსოფლიოს პროლეტარიატისათვის. ვინც ამოცანად ისახავს შემდგომ ბრძოლას მთელს მსოფლიოში სოციალიზმის გამარჯვებისათვის, ვინც ამოცანად ისახავს ბრძოლას პროლეტარიატის დიქტატურისათვის კაპიტალიზმის ქვეყნებში, მას არ შეუძლია არ შეისწავლოს რუსეთის ოქტომბრის გაკვეთილები, ის ვერაფერს ვერ გაიგებს, თუ არ შეისწავლა ლენინის ნაწარმოებანი, თუ არ შეისწავლა ლენინის მუშაობა, ვერ გაიგებს იმ ტაქტიკას და სტრატეგიას, რომელსაც იყენებდა ლენინის პარტია 1905—1907 წ. პირველ რევოლიუციაშიაც და 1917 წლის რევოლიუციაშიაც.

მაგრამ დეე ყველას ახსოვდეს, რომ საჭიროა შესწავლა პროლეტარულ პარტიის ტაქტიკისა და სტრატეგიისა არა მარტო რევოლიუციონურ აღტკინების ხანაში, არამედ საჭიროა შესწავლა ამ ტაქტიკისა და სტრატეგიისა უკან დახევის, მანევრების ხანაშიაც; უნდა შეგვეძლოს დროებითი დამარცხებების შემდეგ აღვრიცხოთ ჩვენი საკუთარი შეცდომები, როგორც იქცეოდა ლენინი; უნდა შეგვეძლოს ისე დავაწყოთ ხელახლა ჩვენი ჯარი, რომ ის უფრო ფართოდ და ღრმად იყოს დაკავშირებული მშრომელთა მასებთან, პარტიულ და უპარტიო, პროლეტარულ და არაპროლეტარულ მშრომელ მასებთან; უნდა შეგვეძლოს არა მარტო ვიწრო შტაბის წამოყენება აჯანყების სახელმძღვანელოდ; უნდა შეგვეძლოს ისე მოვაწყოთ და აღვზარდოთ რევოლიუციონური კლასი—პროლეტარიატი, რომ მას შეეძლოს მიიღოს მშრომელთა მეთაურობა, ხელმძღვანელობა და გატაცება. უნდა შეგვეძლოს მოვახდინოთ არა მარტო პარტიის ბოლშევიზაცია, არამედ მასების ბოლშევიზაციაც. ამ ხელოვნების უდიდესი მასწავლებელი და, ამიტომ, პროლეტარულ აჯანყების აღიარებული ბელადიც სოციალიზმის ისტორიაში არის ლენინი უდავოდ.

ემელიან იაროსლავსკი.

---

* ლ. დ. ტროცკის წერილი ნ. ს. ჩხეიძისადმი 1913 წლის 1 აპრილის თარიღით (იხ. «Ленин о Троцком». Библиотека рабоч. молодежи. «Новая Москва», 1925 წ. გვ. 217—218.

*) წერილი ბოლშევიკურ პარტიის წევრებს. ცეკას ოქმი 1917 წლ. 20 ოქტომბ. № 27 (იხ. „Пролетарская Революция“, 1927 წლ. სექტემბერი).

ოქტომბრის გამოძახილი ქალაქად და სოფლად

ოქტომბერი ახლოვდებოდა

(მოგონება)

ეს იყო 1917 წელს, თებერვალში, შვეიცარიის ქალაქ ვინტერტიურში ვმუშაობდი. ერთ დღეს ჩვეულებრივად, დილით ადრე სამუშაოსკენ გავრბოდი. ქუჩებში გაზეთის გამყიდველები გაჰკიოდენ: „ახალი გაზეთები", „დილის გაზეთები", „რევოლიუცია რუსეთში" და სხვა.

ასეთ ხმებზე ყური შეჩვეული მქონდა. რამდენჯერმე ვიყიდე გაზეთი. მეგონა მართლა რუსეთის რევოლიუციის ამბავს იტანდა, მაგრამ ვსტყუვდებოდი. რევოლიუციის მაგიერ რაიმე უბრალო ამბავს ამოიკითხავდი გაზეთში. ამიტომ ამ ისტორიულ დღესაც აღარ მივაქციე ყურადღება გაზეთების გამყიდველების ყვირილს და პირდაპირ გავსწიე სამუშაოსაკენ.

ქარხანაში, ერთ ალაგას ამხანაგებს თავი მოეყარათ და გაზეთს კითხულობდენ. დამინახეს თუ არა ყველამ ერთხმად მომაძახა: რუსო (აქ რუსს მეძახოდენ). მოდი აქ. რუსეთში რევოლიუცია მეფე ჩამოუგდიათ, დროებითი მთავრობა აურჩევიათო.

რა დამაჯერებდა ასე უცბად ამ სასიხარულო ამბავს.—12 წელიწადი ველოდებოდი რევოლიუციას, მარა დღეს მაინც არ მგონია მართალი. უგულოთ მიველი საცა გაზეთს კითხულობენ.... გაზეთში მართლაც კითხულობენ რუსეთის რევოლიუციის ამბავს. ხელიდან გამოვსტაცე ამხანაგებს გაზეთი, წავიკითხე ერთხელ, ორხელ, სამხელ, გავიქეცი ქუჩაში; ვიყიდე ეხლა რამოდენიმე სხვა გაზეთები. ყველა ადასტურებს რუსეთის რევოლიუციის ამბავს. ზოგი კომენტარიებს უკეთებს. დავბრუნდი სამუშაოზე, მაგრამ ველარ ვმუშაობ. არც გონება მემორჩილება, არც ხელები. ამხანაგებიც მაჯავრებენ ეხლა ბენდიონიძე (აქ ბენდიონიძის გვარზე ვცხოვრობდი) გაგვექცევა.... აქ აღარ დადგება და სხვა. მართლაც ამის შემდეგ აღარ მიმუშავია. ავადმყოფობა მოვიგონე, „ბიულეტენი" ავიღე. შეიძრა, აბობოქრდა ევროპის ემიგრაცია. მარტო შვეიცარიაში ათასობით ვიყავით. დაისვა საკითხი რუსეთში წამოსვლის შესახებ, მაგრამ ეს არც ისე ადვილი იყო.

საფრანგეთი და ინგლისი თავის ტერიტორიაზე არ გაგვატარებდა. ამ სახელმწიფოებს არაფრათ ეჭაშნიკებოდათ ომის მოწინააღმდეგე სოციალისტების რუსეთში დაბრუნება. სხვა თვალით უყურებდა ამ საქმეს გერმანიის მთავრობა. მისთვის სახეირო იყო რუსეთში ომის მოწინააღმდეგების დაბრუნება. ამიტომ გერმანიამ ნება-დაგვრთო დაკეტილი ვაგონებით გავლა რუსეთისაკენ.

მენშევიკებმა ნებართვა ვსთხოვეთ დროებით მთავრობას, რომ გადმოგვევლო გერმანიაზე და უცდიდით პასუხს. „რკინის ემიგრანტმა" (ასე ეძახოდენ იქ ამხ. ლენინს) ხელად შეაფასა თებერვლის რევოლიუცია. მაშინვე აუღო ალღო მომხდარ ამბებს და დაუყოვნებლივ დეპეშით აცნობა რუსეთის ამხანაგებს, რომ არ ენდონ დროებით მთავრობას და მთელი ძალღონე მოანდომონ მუშათა შეკავშირებას, მუშათა ორგანიზაციების მოწყობა-გამაგრებას.

ამით არ დაკმაყოფილდა ოქტომბრის რევოლიუციის გმირი. ის არაფერს არ შეუშინდა, არც დრო დაკარგა და პირველმა მიაშურა თავის სახელოვან ქალაქში და შეუდგა მუშაობას ახალი გადატრიალების, ოქტომბრის რევოლიუციისათვის. ამხ. ლენინის მიერ გაკაფული გზით ვისარგებლეთ და მაისის პირველ რიცხვებში გამოვედით შვეიცარიიდან 260 ემიგრანტი, ყველა პარტიის და ყველა ფრაქციის წარმომადგენელნი. გზაში არ გვაკლდა ჩვეულებრივი ფრაქციული კამათი და ჩხუბი.

ამხანაგი ბოლშევიკები, უკვე გამოსთხოვებიან სოციალ-დემოკრატიის სახელს და ეხლა კომუნისტებათ აღიარებენ თავს. ლაპარაკში ეტყობათ, რომ ესენი მომხდარი რევოლიუციით არ კმაყოფილდებიან. უკვე ეტყობა, რომ ოქტომბრის რევოლიუციის საძირკველი, შვეიცარიაში ჩაუყრია— რკინის ემიგრანტს, ლენინს. ლენინის ლენინგრადში ჩამოსვლისთანავე ამაში უფრო და უფრო რწმუნდები.

ყოველ ნაბიჯზე ხვდებით შეიარაღებულ ბოლშევიკ მუშებს. ყოველ ნაბიჯზე ომის საწინააღმდეგო აგიტაცია ისმის. ყველგან ლენინზეა ლაპარაკი, ყველგან ისმის ჩურჩული ახალი კომუნისტური გადატრიალების შესახებ..

ოქტომბერი ახლოვდებოდა... და რამდენიმე თვის შემდეგ, მიუხედავად მრავალგვარი დაბრკოლებებისა, ოქტომბრის რევოლიუცია ხდება. ძალაუფლება გადადის მუშათა საბჭოების ხელში —ცხადდება მუშათა დიქტატურა.

მუშების დიდი ხნის სურვილი სინამდვილეთ იქცა

გაუმარჯოს დიდი ადამიანის მიერ აღებულ გზას!

გაუმარჯოს ლენინიზმს!

ს. დოლიძე.

ოქტომბერი

რუსეთის ქვეყნებს მოხვეოდა ზეწრად ქაოსი
—გაღლვარებულს რკინის ღუმელებს ფერფლი ფარავდა
შხუოდა ქარი... იცვლებოდა ყველგან ტაროსი
მზეს შესციენოდა და ღრუბლებში თავს იმალავდა.
ვოლგას ნაპირებს გაწოლოდა გველივით ხისლი
დნეპრი და ნევა კლდე-ზღუდეებს ეხეთქებოდა
ფინის ყურეში ტბად დგებოდა ღვიძლ ძმათა სისხლი
დამშეულთა მთები იზრდებოდა და ცას წვდებოდა.
ზოგან დამწვარი დანგრეული პეტრეს ქალაქი
ძლივს ამთქნარებდა კბილებს ღრჭენდა ცივ აგურებით
პროსპექტზე ძეგლებს მოსდებოდა მუქყი ტალახი.
ჯარი ხარობდა სასახლეში დასადგურებით
ზოგან—იძახდა დამარცხებულთა ყრუ ხმა ყიჟინი
ზოგან—სარდლები გაჰკიოდა ულაშქროდ მარტოდ
ზოგანაც ჯარში გახრწნილებას თავი ეჩინა
და ბრძოლის ველზე გენერლები ჩნდა მარტოდ-მარტო
მეორგან ჯარები შეუერთდა ხალხს და საბჭოებს
(შრომის ემბლემას აწ გვერდში ყავს ერთგული მცველი)—
ლენინი ჰყვირს: გაუმარჯოს მუშებს, საბჭოებ'
ღამე სამასხროდ აგდებული სირცხვილით კვდება.
ჰეი, ბუნებავ! შენთან ბრძოლას გაუმკლავდებით—
და შენს გულმკერდში რისხვა ჩვენი ნაღმად ჩაწვება.
დღეს, ჩვენ ჩავკიდეთ დასარბევად გაწვდილი ხელი.
[illegible] შენი ენების ცეცხლის გვინდა დავწუროთ.
გვინდა შენს კალთებს შევახვეროთ ბრმა სარეცელი.
და ბნელ კერპებზე გავახუროთ ეხო და ურო.
ბრძოლით დაუწყებთ ჩვენ შენება შრომის სამეფოს.
ბრძოლაში ვწვრთნებით და ვმაგრდებით ყოველგვარ ფრონტზე,
და დღის მინდვრებში ტრაქტორები თუ დათარეშობს
იქ, წითელ ჯარით მედგრად ვდგევართ სადარაჯოზე

ვ. ჩხიკვაძე.

საქართველოში უძველესი მათხოჯის კოოპერატივი

(30 წლის შესრულების გამო)

წელს შესრულდა 30 წელი (1897—1927), რაც მათხოჯში დაარსდა კოოპ. რომელიც უსახელო იყო და გლეხობა „ობჩის დუქანს" ეძახდა). (общественная лавка)

საქართველოში ამ უძველეს კოოპერატივს საკმაოდ ლამაზი რევოლიუციონური წარსულიც აქვს: ხსენებულ კოოპერატივში ინახებოდა და აქედან ხალხში ვრცელდ. პროკლამაციები იარაღები და ცარიზმის სხვა საწინააღმდეგო საქმენი. ბრწყინვალეა წარსული მაშინდელი ნოქრებ-პოლიტიკურ მოღვაწეებისა. აწ განსვენებულთა: კლასიონ მელაძისა, ბართლომე კინწურაშვილისა, დათიკო კარსანიძისა, ესტატე ბარაბაძისა და სხვათა. მათხოჯში მოდიოდენ, იმალებოდენ და მუშაობდენ დღეს მსოფლიოს მასშტაბით ცნობილი პოლიტიკური მოღვაწენი. მათხოჯის აბრეშუმის პარკის ფარდულებში და ლობე-ყორეებში ღამ-ღამობით ფარულად იმართებოდა კრებები. სოფელს გარეთ, ქვა-საბერტყელას ბუჩქნარიან ველზე, მოწყობილ იქნა დიდი მიტინგი, სადაც სიტყვების შემდეგ, ტყვიებით დახვრეტილ იქნა ნიკოლოზ მეორის დიდი სურათი. მთელ საქართველოში (პროვინციაში) თითქმის პირველად მათხოჯში—1901 წელს—აღდგომა დილით—ეკლესიის გალავანში ფრიალებდა წითელი დროშა. ვინც ეს არ იცის, ის კარგად არ იცნობს ქართველ გლეხთა რევოლიუციონურ წარსულს.

მათხოჯის კოოპერატივს თავზე მთელის საშინელებით გადაიარა რეაქციის ყორანის—ალიხანოვის სისასტიკემ: მუშთა-ხორითის საშიშ ბუდე დაარბია, ააწიოკა, მეთაურები დაიჭირა, გადაასახლა.... ხალხის გულში დანთებული ცეცხლი როდი ქრება და აკი რევოლიუციონერების მიერ მოკლულ იქნა კლასიონის შემცვლელი მათხოჯის კოოპერატივის, თვითმპყრობელობის აგენტი ნოქარი ჯალალანია, რომელიც პროკლამაციების დაუღალავი მტერი იყო. მათხოჯის კოოპერატივმა კვლავ განაგრძო თავისი ბრწყინვალე მოღვაწეობა კონებრივადაც ძლიერი იყო. მას უკვე ჰქონდა საკუთარი შენობა განყოფილებით: საბაკალეინო, ფართლის, მატყლის, ფეხსაცმელების სახელოსნო, ღვინის საწყობი, ფქვილის საწყობი, ფურნე, ქოხდა განყოფილებები: ზედა-კუთხეში, ბარაბაძეებში. ვაგონებით ყიდულობდა ფქვილს, მარილს, ნავთს, ფართალს, ერთიანად იძენდა გაკოტრების გზაზე დამდგარ ახლო მახლო კერძო ვაჭრებს მთელ ავლა-დიდებას. გარდა სათადარიგო, საპაიო ნისიად დასაფარავ და სხვა თანხებისა, რამოდენიმე ათი ათასი მანეთი მარტო მიბარებული ფული ჰქონდა არ იყო არც ერთი მათხოჯელი, რომ კოოპერატივის წევრი არ ყოფილიყო. მეზობელ თემებიდან და სოფლებიდანაც უმრავი წევრი ყავდა. ყოველ თავისუფალ კაპეიკს გლეხი მის კოოპერატივს მიაბარებდა.

ომებისა და რევოლიუციის ხანაში, ფულის დაცემის პერიოდში თითქოს ისიც დაეცა ეკონომიურად. შემდეგ მრავალ დუქნიან მთლიანი კოოპერატივის პრინციპების დროს ის მიწერილ იქმნა ხონის კოოპერატივზე გამოცხადდა ხონის ერთ-ერთ დუქნად. საქონელმა იკლო. წევრებიც თანდათან ჩამოიცილდა. ადგილობრივი ინიციატივა მიუჩრდა.

მათხოჯი გაიტაცა სახალხო სახლის შენებამ. რომელიც ბრწყინვალედ მთავრდება.

ამჟამად განზრახულია მათხოჯის კოოპერატივის, როგორც უძველესი და რევოლიუციონური წარსულის მქონე მომხმარებელთა საზოგადოების გაჯანსაღებას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს, რათა მისი დროებითი სისუსტით მის რაიონში სოციალიზმ გამრავლებული კერძო ვაჭრობები დადგნენ მის ჯავრების ქვეშ. ამ საკითხზე იმსჯელა ცეკავშირის გამგეობამ და გამოიტანა დადგენილება: ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლისა და მათხოჯის კოოპერატივის ოცდაათი წლის თავზე საქართველოს ეს უძველესი კოოპერატივი დამოუკიდებელ „ეპოთ" გამოცხადდეს.

ვ. ძ.

—:—

მუხრანის თემი, დუშეთის მაზრა

ჩვენი მიღწევები ათი წლის თავზე

მუხრანი, რომელიც თემის ცენტრად ითვლება წინად წარმოადგენდა ფრიად ჩამორჩენილ სოფელს, მაგრამ გასაბჭოების შემდეგ თემის კულტურული და სამეურნეო საქმე სწრაფი ნაბიჯით წავიდა წინ.

დავიწყოთ სწავლა-განათლების დარგიდან. გვქონდა მხოლოდ ორკლასიანი სასწავლებელი ორი მასწავლებლით, ამჟამად გვაქვს ოთხწლედი 6—7 მასწავლებლით, საბავშვო ბაღი, გლეხთა ახალგაზრდ. სკოლა, რომელსაც აქვს საცდელ საჩვენებელი ნაკვეთები, რომლითაც სარგებლობს გლეხობა. ასეთივე სკოლა არსებობს ამავე თემის სოფელ ცხვერისში. ყოველ წელს ზამთრობით არსდება სალიკვიდაციო და მცირე მცოდნეთა სკოლები თემის ყველა სოფლებში. ამას გარდა არსდება სტაციონალური, პარტსკოლები, აგრონომიული მოკლევადიანი კურსები და სხ. მოწაფეთა რიცხვი 1917 წ. შედარებით ხუთჯერ გადიდებულია.

ქოხ-სამკითხველოს, რომლის სახელიც წინედ არ იცოდა გლეხობამ, დღეს მოსდის მრავალი ჟურნალ-გაზეთები. მოწყობილია გაზეთების ხმამაღალი კითხვა ცალკე უბნებში. სამკითხველოში დადგმულია მიმღები რადიო აპარატი; ქოხ-სამკითხველოს მიერ გლეხობას ეწევა დახმარება როგორც განცხადებების დაწერით, ისე იური დიული რჩევა-დარიგებით.

ეხლა შევეხოთ აღმშენებლობითი მუშაობას. სოფ. მუხრანში, სოფლის შეფის დახმარებით (ეხლა აღარაა) აშენდა ელსადგური ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება გამოყვანილია საელსადგურო ხაზი, რომელთანაც დაკავშირებულია თემაღმასკომი და სხვა დაწესებულებები.

თემის სოფლებში გაჰყავთ წყალსადენები. ს. მუხრანის ცენტრში დაგებულია ქვაფენილი.

კოოპერატივი სდგას მტკიცე ნიადაგზე, ერთიანებს ათასამდე წევრს. სოფლებში აქვს სამი განყოფილება. არსებობს საკრედიტო კოოპერატიული ამხანაგობა, რომელსაც შეძენილი აქვს სალეწი, სამკალი, პურის საკეთებელი მანქანები და ორიც ტრაქტორი, რითაც სარგებლობენ ღარიბი გლეხობა.

თემაღმასკომის მიერ გაკეთდა ქვიტკირის ხიდები. შეკეთებულია აგრეთვე ყველა სასოფლო გზები.

თემის მეტ წილ სოფლებში არსებობენ გლეხკომები, რომლებიც დახმარებას უწევენ ადგილობრივ ქვრივ ობლებს და ხელმოკლე გლეხობას.

ასეთია მოკლედ მუხრანის თემის მიღწევები ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე.

ლ. ბუნტური.

ჩემი მოგონება

1917 წელი, ყველას ახსოვს თუ რა ღირსებიც იყო. მართალია თვითმპყრობელი მეფე ტახტზედ აღარ იჯდა და თავისებურათ ხალხი ველარ აწვალებდა, მაგრამ მისი ალაგი მოხერხებულ ბურჟუაზ. თუ „დემოკრატიულ" მთავრობას ეჭირა. კერენსკი, მეფის მიერ დაწყებულ იმპერიალისტურ ომის გაგრძელებას ძალიან თხოვდა, რითაც იღუპებოდა და ნადგურდებოდა მუშა მშრომელი.

1917 წელს, 30 ოქტომბერს ქ. [illegible] სოფელ კალკიტის შოსე გზის მახლობლად შესდგა მე-73 დამკვრელ რაზმის და მასთან მე-5-ე სამხედრო ქალთა რაზმის მიტინგი, რომელსაც ხელმძღვანელობდა პოლკის კომიტეტის თავმჯდომარე ივანე ბუჩაშვილი, მიტინგმა თავმჯდომარეთ აირჩია იგივე ბუჩაშვილი, ხოლო საპატიო თავმჯდომარეებათ, ამხ. ლენინი, კალინინი, სტალინი და პოლკის უფროსი პრაპორშჩიკი კრილენკო. მიტინგმა ერთხმად დაადგინა: დაუყოვნებლივ გაუქმდეს რაზმში და ყველგანაც კერენსკის ნიშნები და ბრძანებები, აგრეთვე მოიხსნას ყველგან მისი სურათები და სხვ.. ამავე დროს მიტინგმა აირჩია დელეგატები პეტროგრადში არსებულ კომუნისტურ საბჭოში, გასაგზავნად. დელეგატთა შემადგენლობაში შედიოდენ: ვანო ბუჩაშვილი, უნტერ-ოფიცერი ივანენკო და ნადეჟდა ირავოი, დელეგატები სამხედრო ორკესტრით და დიდი ოვაციებით იქნა სადგურამდე გაცილებული. რაზმში მოითხოვდა უანგარიშოთ და უკონტრიბუციოთ ზავის ჩამოგდებას და მასთან მთელ რუსეთში მუშათა და გლეხთა საბჭოების დაარსებას.

დელეგატებს დიდი ოვაციებით შეხვდენ პეტროგრადის ყველა მუშათა ორგანიზაციები და მასთან კომუნისტური საბჭოც. ამ სურათის შემდეგ ბევრ დროს აღარ გაუვლია და მოღალატე კერენსკის თავის მუხანათური წეს-წყობილებით წირვა გამოუვიდა და ყველგან აფრიალდა ჩაქუჩ-ნამგლიანი წითელი დროშები, რომლებიც დღესაც ლამაზად და ამაყათ ფრიალებენ საბჭოთა კავშირში, მუშათა და გლეხთა სასიხარულოთ და პროლეტარიატის მტრების თავზარდასაცემათ.

გაუმარჯოს ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავს!

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას!

მუშა ვანო ბუჩაშვილი.

ათი წლის თავი

ათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც დედამიწის ერთ-მეექვსედზე მშრომელმა მასამ თავის-თავზე აიღო სახელმწიფოს მართვა-გამგეობა.

მსოფლიო და სამოქალაქო ომის დროს გაღატაკებული რუსეთის მოსახლეობა, ხელი-ხელ ჩაკიდებული ეწევა შრომას და აშენებს სოციალიზმს.

თუ ნიკოლოზს, 26 მილ. მუშა-ხელი მსოფლიო ომში ჰყავდა ჩაბმული და ულმობლად ღვრევინებდა სისხლს, დღეს მასა აღმშენებლობითი მუშაობაშია ჩაბმული და დიდი მიღწევებიც გვაქვს, როგორც საქარხნო-საფაბრიკო, აგრეთვე სასოფლო მეურნეობაშიც: აშენდა ფაბრიკა-ქარხნები, მუშათა საცხოვრებელი ბინები, სასწავლებლები, აგებული იქნა ელსადგურები, გაყვანილ იქნა ახალი გზები და სხვ.

ღარიბ გლეხობას მიეცა შესაძლებლობა ხელმისაწვდომ ფასებში შეიძინოს სამეურნეო იარაღები და ამით ააყვავოს თავისი მეურნეობა.

დაარსდა წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლები, მუშფაკები, უმაღლესი სასწავლებლები, და სხვ. ამ მხრივ ჩვენი ბელადის ანდერძი განხორციელებულია.

ყველა ამის შემდეგ ჩვენ თამამად ვამბობთ:

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

გაუმარჯოს მის დამცველ წითელ არმიას!

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარიატს!

მალაროს მუშა გ. ხუციბერიძე.

ოქტომბერი და მუშა ქალი

1917 წ. 25 ოქტომბერს, რუსეთის მუშებმა და მათთან ერთად მუშა-ქალებმა რუსეთის ყველა ქალაქების ქუჩებში შეიარაღებული ბრძოლით დაამარცხეს და დაამხეს დახავსებული ბურჟუაზიის ბატონობა. აიღეს ხელისუფლება საკუთარი ხელში და შექმნეს მთელ მსოფლიოში პირველი და ძლიერი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

დღეს ძლევამოსილი საბჭოთა კავშირის მშრომელი ხალხი ეგებება ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარს, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ათი წლის თავს.

ოქტომბრის გამარჯვება არის პირველი დიადი გამარჯვება ყველა ქვეყნების მუშების და მუშა-ქალისა, რომელიც თანდათან გამოდის ოჯახური ზრუნვის და ოჯახური ინტერესების ვიწრო და შეზღუდულ კარჩაკეტილობიდან საზოგადოებრივ და ახალი ცხოვრების აღმშენებლობის ფართო გზაზე.

მთელი მსოფლიოს საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში, მუშა-ქალი დიდ როლს ასრულებდა. ის თავისი სიფხიზლით—ხასიათის სიმტკიცით და იარაღით ხელში უშიშრად იბრძოდა მშრომელ მასის საკეთილდღეოდ.

ამჟამად საბჭოთა კავშირში არ არსებობს ისეთი მხარე, სადაც არ იყოს ჩაბმული მუშა-ქალი საერთო საქმიანობაში და მხურვალე მონაწილეობას არ იღებდეს სახელმწიფო მართვა - გამგეობაში. მუშა და გლეხი ქალები დღეს არიან საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები და სრული საშუალება აქვთ ცხოვრება მოაწყონ ისე, როგორც ეს საჭიროა პროლეტარიატის და სოფლის ღარიბთათვის.

ოქტომბრის რევოლიუციამ მოუტანა მუშა და გლეხ ქალებს დრო ნეტარებისა, ბედნიერებისა და თვითგამორკვევისა. დღევანდელი ქალის მოვალეობაა ნანახთან ერთად თავის შვილებს ჩაუნერგონ სიყვარული საბჭოთა ხელისუფლებისა, შეაგნებინოს დიადი მნიშვნელობა ოქტომბრის რევოლიუციისა, შეაყვაროს სწავლა განათლება. ამით ისინი შეასრულებენ და განახორციელებენ ოქტომბრის რევოლიუციის იდეებს.

გაუმარჯოს ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავს!

გაუმარჯოს მუშა და გლეხ ქალების შეგნებულ შეკავშირებას!

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

მარიამ ლვინიაშვილი.

საბჭოთა ხელისუფლების მიღწევები სვანეთში

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ სვანეთსაც მიექცა განსაკუთრებული ყურადღება. წინეთ სვანეთი (12.000 მცხოვრებით), საბოქაულოს შეადგენდა, ხოლო საბჭოთა ხელისუფლებამ იგი ცალკე მაზრათ გამოჰყო იმ მოსაზრებით, რომ მეტი კულტურულ-ეკონომიური მუშაობა ეწარმოებინა.

სწავლა-განათლება. სვანეთში 22 პირველდაწყებითი სკოლაა, 2 გლეხთა ახალგაზრდობის და ერთიც საბავშვო სახლი (ზამთრობით თბილისშია მოთავსებული), სადაც იზრდება საერთო რიცხვით 1500-მდე მოწაფე. ამას გარდა 60—70-მდე სვანი სწავლობს რესპუბლიკის სხვა სკოლებში, თითქმის ყველა სტიპენდიანტებათ. მასწავლებლობა, რაც შეიძლება, შერჩეულია. ყველა სკოლებს მოწაფეთათვის სახელმძღვანელოებსა და სასწავლო ნივთებს უფასოდ აწვდის მაზრაღმასკომი. მოსახლეობა დიდ ლტოლვას იჩენს სწავლა-აღზრდისადმი.

ჯანმრთელობა. ხელისუფლების ერთი მთავარი საზრუნავი ჯანმრთელობაცაა, ცენტრში—ს. მესტიაში გახსნილია საავადმყოფო საწოლებით, სადაც მოსახლეობას უფასო დახმარება ეძლევათ. სამკურნალო პუნქტებია დაარსებული შემდეგ ადგილებში:

სოფ. კალას, ბეჩოს, ლახამულას, და ხაიშში საექიმო დახმარება და წამლები ყველგან უფასოა. 1925 წელში სვანეთში იყო მივლინებული სპეციალისტ ექიმთა ექსპედიცია ჩიყვიანობისა, კეთრისა და სხვა დაავადებათა, გამოსარკვევად ექსპედიციამ თავისი მოვალეობა პირნათლად შეასრულა.

გზები. სვანეთში გზის გაყვანას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა. მაზრაღმასკომი ამ საქმეზე საგრძნობ თანხას ხარჯავს. ხოლო მოსახლეობა ხალისით მუშაობს. ცენტრი თითქმის ყოველწლობით აგზავნის სვანეთის გზების გასაყვანად მესანგრეთა რაზმს, რომლის მუშაობა საგრძნობია. ხსენებული გზა მისდევს მდ. ინგურის ხეობას ს. ჯვარიდგან ს. მესტიამდე და იქიდან ს. უშგულამდე, სულ 160 ვერსის მანძილზე.

ფოსტა-ტელეგრაფი და რადიო-მიმღები. ს. ჯვარიდან ს. მესტიამდე გაყვანილია სატელეგრაფო და სატელეფონო ხაზი; განყოფილებებია შემდეგ ადგილებში: სოფ. მესტიაში, ბეჩოში, ლახამულაში და ხაიშში, რადიო-მიმღებია დადგმული ოთხ ადგილას.

კოოპერატივი. კოოპერატივის დაარსებამ სვანეთის მოსახლეობა ძლიერ დააინტერესა, იგი დიდის ნდობით უყურებს მას. მთავარი კოოპერატივია ს. მესტიაში, განყოფილებანი, ეცერსა და ლახამულაში. განზრახულია კოოპერატივის გახსნა: ს. კალაში და რაიშში. მაზრას აქვს ერთი საკრედიტო ამხანაგობა ს. მესტიაში.

სასამართლო. მეფის დროს მოსამართლე მხოლოდ ორ თვეს ჩერდებოდა სვანეთში. (მენშევიკებმა ესეც მოსპეს). გასაბჭოების შემდეგ დაარსდა ორი სასამართლო (ორი გამომძიებლით), მესტიასა და ბეჩოში; მოსამართლეებათ ადგილობრივებია. ხალხი ნდობით უყურებს საბჭოთა სამართალს.

აღმშენებლობა. ს. მესტიაში აგებულია სამაზრო აღმასკომის შენობა (თუმცა უგემოთ) ბეჩოში სამი შენობა, ერთი გლეხთა ახალგაზრდობის სკოლისათვის, მეორე სასამართლოსათვის და მესამეც ფოსტისათვის. მოსახლეობაში გაიღვიძა ინტერესმა ახალ გემოვნებაზე შენობების აგების.

გადასახადი. არავითარ გადასახადს სვანი არ იხდის, არც სამხედრო ბეგარაში იწვევენ, რითაც ხალხს დიდი შეღავათი ეძლევა.

ასეთია საბჭოთა ხელისუფლების მიღწევები ამ მოკლე ხნის განმავლობაში. მომავალში ეს საქმიანობა კიდევ უფრო გაცხოველდება.

სვანი ი. მარგიანი.

ლენინიზმის სადარაჯოზე—ტროცკიზმის წინააღმდეგ

თბილისის ორგანიზაციის მესამე და მეოთხე რაიონის აქტივის კრებებზე ოპოზიციამ გაილაშქრა 7 ს. სამუშაო დღის წინააღმდეგ.—ოპოზიცია განაგრძობს გასტროლიორობას პარტიულ კრებებზე.—მესამე რაიონის აქტივის კრებაზე 316 ხმიდან ოპოზიციამ მხოლოდ ერთი ხმა მიიღო.—მეოთხე რაიონის აქტივის კრებაზე ოპოზიციის გამკიცხავ რეზოლიუციას ხმა მისცა 313 კაცმა, წინააღმდეგ კი—3 კაცმა.—პარტიული კრებები დაჟინებით მოითხოვენ გაუსწორებელ ოპოზიციონერების გარეკას ლენინური რიგებიდან.

პარტაქტივის სარაიონო კრებები

მესამე რაიონის პარტაქტივი გმობს ოპოზიციას

4 ნოემბერს მესამე რაიონის პარტკლუბში შეიკრიბა რაიონის აქტივი. აქტივის კრებას დაესწრო 316 კაცი.

კრებამ მოისმინა ამხ. ნაზარეტიანის მოხსენება საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას და ცენტრ. საკონტრ. კომისიის ოქტომბრის პლენუმის შედეგების შესახებ.

ამხ. ნაზარეტიანის მოხსენების ირგვლივ გაიმართა ფართო კამათი.

კამათში მონაწილეობა მიიღეს არა მარტო ადგილობრივმა ოპოზიციონერებმა, არამედ „გასტროლიორებმაც" სომხეთიდან. გამოსულთა შორის იყვენ შემდეგი ოპოზიციონერები: იასონ ჯორბენაძე, გაზარიანი (სომხეთის „გასტროლიორი"), ესაიანი, ფოფხაძე, თევდორე კალანდაძე.

ოპოზიციონერ იასონ ჯორბენაძის სიტყვა შეიცავდა მხოლოდ საერთო დემაგოგიურ ფრაზებს და ცარიელი სიტყვების რახა-რუხს

ამხ. ვასო ხაჩატუროვი (მუშა) ამბობს: მე შევხვდები მხოლოდ მუშათა ხელფასს. მე ამას წინად ვიყავი ბაქოში, სადაც კაპიტალისტების დროს მუშები თვეში იღებდენ 8—10—15 მანეთს. ეხლა იგივე მუშები იღებენ 36 მანეთს. რა სთქვა აქ ამხ. ჯორბენაძემ? არავითარი საქმიანი და საინტერესო რამ მას არ უთქვამს.

შემდეგ ილაპარაკა ამხ. გაზარიანმა („გასტროლიორი" სომხეთიდან). მან განაცხადა: მე ვფიქრობ, რომ ის მდგომარეობა, რომელიც ამხ. ნაზარეტიანმა დაასურათა აქ, მთელი პარტიისაგან მოითხოვს განსაკუთრებით ფხიზელ ყურადღებას (ხმები: „ლამაზად მღერის"). ამხ. ნაზარეტიანი აქ ამბობდა, რომ ოპოზიცია მანიფესტის წინააღმდეგია (ხმები: „სირცხვილი, სირცხვილი!"); გაზარიანის „სიტყვის" მოსმენა შემდეგ შეუძლებელი გახდა, ვინაიდან მას ხშირად აწყვეტინებდენ აღშფოთებულნი დამსწრენი. მისი თხოვნით, მას გაუგრძელეს რეგლამენტით დაწესებული ვადა, მაგრამ საქმიანი რომ ვერაფერი სთქვა და „მოგზაურმა გასტროლიორმა" თვითონვე დასტოვა ტრიბუნა.

ამხ. ესაიანსაც გაზარიანის ბედი ეწვია. აქტივის კრებამ არ მოისმინა აბნეული ფრაზების უადგილო რახა-რუხს.

შემდეგ გამოვიდა ამხ. ხოდკოვი (მუშა). მე პირველად მოვისმინე ოპოზიციონერებს,—ამბობს ამხ. ხოდკოვი,—და გამოვიყვანე დასკვნა, რომ ისინი არაფერს საქმიან და არსებით რამეს არ ამბობენ. რომ ოპოზიციონერებს არ დაეწყოთ არალეგალური მუშაობა, ჩვენ პარტიის შიგნით მოვაგვარებდით ყველა სადავო საკითხებს.

მუშების აზრი ასეთია: ჩვენ წავალთ ლენინურ ცეკასთან ერთად; მართალია ჩვენი გზა მძიმეა და ძნელი, მაგრამ ამ გზით ჩვენ მტკიცე ნაბიჯით წავალთ მსოფლიო რევოლუციისაკენ.

მუშა კუპატაძე ამბობს: „ოპოზიცია ხელს უშლის მუშათა კლასის ბრძოლას და ამიტომ იგი სასტიკად უნდა იქნას დაგმობილი.

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ვართან ავაქოვმა. მან სთქვა: „მართალია თუ არა, რომ ოპოზიციას არ აქვს ლაპარაკის საშუალება? არაფერი ამის მსგავსი. უჯრედთა ბიუროების არჩევნებზე, ყველა რაიონულ კონფერენციებზე ოპოზიცია ლაპარაკობდა და ლაპარაკობს დაუსრულებლად. ოპოზიციონერები ლაპარაკობენ რომელიღაც თავიანთ პლატფორმაზე, მაგრამ როცა ისინი სიტყვას ამბობენ, ამაზე რატომღაც ყოველთვის სდუმან და კინკლაობით განსაზღვრავენ თავიანთ გამოსვლას". შემდეგ ამხ. ავაქოვი ეხება საბჭ. კავშირის მრეწველობისა და ძირითადი კაპიტალის ზრდას. „ჩვენი პარტიის ეკონომიური პოლიტიკა სწორია და ჩვენ ამ პოლიტიკის საშუალებით დავამყარებთ სოციალიზმს".

შემდეგ ილაპარაკა ამხ. ვანო სტურუამ. „ჩვენ ერთ ქარხანაში,—ამბობს ამხ. სტურუა,—იყო ერთი მმართველი, რომელიც მუშების ყოველგვარ მოთხოვნილებასა და თხოვნაზე უარს ეუბნებოდა. ჩვენ როცა დაუკვირდით მის მოქმედებას, დავრწმუნდით, რომ მას ქონდა ერთი პრინციპი—გაელაშქრა მუშების მიერ წამოყენებული ყოველი მოთხოვნილების წინააღმდეგ. შემდეგ ჩვენ მას უყენებდით არა იმ მოთხოვნილებას, რომელიც ჩვენ გვინდოდა გაგვეტარებია, არამედ ამის საწინააღმდეგოს. ამ გზით ჩვენ ვაღწევდით მიზანს. ასევე ემართება ჩვენს ოპოზიციას. ყოველივე იმას, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, ე. ი. იმას, რაც გამომდინარეობს პარტიისგან, ოპოზიცია უარყოფს. ცეკას უკანასკნელი მანიფესტის შესახებ კი ოპოზიცია ეთანხმება დანს, მილუიკოვს, აბრამოვიჩს და სხ. ლენინგრადის პროლეტარიატის შესახებ მე უნდა ვსთქვა, რომ სიცრუეა, თითქოს იგი ემხრობა ოპოზიციას. ან თქვენ თვითონ მოგვშორდით და ნუ გვიშლით ხელს, ამხანაგო ოპოზიციონერებო, ან პარტია თვითონ მოგიშორებთ და ამით გათავდება ყველაფერი.

შემდეგ გამოვიდა ამხ. სუხიშვილი, რომელმაც ანალიზი გაუკეთა და გააკრიტიკა ოპოზიციონერთა გამოსვლები.

ამხ. ნაზარეტიანის სიტყვის შემდეგ კრებამ ერთხმად (ერთი ხმის წინააღმდეგ) მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც ნათქვამია:

„ოპოზიციის თეორია და პრაქტიკა შეუძლებელს ხდის ოპოზიციონერთა დარჩენას ლენინური პარტიის რიგებში.

პარტაქტივის კრება ამხ. ზინოვიევისა და ტროცკის გამორიცხვას საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკადან სთვლის სწორად და უკანასკნელ გამაფრთხილებელ ზომად ფრაქციონერ-გამთიშავების მიმართ.

ამავე დროს პარტაქტივი ღრმა აღშფოთებას გამოსთქვამს ადგილობრივი ნახევრადნაციონალისტური ოპოზიციის ფრაქციონულ-გამთიშავი მუშაობის გამო, რომელიც უხეშად არღვევს ლენინის პარტიის დისციპლინას, ცილს სწამებს ლენინის პარტიას და თავისი მოქმედებით პარტიის გარეშე აყენებს თავის თავს. კრება საქართველოს კომპარტიის მომავალი ყრილობისაგან მოითხოვს გადამჭრელ ზომებს ადგილობრივი გამთიშავ-ოპოზიციონერების წინააღმდეგ".

მეოთხე რაიონის პარტაქტივის კრება

9 ნოემბერს ახალ მუშათა კლუბის დარბაზში შეიკრიბა მეოთხე რაიონის პარტ-აქტივი. კრებას დაესწრო 602 კაცი. მოსმენილ იქნა ამხ. მამია ორახელაშვილის მოხსენება—ცეკას და ცენ. საკ. კომ. ოქტომბრის გაერთიანებულ პლენუმის შედეგების შესახებ. მოხსენების შემდეგ

კამათი

ამხ. ჯორბენაძე. მე ვერაფერს ვიტყვი ახალს—(სიცილი) დიდხან ორატორმა, შევეხები მხოლოდ 7 საათის სამუშაო დღეს. რატომ მოხდა, რომ 5 წლიან გეგმაში არაფერია ნათქვამი ამის შესახებ?

კრება ორატორისაგან მოითხოვს კონკრეტიულ პასუხს: წინააღმდეგია ის თუ მომხრე 7 საათის სამუშაო დღის? ორატორი ანებებს და გაურკვევლად ლაპარაკობს. ამხ. ჯიქია. მეტად დამახასიათებელი იყო ამხ. ჯიქიას გამოსვლა. მისი გამოსვლით ერთხელ კიდევ აიხადა ფარდა ოპოზიციის სიყალბეს.

ამხ. ჯიქია არასოდეს არ ყოფილა ოპოზიციონერი, მაგრამ მის დაუკითხავად—ოპოზიციამ მისი გვარი მოუწერია ერთ-ერთ თავის განცხადებაზე. ასეთი, მატყუარობით სურს ოპოზიციამ გავიდეს ფონს, მაგრამ ეს მას არ ეღირსება.

ამხ. ლიაპინი აუტანელი შეიქმნა მუშებისათვის ოპოზიციონერთა მყვირალა ფრაზების, ერთ დაიმავე, ასჯერ გამეორებული სიტყვების მოსმენა. რაზედაც არ უნდა ელაპარაკონ მათ, ისინი უცილებლად ჩინეთში დაიწყებენ ლაპარაკს ან კიდევ პარტიის გადაგვარებაზე. რადგან თვითონ ოპოზიცია გადაგვარდა, (ტაში).

ამხ. ს. თუმანოვი ორატორი ილაშქრებს 7 საათიან სამუშაო დღის წინააღმდეგ—და ამბობს —თუ ოპოზიციის აზრი—ხელფასის მომატების შესახებ დროული არ იყო, რატომ ახლა შეიქნა ის შესაძლო? 7 საათიან სამუშაო დღეზე. ერთდროულად გადასვლა ნიშნავს იმას, რომ პარტია იზიარებს ოპოზიციის აზრს ხელფასის მომატების შესახებ, რადგან ვერც ხელფასის მომატება ხდება და მერე—სამუშაო დროის შემცირება. ამხ. თუმანოვს სურდა დაემტკიცებინა, რომ ვითომ ცეკას მიერ გამოქვეყნებულ თეზისებში—ბევრი რამ—ოპოზიციის პლატფორმიდან არის ამოღებული.

ამხ. ლ. ღოღობერიძე. აქტივმა მოისმინა ძველი „ბოლშევიკ ლენინელის" ამხ. თუმანოვის სიტყვა, რომელიც ანვითარებდა თავის თეორიებს და სხვათა შორის განაცხადა: თუ მე-15 ყრილობაზე ჩვენ უმცირესობას წარმოვადგენთ მე-16 ყრილობაზე უმრავლესობა ჩვენსკენ იქნება (სიცილი). ჩვენი პარტია მე-15 და მე-16 ყრილობაზეც—და მუდამ ლენინური დარჩება. პარტია არასდროს არ დაეცემა ისეთ საზიზღრობამდის, რომ თუმანოვების ხაზს გაჰყვეს.

შემდეგ ორატორი ეხება ამხ. ჯორბენაძის გამოსვლას და ამბობს, ვერაფერი—ვერ სთქვა მან გარკვეულად 7 საათის სამუშაო დღეზე მის სიტყვებიდან. მხოლოდ ერთი რომ ჯორბენაძე, 7 საათის სამუშაო დღის წინააღმდეგია.

ოპოზიციონერები მუდამ გაჰკივიან: რატომ გარიცხეთ პარტიიდან ისეთი ძველი დამსახურებული პარტიის წევრები, როგორიც ამხ. პრეობრაჟენსკი, შაროვი, ლ. დუმბაძე, კეკნაძე და სხვებიო. ჩვენ მათ უნდა ვუპასუხოთ. ძალიან კარგი დამსახურება მიუძღვით მათ წარსულში, მაგრამ ასეთ ხალხთან, რომლებიც ყოველთვის მერყეობენ და ეწინააღმდეგებიან პარტიას, ვერ ავაშენებთ სოციალიზმს. მათ პარტია არ მისცემს ნებას შეარყიონ ჩვენი მთლიანობა, ასეთ გადაგვარებულ გზააბნეულ ხალხთან, რომლებიც მენშევიკურ ჭაობში იფლობიან პარტია უნდა განთავისუფლდეს. (ხანგრძლივ ტაში).

თ. კალანდაძე ამხ. თ. კალანდაძეს ლაპარაკი მხოლოდ სიცილს იწვევდა აუდიტორიაში. სხვათა შორის მან განაცხადა: თუ დღეს ოპოზიციაში—3.000 კაცია, ის რომ გაიზარდოს 20.000-ის, მაშინ ეს მთელი პარტია იქნება.

ამხ. ბირიუკოვი მოითხოვს მიღებულ იქნეს მკაცრი ზომები პარტიის გამთიშველთა წინააღმდეგ.

კამათის შემდეგ აქტივმა მოისმინა ამხ. მ. ორახელაშვილის საბოლოო სიტყვა, რის შემდეგ გაც 602 კაცმა 3 ხმის წინააღმდეგ მიიღო შემდეგი

რეზოლიუცია

საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიონის პარტაქტივის კრებამ მოისმინა და განიხილა რა ამხ. მამია ორახელაშვილის მოხსენება საკ. კომ. პ. (ბ) ცეკას და ცენტ. საკ. კომ. ოქტომბრის გაერთიანებული პლენუმის შედეგების შესახებ, სავსებით და მთლიანად იწონებს პლენუმის მიერ მე-15-ე პარტყრილობისათვის სოციალისტური მშენებლობის მთავარ საკითხების შესახებ მიღებულ დადგენილებას. აქტივის კრება ადასტურებს, რომ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ამოცანები, რომლებიც პარტიის და ქვეყნის წინაშე მთლიანად დასვა მე-14 პარტყრილობამ, მე-14 ყრილობის შემდეგ გასულ ხნის მთელ მანძილზე ლენინური ცეკას მიერ, სწორად ისმებოდა და ხორციელდებოდა, რასაც ადასტურებენ მიღწევები, რომელიც მოგვეპოვება ჩვენ მე-15 პარტყრილობისათვის.

ამასთან ერთად აქტივის კრება ადასტურებს ოპოზიციის სრულ ჩამოშორებას პარტიისაგან; ოპოზიცია საქმით შეუდგა მეორე—ტროცკისტული პარტიის შექმნას ხსვადასხვა ანტილენინურ მიმდინარეობათა და ჯგუფების ნამსხვრევებისაგან, რომლებიც თავის დროზე განდევნილი იქნენ ლენინის უშუალო ხელმძღვანელობით და ამიტომ კრება ამხ. ტროცკის და ზინოვიევის გამორიცხვას ცეკას შემადგენლობიდან სთვლის სწორად.

აქტივის კრება აღნიშნავს, რომ ოპოზიციამ თავის ბრძოლაში პარტიასთან მიაღწია უკიდურეს საზღვრამდე და ლენინიზმის ძირითად პრინციპების შეცვალა ტროცკიზმით; ოპოზიცია არღვევს ბოლშევიკური პარტიის სიმტკიცეს, და იგი არალეგალური ფრაქციული მუშაობის დროს იყენებს ბურჟუაზიულ, აშკარა ანტისაბჭოთა ელემენტებს.

დაპირებანი, რომელთაც ოპოზიცია აძლევდა პარტიას, ნამდვილად გამოდგა მხოლოდ მანევრი, რითაც მას სურდა დაეფარა და გაეძლიერებინა თავისი დეზორგანიზატორული მუშაობა. აქტივის კრება აღნიშნავს, რომ ოპოზიციის კავშირი კომინტერნიდან გამორიცხულ კომუნიზმის რენეგატებთან—რუტ-ფიშერ მასლოვის ჯგუფთან მოწმობს, რომ მან თავისი მუშაობა გადაიტანა კომინტერნში.

კრება სცნობს, რომ იგი იმ მომენტში, როცა სწარმოებს მძაფრი სოციალისტური მშენებლობა და არსებობს ომის უშუალო საფრთხე პარტია არავის მისცემს საშუალებას შეარყიოს ლენინური პარტიის ფოლადისებური სიმტკიცე და მოითხოვს მე-15 ყრილობისაგან მიიღოს გადამჭრელი ზომები გამთიშავებისა და ფრაქციონერების წინააღმდეგ პარტიის მე-10 ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით, რათა ამით უზრუნველყოფილ იქნას საკავშირო კომპარტიის (ბ) რიგების მთლიანობა და მონოლიტობა.

აქტივის კრება ღრმა აღშფოთებით გმობს ადგილობრივი ახალ-უკლონისტური ოპოზიციის ფრაქციონურ გამთიშავ მუშაობას, რომელიც თავის დეზორგანიზატორული მოქმედებით დაექანა მენშევიზმისაკენ. 15 ადგილობრივი ოპოზიციონერის განცხადებას აქტივი სთვლის აშკარა ცილისწამებად პარტიისა და მის ხელმძღვანელ ორგანოს—ცეკას წინააღმდეგ. აქტივი ადგილობრივი ოპოზიციის დეზორგანიზატორულ მუშაობას სთვლის ყოვლად დაუშვებლად და აცხადებს, რომ ოპოზიციონერთა მოქმედება შეუთავსებელია ლენინური პარტიის რიგებში ყოფნასთან. აქტივის კრება სთხოვს საქართველოს კომპარტიის (ბ) მე-5 პარტყრილობას მიიღოს გადამჭრელი ზომები ოპოზიციონერთა გამთიშავი მუშაობის წინააღმდეგ.

გაუმარჯოს საკავშირო კომპარტიის (ბ) ლენინურ ცეკას!

გაუმარჯოს საკავშირო კომპარტიის შეურყევლობას და მონოლიტობას!

ძირს ფრაქციონერ-ოპოზიციონერები!

თბ. ორგანიზაციის პარტკონფერენციის შედეგები

თბილისის ორგანიზაციის რაიონულ პარტკონფერენციებმა ერთხელ კიდევ ცხადჰყვეს პარტიული მასის პოლიტიკური აქტივობის ზრდა. დაზგის მუშები— კონფერენციის დელეგატები სასტიკათ გმობენ ოპოზიციის და გაცხოველებით კამათობენ რაიკომის პრაქტიკული საქმიანობის შესახებ. ზოგი მათგანი გამოსთქვამდა უკმაყოფილებას იმის შესახებ, რომ ოპოზიცია გვიშლის ხელს პრაქტიკულ მუშაობაში.

მართალია, თბილისის ორგანიზაციამ ისეთი „ბრწყინვალე გამარჯვება" არგუნა ოპოზიციას, რომ არც ერთი მათგანი კონფერენციის დელეგატათ არ გაიყვანა, მაგრამ ოპოზიციონერებმა რომლებიც ჩვეულნი არიან ლაყბობას და დისკუსიას, აქაც ვერ მოითმინეს, დაესწრენ კონფერენციას სტუმრების სახით და გამართეს დისკუსია.

სულ ოთხივე რაიონის კონფერენციებზე გამოვიდა 10 ოპოზიციონერი, მათ შორის აღმოჩნდენ ისეთები, რომლებიც ასწრებდნენ ორ-სამ ალაგას გამოსვლას, ისე რომ ოპოზიციამ გამოუშვა კამათში 14 ორატორი. ამათში იყო სულ 4 მუშა, დანარჩენი ინტელიგენტები.

საინტერესო ის არის, რომ არც ერთი ოპოზიციონერი არ შეეხებია რაიკომის პრაქტიკულ მუშაობას, არც ერთი მათგანს არ შემოუტანია რაიმე წინადადება ამა თუ იმ ნაკლის გამოსასწორებლად. ყველა მათი გამოსვლები შეეხებოდა „მაღალ მატერიებს". მსოფლიო ხასიათის და მასშტაბის საკითხებს, როგორიც არის ჩინეთის რევოლიუცია, ინგლის-რუსეთის კომიტეტი და სხვა.

„კმარა, არა გვსურს თქვენი მოსმენა, ნუ არყევთ პარტიასა"-ო, აი, როგორ პასუხს აძლევდა კონფერენცია თავაშვებულ ოპოზიციონერებს.

ოპოზიციას არა ერთხელ უთქვამს, ჩვენ პარტიაში მცირდება მუშური ნაწილი და პარტია ექანება წვრილ-ბურჟუაზიულ ჭაობისაკენო.

ასეთ განცხადებას ამომწურავი პასუხი გასცა ამხ. რუქტუკამ, ჩვენ საჭიროდ მივაჩნია მოვიყვანოთ ცნობები კონფერენციების დელეგატების სოციალური შემადგენლობის შესახებ.

თუ შარშანდელ კონფერენციებზე მუშათა პროცენტი შეადგენდა 62,5 პროც. იგი ავიდა 66,4 პროც. მაშასადამე მუშათა ნაწილი გაიზარდა და არა შემცირდა.

პარტიული სტაჟის მიხედვით: თუ შარშანდელ შემადგენლობაში პარტიის წევრები 1917 წლამდე იყო 8,4 პროც., ეხლა იგი ავიდა 11,9 პროცენტამდე. ასე რომ ძველი კადრები პარტიული კომიტეტების შემადგენლობაში წინააღმდეგ ოპოზიციის მტკიცებისა, იზრდებიან.

რაიკომების ძველ შემადგენლობაში მუშათა პროც. შეადგენდა 68,1-ს, ახალში—76,2 პროცენტს (მომატება 8,1 პროც.).

აქაც ემჩნევა მნიშვნელოვანი ზრდა მუშათა ნაწილის.

თბილისის კონფერენცია

თბილისის კონფერენციაზე ოპოზიციონერები არჩეული არ ყოფილან, მაგრამ ისინი აქაც გამოცხადდენ სტუმრების სახით. კონფერენციის დელეგატების შემადგენლობაში მუშათა პროცენტი შეადგენდა—63,5 პროცენტს (შარშან იყო 53,4), მაშასადამე, მუშური შემადგენლობა გაიზარდა 10,1 პროც.

პარტიული სტაჟის მიხედვით შარშანდელ კონფერენციაზე იყო პარტიაში 1921 წლამდე შემოსულები კომუნისტები—67,6 პროცენტი ეხლანდელ კონფერენციაზე 68,7 პროც. (გაიზარდა 1 პროც.).

თბილისის კონფერენცია შეხვდა ოპოზიციას, როგორც „სალი კლდე".

საინტერესო ის არის, რომ 34 ორატორში, რომლებიც გამოვიდნენ კამათში საკავშირო კომპარტიის ცეკასა და თბილისის კომიტეტის მოხსენებათა ირგვლივ. 31 ამხანაგმა ილაპარაკა მხოლოდ ოპოზიციის ირგვლივ და 3 ამხანაგი შეეხო თბილისის კომ. პრაქტიკულ მუშაობას. აი, რას იწვევს დაუსრულებელი დისკუსია და წყალის ნაყვა ოპოზიციის მხრით. მუშაობა, პრაქტიკული საქმიანობა სოციალისტური მშენებლობის დარგში გვავიწყდება—მთელ დროს ვანდომებთ დისკუსიას.

თბილისის კონფერენციამ ერთხმად დაჰგმო ოპოზიციის მუშაობა.

თბილისის კომიტეტის შემადგენლობაში მუშათა პროცენტი 58,4-დან ავიდა 66,7 პროცენტამდე.

პარტიული სტაჟის მიხედვით: 1917 წლამდე შემოსული კომუნისტების პროც. 24,7 პროცენტიდან ავიდა 25,3 პროცენტამდე, 1917-1918 წლ. 28,6 პროცენტიდან 30,3 პროც. და ასე შემდეგ.

აქაც არ მართლდება ოპოზიციის მტკიცება თითქოს ძველი კადრები განზე რჩება, თითქოს მუშათა პროცენტი პარტიულ კომიტეტებში მცირდება.

ი. რ—ძე.

—:—

პარტიული მასები ერთსულოვნად გმობენ ოპოზიციას

ჭიათურა

ჭიათურის რაიკომის პლენუმმა, რომელსაც დაესწრო უჯრედთა ბიუროების წევრებიც, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად მოისმინა მოხსენება ქართული უკლონისტური ოპოზიციის შესახებ. კრებამ განიხილა ქართველ ოპოზიციონერების ეგრეთ წოდებული პლატფორმა, რომელიც მათ შეიტანეს საქ. კომ. პარტიის ცეკაში. პლენუმის მიერ ამის გამო მიღებულ რეზოლიუციაში ჩვენ ვკითხულობთ:

„პლენუმი აღნიშნავს, რომ ოპოზიციის უკანასკნელი გამოსვლა, მისი საქმიანობა და განცხადებანი სავსებით ემთხვევა კონტრრევოლიუციონური პარტიის აზრს და მოქმედებას. ოპოზიციის გამთიშავი საქმიანობა კიდევ უფრო ცხადჰყოფს, რომ ლენინიზმის სახელით უსირცხვილოდ მოფიცავი დეზორგანიზატორები სწრაფი ნაბიჯით მიექანებიან სოციალ-დემოკრატიულ ჭაობისაკენ.

პლენუმი აღნიშნავს, რომ ოპოზიციის მთელი მოქმედება მიმართულია მეორე პარტიის შექმნისაკენ. ჭიათურის რაიკომის პლენუმი სავსებით იწონებს ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მიერ მიღებულ ზომებს ქართულ უკლონისტურ, შოვინისტურ ოპოზიციის წინააღმდეგ. პლენუმს სრულიად სამართლიანად მიაჩნია უკლონიზმის ლიდერების პარტიის რიგებიდან გაძევება.

ჭიათურის ორგანიზაცია მთლიანად ჯანსაღია. პარტიული მასის მიერ გარიყული და დაგმობილი ადგილობრივ ოპოზიციონერთა ჯგუფი დაიმსხვრა და დაიშალა. პლენუმი მოითხოვს შემდგომ პარტიულ ორგანიზაციებისაგან გადამჭრელი ზომები იქნას მიღებული ოპოზიციის თავაშვებულ მოქმედების წინააღმდეგ".

—:—

სტოვებენ ოპოზიციას

საქ. კომ. პარ. (ბ) გორის, ქუთაისის, ოზურგეთის, ფოთის, და თელავის კომიტეტებში შემოვიდა 70 ყოფილი ოპოზიციონერის განცხადება, სადაც ისინი აცხადებენ, რომ შორდებიან ოპოზიციას და ხსნიან თავის ხელმოწერას 83-ის განცხადებიდან.

განცხადებები შემოვიდა შემდეგ ამხანაგებისაგან:

ფოთის ორგანიზაცია—ბესარიონ სიჭინავა, ზაქარია კუჭუხიძე (პარტსტაჟი 1919 წ.), ამბაკო მოისშვილი (1919 წ.), გიორგი და ერმალოზ ჭანტურიები (1921 წ.), კაპიტონ ვეკუა (1924 წ.) გიორგი სტურუა (1920 წ.), იოსებ ოქროპირიძე (1919 წ.), ბაგრატ ეჯიბია, ვლადიმერ ჭკუასელი, ივანე კალანდაძე (1918 წ.), სტეფანე კართხია (1925), იასონ თევზაძე (1925), სამსონ ლაპარტყავა (1925), გიორგი ბატარია 1925 წ.).

ქუთაისის ორგანიზაცია—ალ. ხურცილავა (1918), ფარნა გოგინაშვილი, ვლადიმერ თადუაძე (1918), გაბო ბერძენიშვილი.

გორის ორგანიზაცია—გალაქტიონ ნუცუბიძე სერგო სირბილაძე, ვანო გელაშვილი, მინადორა მარგველაშვილი, მარო მამაცაშვილი, ი. ბ. მამაცაშვილი, ალ. გერმანიშვილი, ვანო ბარბაქაძე, ნინო კერესელიძე, გრიგოლი გვინჯილია ლადო ხარატიშვილი, ილია ფერაძე, სიმონ ცხვიტიშვილი, ნიკოლოზ პაქსაშვილი, სერგო ჭონქაძე (1919 წ.), ლადო პაჭუაშვილი (1926 წ.), ალექსი კობილკა, გიორგი ლომსაძე, პეტრე კუჭუხიძე (1926 წ.), ვასო კობესაშვილი, ნ. ქველაძე, ი. შახნაზაროვი (1917), სერგო ლომსაძე (1917); აკაკი დუნდუა (1924), ბორის პოტაპოვი მაქსიმ, კუპრაძე, იპოლიტე დოლიძე, სოკრატ ბარბაქაძე, ალ. მესხიძე; ივ. დეკანოსიძე, ილიკო შიუკაშვილი, ნიკ. შარიქაძე, სიმონ ბარბაქაძე, ი. ლ. დოლიძე; ვასო კურთანიძე.

ოზურგეთის ორგანიზაცია—ივლიან გაგუა (1921), მიხაკო დოლიძე (1918), ფილიპე კალანდაძე (1921), ვლადიმერ ლომთათიძე (1919), მახმუტ მელუა (1921), ილიკო სხვიტარია (1912), ტერეზია ცხოიძე (1919), რაჟდენ ცენტერაძე (1916), მატრონა ცინცაძე (1924) ი. ოსეფაშვილი (1925), ტერენტი მელუა (1917), ისიდორე ცენტერაძე (1918), ნინო ქათარაძე (1918). მაქსიმე მელუა (1919), სტეფანე კართხია (1925).

თელავის ორგანიზაცია—თომა ჭიკოლაშვილი (1918 წ.).

—:—

ოპოზიციის მორიგი „შულერობა"

ამხანაგები: დუნდუა აკაკი, პარტიის წევრი 1924 წლიდან (გორის ორგანიზაცია), და ფოთის ორგანიზაციის წევრები—ჭკუასელი ვლადიმერ, კალანდაძე ივანე—პარტსტაჟი 1918 წლიდან, კართხია სტეფანე—პარტსტაჟი 1925 წლიდან, თევზაძე იასონ—პარტსტაჟი 1925 წ. ლაპარტყავა სამსონ—პარტსტაჟი 1925 წლ., ბატარია გიორგი—პარტსტაჟი 1925 წლიდან, აცხადებენ, რომ მათი ხელმოწერა 83-ის განცხადებაზე ყალბია, და რომ ისინი არასოდეს არ ყოფილან ოპოზიციონერები.

იმ ამხანაგების უმეტესობა, რომლებმაც ხელი მოაწერეს განცხადებას, აღნიშნავენ, რომ შეცდომაში იქნენ შეყვანილი ცალკე ამხანაგებისაგან, რომლებიც „აგროვებდენ ვითომ პარტიისათვის საჭირო ხელმოწერებს".

ზოგიერთი ამხანაგები კი აცხადებენ, რომ ოპოზიციამ თავისი გადასვლით არალეგალურ მუშაობაზე და მეორე პარტიის შექმნის გზაზე, გამოარკვია თავისი ნამდვილი არაბოლშევიკური სახე. ამასთან დაკავშირებით და აგრეთვე იმის გამო, რომ საკავშ. კომპარტიის (ბ) ცეკას და ცენტრ. საკ. კომისიის უკანასკნელ პლენუმის გადაწყვეტილებები სავსებით, ამომწურავია,—ეს ამხანაგები საბოლოოდ სწყვეტენ კავშირს ოპოზიციასთან და სავსებით უერთდებიან როგორც საკ. კ. პ. (ბ) ც. კ. და ც. ს. კ. პლენუმის გადაწყვეტილებებს, ისე იზიარებენ პარტიის მე-15 ყრილობისათვის.

დეკრეტი ამნისტიის შესახებ

საქ. ცაკის პრეზიდიუმის დადგენილება

გუშინ, საღამოს საქართველოს ცაკის პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი ამნისტიის დეკრეტის განხორციელების შესახებ. საკავშირო ცაკის მიერ ამნისტიის შესახებ 1927 წლ. 2 ნოემბრის თარიღით გამოცემულ დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად საქ. ცაკის პრეზიდიუმმა გამოიტანა დადგენილება, რომელიც განსაზღვრავს იმ კომისიების პერსონალურ შემადგენლობას, რომელთაც ევალებათ ამნისტიის პრაქტიკული განხორციელება. თბილისში ამნისტიის გასატარებლად მოწყობილია კომისია შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე — უზენაეს სასამართლოს პროკურორი ფ. დოლიძე, წევრები—ყამარაული, სტანჩი, ზერზერაშვილი, ქერვალიძე. ქუთაისში: თავმჯდომარე — თათეიშვილი, წევრები — ბოცვაძე. ნოე კაკაბაძე, კილაძე და მანჯგალაძე.

მაზრებში და ფოთში კომისიები ეწყობა სამაზრო სახალხო მოსამართლეთა თავმჯდომარეობით და პოლიტ - ბიუროს, სამაზრო აღმასკომების, მ. გ. ინსპექციის რწმუნებულთა და სამაზრო პროფ - ბიუროების წარმომადგენელთა შემადგენლობით.

სამხედრო მოსამსახურეთა განთავისუფლება ევალება წ. დ. არმიის სამხედრო ტრიბუნალს, პროკურატურის წარმომადგენელთან ერთად, რომელსაც ნიშნავს საქ. იუსტიციის სახ- კომისარიატი.

ადმინისტრატიულ ორგანოების დადგენილებით დაპატიმრებულ პირთა განთავისუფლება ევალება საპატიმრო ადგილების ადმინისტრაციას სათანადო პროკურორების მეთვალყურეობის ქვეშ. სასამართლო და ადმინისტრატიული წესით იძულებით სამუშაოზე გაგზავნილთა განთავისუფლება იძულებითი სამუშაოების ბიუროებს ევალებათ საპატიმრო ადგილების მთავარ სამმართველოს საერთო მეთვალყურეობის ქვეშ.

იუსტიციის სახ. კომისარს და რესპუბლიკის პროკურორს წინადადება ეძლევა გაუწიოს ზედამხედველობა ამნისტიის სწორსა და თავის დროზე გატარებას და გამოსცეს დაწვრილებითი ინსტრუქცია მისი ცხოვრებაში გატარების შესახებ.

საუბარი ამხ. ვარძიელთან

ამნისტიის გატარების შესახებ ჩვენს თანამშრომელს საუბარი ჰქონდა იუსტიციის სახ. კომისარ—ამხ. ვარძიელთან, რომელმაც განაცხადა, რომ იუსტიციის სახ. კომისარიატს უკვე დამუშავებული აქვს ინსტრუქციის პროექტი, რომელიც ცაკის დადგენილების თანახმად 10 ნოემბერს დაეგზავნება სათანადო კომისიებს და სამოსამართლო და ადმინისტრატიულ ორგანოებს.

თუ საქმე ძიებისა და მოკვლევის სტადიაში იმყოფება და თუ იგი ამნისტიის მე-15-ტე მუხლის ძალით გასაუქმებელია, მას აუქმებენ ეს კომისიები პროკურატურისა და საგამომძიებლო ორგანოების დასკვნისთანავე. როგორც პირველი, ისე საკასაციო ინსტანციის სამოსამართლო დაწესებულებაში მყოფი საქმეები უქმდება აღნიშნულ დაწესებულებათა დადგენილებით.

თქვენ მეკითხებით, თუ ვინ იგულისხმება ბოროტ - გამფლანგველად, რომლის მიმართ ამნისტია არ ვრცელდება.

ჩემი აზრით ბოროტ - გამფლანგველად უნდა ჩაითვალოს ისეთი პირი, რომელმაც გაფლანგვა ჩაიდინა წინასწარი განზრახვით, ანგარებითი მიზნით, ან გაფლანგვას ახდენდა სისტემატიურად და ამით სახელმწიფოს მატერიალურ ზარალს აყენებდა, აგრეთვე ისეთი პირი, რომლის ბოროტმოქმედებას თან სდევდა ყალბი საბუთების შედგენა, აფერისტობა და სხვ. დანარჩენი პრაქტიკული ღონისძიებები ამნისტიის გასატარებლად გამოქვეყნებული იქნება ხვალ—გაზეთებში.

როგორც საკავშირო, ისე საქართველოს ცაკის დადგენილების საერთო ტენდენცია უმთავრესად არის მშრომელთა ელემენტებისათვის სასჯელის შემსუბუქება.

უნდა ვიფიქროთ, რომ სამოსამართლო - საგამომძიებლო ორგანოები, პროკურატურა და ცაკის მიერ დანიშნული კომისიები ამნისტიის განხორციელების დროს იხელმძღვანელებენ იმ მოსაზრებით, რომ საჭიროა მუშურ - გლეხური სახელმწიფოს და მოსახლეობის მშვიდობიანი შრომის სოციალურად მავნე ელემენტებისაგან დაცვა.

ამნისტია არავითარ შემთხვევაში არ ვრცელდება რეციდივისტებზე.

ვფიქრობ, რომ ამნისტიის გატარება საქართველოს ფარგლებში დამთავრდება არა უგვიანეს პირველი დეკემბრისა.

სახკომსაბჭოში

შინსახკომის შუამდგომლობა

სახკომსაბჭომ დააკმაყოფილა შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის შუამდგომლობა სახელმწიფო დაზღვევის სახანძრო ოპერაციების 1925—26 წ. მოგებიდან სახანძრო საქმის გასაუმჯობესებლად საქართველოსათვის გამოყოფილი თანხის ნარჩენის 18.163 მან. გადაცემის შესახებ შინსახკომისათვის.

ფოთის ჭაობების ამოშრობა

სახკომსაბჭომ წინადადება მისცა წყალთა მეურნეობის სამმართველოს მუშაობა ფოთის ჭაობების ამოსაშრობათ აწარმოოს ძველი ტემპით. სახელმწიფო საგეგმო კომისიას დაევალა წარუდგინოს ეკონომიურ საბჭოს დაწვრილებითი მოხსენება ფოთის ჭაობების ამოშრობის სამუშაოთა გაგრძელების შესახებ

შესათანხმებელი კომისიის დაარსება

სახკომსაბჭომ მოიწონა პროექტი დადგენილებისა კოოპერ. და სახელ. და სამრეწ. დაწესებულებათა შორის გენერალური ხელშეკრულებისა და სხვა შეთანხმების დადებისა და შესრულების დროს წარმოშობილ უთანხმოებათა გადასაჭრელად შესათანხმებელი კომისიების დაარსების შესახებ.

საძოვრებისა და სათევზაო ადგილების გამოყოფა

მიწსახკომის მოხსენების თანახმად სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო დაარსებულ იქნეს კომისია ამხ. ი. რომანიშვილისა (მიწსახკომიდან), ლ. მაჭავარიანისა (ფინსახკომიდან), ა. როსტოვცევისა (ა.-კ. ფინსახკომიდან) და ადგილობრივი სამაზრო აღმასკომის წარმომადგენელთა შემადგენლობით, რომელსაც დაევალება გამოჰყოს საქართველოს ფარგლებში სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის საძოვრები და სათევზაო ადგილები.

შეღავათიანი ტარიფი

სახკომსაბჭომ დაავალა საქმეთა მმართველობის საიურისკონსულტო ნაწილის დასკვნა საქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაი"-ზე სოციალური დაზღვევის შეღავათიანი ტარიფის გავრცელების შესახებ და წინადადება მისცა სოციალური დაზღვევის რესპუბლიკანურ სამმართველოს გაავრცელოს საზოგადოება „საქართველოს ჩაი"-ზე სოციალური დაზღვევის შეღავათიანი დრ. ტარიფი.

საარჩევნო კამპანია

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ძირითად ქსელში საარჩევნო კამპანიის ჩატარებას „სოფლის კავშირი" შეუდგება 15 ნოემბერს. ამჟამად წინასწარ მუშაობის ჩასატარებლად რაიონებში მივლინებული არიან ინსტრუქტორები. კამპანია გაგრძელდება 2 თვე. კამპანიის ჩატარების დროს უმთავრესი ყურადღება მიექცევა ამხანაგობათა მმართველ ორგანოების სათანადოთ შერჩევას, კოოპერატიულად შეკავშირებულ მოსახლეობის სოციალურ შემადგენლობის შესწავლას, აპარატის გამარტივებას და საშუალო ოპერაციების გაფართოებას ამხანაგობებში.

სანიტარულ ექიმების გადამზადება

ჯანმრთელობის კომისარიატმა გადასწყვიტა თბილისში მოაწყოს სანიტარული კურსები სანიტარულ ექიმების კვალიფიკაციის ასაწევად. კურსებზე სამეცადინოთ სანიტარული ექიმები მოწვეული იქნებიან მაზრებიდან. კურსებს გაივლის სანიტარული ექიმები, მეცადინეობა გასტანს 4 თვეს. კურსებზე ლექციებს წაიკითხავენ სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიკური ფაკულტეტის პროფესორები და სპეციალისტი ექიმები. კურსები გაიხსნება დეკემბერში. კომისარიატის ცნობით, ასეთი კურსების მოწყობა პირველად ხდება საქართველოში და მას დიდი მნიშვნელობა ექნება მაზრებში სანიტარულ ექიმების რიცხვის გადიდება და სპეციალისტ სანიტექიმის დანიშვნა მაზრებში სანიტარულ საქმიანობის ხელმძღვანელობის გასაწევად.

ქრონიკა

მისალმება ა. კ. მთავრობას

ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის შესრულების გამო საბჭოთა კავშირის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ამიერ-კავკასიაში ამხ. კარკლინს 8 ნოემბერს ესტუმრნენ სპარსეთის, ოსმალეთის, პოლონეთის, იტალიის და გერმანიის გენერალური კონსულები და სთხოვეს მას გადასცეს ამიერ-კავკასიის მთავრობას მათი მისალმება.

ტელეფონი თბილისი—ზაჰესი— რიონჰესი

დაწყებულია მუშაობა ორმავთულიანი ტელეფონის ხაზის გასაყვანად თბილისსა, ზაჰესსა და რიონჰესს შორის.

ჭიათურის კონცესიის სამუშაოთა გეგმა

მოსკოვიდან დაბრუნდა ს. მ. უ. ს. სამთო განყოფილების უფროსი ინჟ. გ. წულუკიძე, რომელიც მივლინებული იყო მოსკოვში შავიქვის სამუშაოთა გეგმის განხილვაში მონაწილეობის მისაღებათ. ინჟ. გ. წულუკიძემ ჩვენს თანამშრომელს შემდეგი აცნობა მოსკოვის თათბირის შესახებ:

— კონცესიონერის მიერ შედგენილია მარგანეცის მადნების დამუშავების გეგმა, რომლითაც გათვალისწინებულია ყველა იმ სამუშაოთა შესრულება, რაც კონცესიონერმა უნდა მოასწროს საკონცესიო ვადის გასვლამდე. ამ გეგმის ირგვლივ მოლაპარაკება სწარმოებდა ჯერ თბილისში, ხოლო შემდეგ ეს გეგმა განხილულ იქნა უმაღლეს საკავშირო ორგანოებში.

სამუშაოთა გეგმის ყველა მთავარ მუხლებში უკვე მიღწეულია შეთანხმება.

ტყვარჩელის ქვა-ნახშირი

სამთო მრეწველობის ტრესტში შესდგა ტყვარჩელის სამუშაოთა ხელმძღვანელი კომისიის თათბირი, რომელზედაც მოსმენილ იქნა გამოკვლევათა ხელმძღვანელის ინჟ. მოკრინსკის მოხსენება.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ როგორც უკანასკნელმა [illegible] გამოკვლევებმა დაამტკიცეს, ქვა-ნახშირის მარაგი ძლიერ დიდია მე-4 და მეხუთე ფენებზე.

პრაქტიკაზე

განათლების სახ. კომისარიატმა წინადადება მისცა ტეხნიკუმების გამგეებს სასწრაფოდ წარმოადგინონ ცნობები, თუ რამდენი ადგილია საჭირო მათდამი რწმუნებულ ტეხნიკუმის მოწაფეთათვის პრაქტიკისა და სტაჟის მისაღებათ ტეხნიკუმებმა კომისარიატს უნდა წარუდგინონ პრაქტიკისა და სტაჟის მიმღებ მე-3 და მე-4 კურსის მოწაფეთა რიცხვი მათი სპეციალობის მიხედვით. ცნობების მიღების შემდეგ განათლების კომისარიატი მე-3 კურსის მოწაფეებს დაანაწილებს შესაფერ წარმოება - დაწესებულებებში პრაქტიკის მისაღებათ, ხოლო მე-4 კურსის მოწაფეებს — სტაჟის გასავლელათ.

თბილისის აღმასკომში

◆ **უმუშევრობის** წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად თბ. აღმასკომმა გადასდო—60.000 მანეთი.

◆ **წყალსაზომი.** წყალსადენის ქსელის გაფართოებასთან დაკავშირებით ახალი წყალსაზომების შესაძენად გადადებულია 88.457 მ.

◆ **ახალი სახლები.** თბ. აღმასკომის საკომუნალო სექცია შეუდგა მანგლისში ახალი საგარაკო შენობების აგებას. წელს აგებული იქნება 10 სახლი.

◆ **შუშის ქარხანა.** ნავთლუღში დამთავრდა შუშის ქარხნის აგება.

განათლების კომისარიატში

◆ **საბავშვო ბაღები.** ამჟამად მთელ საქართველოში (ავტ. რესპუბ. გამოკლებით) არსებობს 65 საბავშვო ბაღი — 4.000 ბავშვით და 5 კერა 520 ბავშვით.

◆ **რადიო.** პოლიტგანათლების განყოფილებამ მაზრებისათვის შეიძინა 10 რადიო - მიმღები აპარატი.

◆ **ბრძოლა წ.-კ. უცოდინარობასთან.** საქართველოს გასაბჭოებიდან დღემდე წ.-კ. უცოდინარობის სკოლები დაამთავრა 146.168 კაცმა, მათ შორის 17.000 ქალია.

◆ **სააქციო საზ-ბა „საქართველოს ღვინო"** სოხუმში ხსნის თავის განყოფილებას.

◆ **ფართალი.** მიმდინარე საანგარიშო წელში საქართველოში შემოზიდული იქნება 246 ვაგონი ბამბის ქსოვილები.

◆ **ზემო - ავჭალის დეფექტიურ ბავშვთა** ახალშენი გადაეცა შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატს.

სახელმწიფო უნივერსიტეტში

— პარასკევს, ნოემბ. 11-ს სად. 6 ს. სახ. უნ-ტის გეოლოგიური კაბინეტის აუდიტორიაში შესდგება საქ. გეოლოგიური ინსტიტუტის საჯარო სხდომა. მოხსენებანი: პრ. ა. ჯანელიძე—სოლოლაკის ქვა და ა. წ. თელეთის ქედის ვულკანები, 2) ნ. ბეჟაშვილი — კავკასიონის მთავარი ქედის გრანიტები (რეფერატი) და სხვ.

◆ **სამეცნიერო მივლინება საზღვარგარეთ.** საზღვარგარეთ გაემგზავრა სახ. უნივერ-ის დიაგნოსტიური კლინიკის დირექტორი, პროფესორი ა. დ. წინამძღვრიშვილი, რომელიც სამეცნიერო მიზნით უნივერსიტეტის მიერ მივლინებულია ევროპაში ერთი წლით.

შემთხვევები

ცეცხლი აღმასკომის შენობაში

გუშინ, 6 ნოემბერს საღამოს, თბილისის აღმასკომის შენობის მესამე სართულზე, ილიუმინაციისათვის გამართულ ელექტრო გამტარიდან უცაბედათ გაუჩნდა ცეცხლი ფანჯრის ჩარჩოს. ცეცხლი შემჩნეულ იქნა თავისუფლების მოედნიდან. გამოძახებულ იქნა ელექტრომონტიორი, რომელმაც სწრაფად ჩააქრო ცეცხლი. ზარალი არ ყოფილა.

პატიმრების გაქცევა

1-ლი სამილიციო რაიონის საპატიმროდან 7 ნოემბერს გაიქცნენ პატიმრები მიქელ დადაშ-ოღლი და სულთან ალი-ოღლი.

ტყავტრესტის მაღაზიის გაქურდვა

7 ნოემბერს გაქურდეს ტყავტრესტის მაღაზია (პუშკინის ქუჩაზე). ბოროტმოქმედებს მორგებული გასაღების საშუალებით გაუღიათ მაღაზიის გვერდით მდებარე ფოსტა - ტელეგრაფის კანტორის არქივი, შემდეგ ამოუნგრიათ იატაკი და ჩასულან მაღაზიაში. წინასწარი ვარაუდით წაღებულია 800 მან. საქონელი.

ავტომობილის დაჯახება

7 ნოემბერს საბჭოს ქუჩაზე, ჯაფარიძის ბაღის პირდაპირ, ვასილ მეჩიტოვს დაეჯახა „სამშენის" ავტომობილი და მძიმედ დაზიანა. შოფერი ნიკოლოზ კაზაროვი შეიპყრეს. დაშავებული გადაიყვანეს საავადმყოფოში.

ქურთების ჩხუბი

8 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე მე-11 სამილიციო რაიონში ბამბის ქუჩაზე მცხოვრებ ქურთ შოლო ატოევს თავს დაესხა 26 კაცი, ჯოხებით შეიარაღებული. ჩხუბის დროს თავი მოიყარა 200-მდე ქურთმა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ჩხუბში. სიკვდილით დაიჭრა 8 ქურთი. მილიციამ დიდი გაჭირვებით გააშველა მოჩხუბარნი. დამნაშავენი შეიპყრეს.

◆ **შეპყრობა.** 8 ნოემბ. ქურდობისათვის დააპატიმრეს მიქაელ დადაშ-ოღლი და უსუფ ალი-ოღლი.

◆ **მორგებული გასაღების** საშუალებით 7 ნოემბ. ბარონოვის ქ. 6 ნადეჟდა ბერძენიშვილის ბინიდან მოიპარეს 400 მანეთის ნივთები.

◆ **მუშკოოპის 1-ლ მაღაზიაში** 7 ნოემბ. ალექსანდრე იშხანოვს ამოაცალეს 250 მან. ჯიბის ქურდი ისრაილ სტურილინი შეიპყრეს.

◆ **მეპაპიროსე** გურგენ ბალდასაროვს მოპარეს ერთი ტომარა პაპიროსებით სავსე.

◆ **შაუმიანის მოედანზე** მდებარე ბაღში ლიდერიკო ახვლედიანს ამოაცალეს საფულე და ჯიბის ოქროს საათი.

◆ **ცეცხლი.** 7 ნოემბ. ღვინის აღმართი 59 ივანე თუთულაშვილს სასადილოს გაუჩნდა ცეცხლი რომელიც ჩააქრო ცეცხლსაქრობმა რაზმმა.

◆ **სახელგამის მე-2 მაღაზიიდან** 8 ნოემბ. მოიპარეს 188 მ. ფულად და 250 მ საქონელი.

◆ **სავაჭროს გაქურდვა.** კამოს ქ. 61 მეტონიკოკოსოვის სავაჭროდან მოიპარეს 200 მ. საქონელი. ქურდი ვასო ამზიევი შეიპყრეს.

◆ **ტრამვაის რონოდაში** 8 ნოემბ. რეჟდენ შავარდნაძეს მოპარეს პორტფელი.

◆ **კინო „აპოლო"-ში** არტემ ეზიტოვს ამოაცალეს 100 მანეთი.

ხელოვნება

აკადემიური დრამის სეზონის გახსნა

„კარმენსიტა“

რეჟისორი ა. ახმეტელი
მხატვარი—იაკულოვი

საბჭოთა თეატრი აღმზრდელობითი ხასიათისა უნდა იყოს და მასების ორგანიზაციის საქმეს ემსახურებოდეს. ამის გარეშე განვითარებული თეატრის სოციალური ბუნება იქნება კამერული, შემოქმედება-კი სანახაობაზე და სენსაციაზე დამყარებული. ეს არის სტილი გადასული ეპოქის და, რომ უნდა გალამაზდეს ეს სტილი,—თანამედროვეობისათვის მაინც მიუღებელი იქნება.

ახალი ეპოქის გაგებით,—საერთოდ ხელოვნება, კერძოთ თეატრი, არის ხელოვნება მშრომელ მასებისათვის.

მათ თეატრიდან უნდა მიიღონ თანამედროვე იდეები გადაცემისა და შემოქმედებისათვის, სცენიდან უნდა ნახონ და იგრძნონ რევოლიუციონური ბრძოლების ბუნება შემოქმედების ტემპი. ჩვენი თეატრი უნდა იყოს აგიტკა ახალი ეპოქის, მაგრამ აგიტკა უტენდენციოთ. ამავე დროს, მაყურებელმა საბჭოთა თეატრის სცენაზე უნდა ნახოს ცოცხალი ადამიანი და არა რომელიმე რეჟისორის სურვილით შექმნილი მანეკენები. ჩვენი თეატრის პირველი მოვალეობაა გაანთავისუფლოს აქტიური პიროვნება (რეჟისორი) ჰეგემონიიდან, რითაც აქტიორის საშუალება მიეცემა იცოცხლოს სცენაზე თავისი საკუთარი სიცოცხლით. ნიჭის გამოჩენაც მხოლოდ ამ მიმართულებით შეიძლება.

ეს მცირე წინასიტყვაობა საჭიროდ მიმაჩნია, რომ „კარმენსიტა“-დან მიღებული შთაბეჭდილება გასაგები გახდეს.

„კარმენსიტა“-ს სიუჟეტი ყველასათვის ცნობილია: იგივეა რაც „კარმენი“ ოპერაში „ქალი ზროდვეიდან“ კინოში და „კარმენსიტა“ მუსიკალურ სტუდიაში. პიესა უმთავრესად იმით არის საინტერესო, რომ აქ სცენიური პრაქტიკით სწყდება მსოფლიო ხასიათის პრობლემა. სიყვარულის და თავისუფლების. ერთი მხრით, ატავისტური სიყვარულით შეპყრობილი მამაკაცი მზათ არის ჩაიდინოს ყოველგვარი ბოროტება, რომ გახდეს მესაკუთრე ქალის სიყვარულისა, მეორე მხრივ, სიგიჟემდე შეყვარებული ქალი ცდილობს, სიყვარულთან ერთად, შეირჩინოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა. პრობლემა, როგორც ვხედავთ, ინტერესს მოკლებული არ არის, მაგრამ ჩვენი ეპოქა უფრო ცოცხალ და მნიშვნელოვან პრობლემების წინ სდგას (ვიდრე სქესობრივი სიყვარულია) და ჩვენი თეატრიც ამ ახალი პრობლემებით უფრო უნდა იყოს დაინტერესებული. პიესის შინაარსი ესპანეთის კონტრაბანდისტების ცხოვრებიდანაა აღებული და ჩვენი თეატრის მაყურებლისათვის ნაკლებათ გასაგებია. ამ გაუგებრობას ხელს უწყობს პიესის უცნაური ტრაქტოვკა.

რეჟისორს გამოუყენებია კოცნისა და აფექტის უმაღლესი საფეხურები იმისათვის, რომ მაყურებელს აგრძნობინოს ხოზესა (დავითაშვილი) და კარმენსიტას (ნინო მესხიშვილი) ნაპირავ გადალახული სიყვარულის არაჩვეულებრიობა. (უნდა გავიხსოვდეს, რომ ისტერიული კოცნა უმთავრესად იპოტენციას ახასიათებს).

აგრეთვე, მაყურებელი რომ დაშინდეს და მან იგრძნოს არაბუნებრივი ადამიანები კონტრაბანდისტებში, რეჟისორი მათ ალაპარაკებს და ამოძრავებს ისე, როგორც ბავშვებს აშინებენ, უმთავრესად სოფლად. აქტიორების მოძრაობის რიტმი—დამყარებული ბიომეხანიკაზე, უმიზნოთ მოსჩანს. თეატრალური ლოზუნგი, რომ სცენაზე გამოუყენებელი არაფერი უნდა იყოს, ასი პროცენტით გატარებულია, რაც პიესის განცდას ასუსტებს. გარეგნულ ეფექტებზე დახარჯული ენერგია რომ უმთავრესად აქტიორების სიტყვის დამუშავებაზე იყოს მოხმარებული და სცენიდან პარტერამდე, მიუხედავად ყვირილისა, სიტყვები არ იკარგებოდეს,—აჯობებდა. საერთოდ ნორმალური ადამიანი ნაკლებათაა გამოყენებული.

„კარმენსიტა“-ს დადგმაში მოსჩანს რეჟისორ ახმეტელის ძლიერი ფანტაზია და მტკიცე ნებისყოფა. საჭიროა ამ კარგი თვისებების მიმართულების შეცვლა კოლექტიურ შემოქმედებისა და თანამშრომლობისაკენ.

სპექტაკლისადმი ინტერესს აცხოველებდა ნინო მესხიშვილის დებიუტი. (კარმენსიტას როლში). რუსეთის თეატრების ნიჭიერი მსახიობი მშობლიურ სცენაზე გადმოვიდა და უნდა ითქვას პირდაპირ, რომ მისი გასოცარი აქტიორული ტემპერამენტი შესძლებს მომავალ მუშაობაში ქართული ენის თამამად გაშლას, რითაც სუსტ ხმას შემატებს სიძლიერეს. დამსწრე აუდიტორიამ მსახიობის ძალა ინსტინქტიურად იგრძნო და განსაკუთრებული სიყვარულით გაუმართა მას ოვაცია. გ. დავითაშვილმა (ხოზე) შექმნა ის სითბო, რომელიც მის თამაშს მუდამ ახასიათებს, მაგრამ ამ სითბოში აქტიორული გარდაქმნა ნაკლებად სჩანდა ეპიზოდურ როლებში რელიეფურად იმაჯნებოდენ ანსამბლიდან ა. ვასაძე (მერიმი) უშ. ჩხეიძე (ლუკასი) და აკაკი ხორავა.

ყოველ მხრივ მნიშვნელოვანი იყო იაკულოვის დეკორაციები. მიზნობრივი დეკორატულ გაფორმება კარმენსიტასი დამთავრებულ შთაბეჭდილებას ქმნიდა. არ ვარგოდა მხოლოდ კარმენსიტას კოსტიუმი.

ვ. გ.

სახელმწიფო ოპერა

„დემონი“

„დემონის“ უკანასკნელ დადგმაზე ლაპარაკის დროს არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მთელ დადგმას ეტყობოდა სიჩქარე. მთავარმა რეჟისორმა, რომლის მოვალეობაა დაიცვას ოპერის მხატვრული მხარეები, როგორც ჩანს, მთელი თავისი ცოდნა და ყურადღება მოანდომა „ახალ ფორმების“ შექმნას და არ მიუქცევია ყურადღება იმ გარემოებისათვის, თუ რამდენათ მისაღებია ეს „ახალი ფორმები“, რომლებიც ნასესხებია ლენინგრადის მუსიკალურ დრამისაგან, თბილისის აკადემიურ ოპერისათვის. სხვანაირად არ შეიძლება აიხსნას ნაკლი, რომელსაც ადგილი ქონდა „დემონის“ დადგმის დროს. მაგალითისათვის ავიღოთ გუნდი ოპერის პროლოგში. ეს გუნდის საუკეთესო ადგილია მთელს ოპერაში, მაგრამ აღნიშნულ წარმოდგენაზე ჩვენი ოპერის გუნდი მეტად მოისუსტებდა. მომღერლები, რომლებიც პარტიტურის თანახმად წარმოადგენენ „ციურ არსებათ“, სჩანდენ სცენაზე და მაყურებელი იმასაც კი ნათლად ხედავდა, თუ როგორ გარბოდენ ისინი კულისებში სიმღერის შემდეგ. არ არის დაცული ქალების ტანისამოსის სტილი. ეს ტანისამოსი ხან ქართულია, ხან-კი სპარსული. ცუდათ ეჭირა თავი სცენაზე ახალ მომღერლებს. ქორწილის სურათს აკლდა სიცხოველე და რეალიზმი.

თამარას პარტიას ასრულებდა კრასნიცკაია. მომღერალი ქალი ძლიერი ხმის პატრონია. პარტიას ასრულებდა ძლიერი ტემპერამენტით, მაგრამ, როგორც ჩანს, მთავარ ყურადღებას აქცევდა სწორედ თავისი ხმის სიძლიერეს, ამიტომ მღეროდა თითქმის ერთნაირად და არ იძლეოდა თამარას ძლიერი სულიერი განცდების სწორ სურათს. ინაშვილი მეტად მხატვრულად ასრულებდა დემონის როლს. კარგი იყო მისი „Проклятый мир“, კარგი იყო ის აგრეთვე სცენაზე მძინარე სინოდალთან: რომანსებიდან მეტად მხატვრულად შეასრულა მან პირველი რომანსი: „Не плачь дитя“ და მთელი სცენა მონასტერში. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ინაშვილმა სწორად განასახიერა ლერმონტოვის „დემონი“.

ანგელოზის პარტიას ასრულებდა ახალი მომღერალი ქალი ხუმაროვა. საჭიროა მან ყურადღება მიაქციოს ინტონაციების სისწორეს. ხმა ლამაზი აქვს (მეცო - სოპრანო), მაგრამ საჭიროა ამ ხმის უკეთესად დამუშავება.

მუსიკალურად და სათანადო რეალიზმით შეასრულა ახალგაზრდა მომღერალმა კრუზომ სინოდალის პარტია. მომღერალს ეტყობა მშვენიერი სკოლა. გუდალის დამახასიათებელ სახეს იძლევა შარაშიძე. კარგია მისი ხმა, დიქცია და ფრაზირობა. ნეიმანიც კარგი იყო თამარას მამის როლში.

ვ. გ.

ურიის ქალი

ამ წარმოდგენის უმთავრეს ინტერესს წარმოადგენს ახალგაზრდა მომღერალ ქალის გილბერტის დებიუტი. გილბერტის ქალი პირველად გამოვიდა გალევის ოპერის ძნელ და საპასუხისმგებლო პარტიაში—რახილის როლში. წინედ გამოდიოდა მხოლოდ მეორე პარტიებში და მისი გამოსვლები ატარებდა ეპიზოდურ ხასიათს. მხოლოდ ეხლა რახილის პარტიაში მან გვიჩვენა თავისი ვოკალური და სცენიური ნიჭი. გილბერტის ხმა—ლირიკო-დრამატიული სოპრანო, მეტად ლამაზად ჟღერს. მომღერალის ხმაში უეჭველად არის მუსიკალობა, იგი გრძნობს ვოკალურ ხელოვნებას და კარგად ხმარობს ხმას რახილის პარტიაში არის ლამაზი მომენტები, მაგრამ იგი ზოგიერთ ადგილას მაინც მოითხოვს სცენიური მხარისა და აგრეთვე სიმღერის ტეხნიკისა და დინამიკის დეტალურ დამუშავებას. ასე, მაგალითად, მეორე აქტის რომანსები (1 და მე-2) აშენებულია ნიუანსიროვკაზე. პირველი რომანსი შესრულებულ უნდა იქნას მინორული ტონით, და აქ არ შეიძლება ძლიერი ხმით მღერა. მაგრამ შემდეგ ლეოპოლდთან დუეტში აუცილებელია კონტრასტი, უნდა გაძლიერებულ იქნას ხმა და ტემპერამენტი. მეორე რომანში (სცენა ელეაზართან) სასურველია მეტი განწყობილება და ნიუანსები. ხმა უნდა იქნას გაძლიერებული რომანსის განვითარებასთან ერთად და მან პათოსამდე უნდა მიაღწიოს ფინალში. მონოლოგი სასახლეში ლეოპოლდთან მოითხოვს მეტ ტემპერამენტს და მხოლოდ ფინალში (კვარტეტი) სიმღერა უნდა გამოხატავდეს რახილის მძიმე განცდას ლეოპოლდის დაღუპვის გამო, რის მიზეზიც იყო იგი (რახილი). ახალგაზრდა მსახიობმა ქალმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს პლასტიკას, რომ თავისუფლად იგრძნოს თავი სცენაზე. ძლიერ კარგია სცენა კარდინალთან ციხეში. საუცხოვო სცენიური გარეგნობა ხელს უწყობს კარგი შთაბეჭდილების შექმნას. პრინცესა ევდოკსის ძნელ პარტიაში გამოვიდა ახალგაზრდა მომღერალი ქალი ბლანკ... მას აქვს მუსიკალური ხმა (ლირიული სოპრანო) საკმაოდ განვითარებული ტეხნიკით. სიმღერა შესრულებულ იქნა დეტალური სისწორით, რაიც დადებით მხარეთ უნდა ჩაითვალოს. სცენიური მხრივ მომღერალს ეტყობა გამოუცდელობა, რასაც მან მომავალში ნაროზული ყურადღება უნდა მიაქციოს (პლასტიკა, მიმიკა, გრიმი).

კარდინალ დე-ბრონის პარტიაში პირველად გამოვიდა მესხიევი. მან მეტად მოფიქრებულად შეასრულა პარტია. პირველი მონოლოგი („მიმართვა ელეაზარისადმი“) კარგად განსახიერა მსახიობმა დე-ბრონის განრისხება ებრაელ ელეაზარის ფანატიკური შეურიგებლობის გამო მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს შეჩვენება. სცენა (მესამე აქტია). ამ სცენაში მსახიობი აუდიტორიის მთელ ყურადღებას იპყრობს. სიმღერაში მესხიევმა გამოაშკარავა თავისი ფართო დიაპოზონი, განსაკუთრებით დაბალ რეგისტრში. უფრო ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს სცენა ციხეში ელეაზართან. მსახიობი აქ იძლევა ფარდინელის განცდათა ნათელ სურათს. დანარჩენი პარტიებში ძველი შემადგენლობა გამოვიდა.

ვ. ვ.

ხელოვნების ქრონიკა

— **ლეო სიროტას კონცერტი.** 13 ნოემბერს რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში გაიმართება ცნობილ პიანისტ ლეო სიროტას პირველი კონცერტი.

— **სომხური დრამა.** დღეს რუსთაველის თეატრში გაიხსნება სომხური დრამის სეზონი.

— ოპერის თეატრში დღეს წარმოდგენილი იქნება „ტოსკა“.

— ახალგაზრდა პიანისტ ლეო შიუკაშვილის კონცერტი გაიმართება 14 ოქტომბრის კონსერვატორიის დარბაზში.

◆ **ქართველ მხატვართა საზოგადოებაში.** შაბათს, 13 ნოემბერს, საღამოს 9 საათზე, ხელოვანთა სასახლეში ევროპიდან დაბრუნებული მხატვარი დავით კაკაბაძე წაიკითხავს მოხსენებას: „ევროპის თანამედროვე ხელოვნებასთან დაკავშირებული საკითხები“.

დღეს კინოებში

- ◆ აპოლოში—„ატლანტიდა“.
- ◆ არფასტოში—„გამცემი“.
- ◆ სოლეიში—„გამცემი“.
- ◆ დარბაზში—„მისი სიცოცხლის საშინელება“.
- ◆ პალასში—„ადათის გავლენით“.
- ◆ მინიონში „ეკატერინა ლვაიძილოვნა“.

სასამართლო

„შესცდა“

ლევან დიდიზურაბოვი ცოტა „შესცდა“ ღვთისა და კაცის წინაშე, უფრო სწორად რომ ვსთქვათ, ამერიკელ გირტცელის წინაშე.

დიდიზურაბოვი გახლდათ მეტად სანდო ფოსტალიონი და მსახურობდა თბილისის ფოსტა-ტელეგრაფის უწყებაში ფასიან პაკეტების დამტარებელის თანამდებობაზე. უნდა იცოდეთ, რომ პაკეტი ყოველთვის უტარებია მას უნაკლოთ, მაგრამ თუ მოქ. გირტცელის პაკეტს პატივი ვერ სცა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მასში იყო ათი დოლარი (უცხოეთის ვალუტა), მას უყვარდა თავისი პროფესია, მისთვის პირველი არ იყო პაკეტით ხელში სიარული ადრესატებთან, მაგრამ ერთი გარემოება არას მხედველობაში მისაღები. ფოსტალიონი დიდიზურაბოვი ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა თვითეულ პაკეტს, მაგრამ ეს ყურადღება გამოიხატებოდა მხოლოდ იმაში, რომ პაკეტის შიგნით არსებული „რამ“ ყოველთვის საინტერესო იყო მისთვის. ეს არ გახლდათ უბრალო ცნობის მოყვარეობა. ეს იყო, „ვალიუტის მოყვარეობა“ და სწორედ ამ „ვალიუტის მოყვარეობის“ გამო ის „შესცდა“: გახსნა მოქ. გირტცელის პაკეტი, იპოვა ათი დოლარი, რომელიც შიგ იყო ჩადებული, და გადარიცხა ეს თანხა „სალიკვიდაციო ფონდში“.

ამის გამო აღმასრულებლის საქართველოს ოლქის სასამართლომ ერთი წლით თავისუფლება აღუკვეთა ლევან დიდიზურაბოვს. ამნისტია რომ არ ყოფილიყო, დიდიზურაბოვი ეხლაც „აბანოში“ იქნებოდა, მაგრამ მასზე გავრცელდა ამნისტია და ათი დოლარის „გაიმასპინძლებისათვის“ წინასწარი პატიმრობის მეტი არ შეხვდა სასჯელად.

ჟაჩალები

გუშინ უზენაესმა სასამართლომ გაარჩია ყაჩაღების: დავით რუხაძის და ვლადიმერ ვახიბერიძის საკასაციო საჩივარი.

აღნიშნულ ბოროტმოქმედთ სისტემატიური თავდასხმებისა და ძარცვა-გლეჯისათვის მისჯილი ჰქონდათ უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა.

უზენაესმა სასამართლომ უკუაგდო საკასაციო საჩივრის თვითეული დებულება, როგორც დაუმტკიცებელი და ყოველგვარ იურიდიულ საფუძველს მოკლებული. სასამართლო დაემყარა ცაკის მიერ გამოცემულ უკანასკნელ ამნისტიას და ბრალდებულთ დახვრეტა შეუცვალა ათი წლით თავისუფლების აღკვეთით, სასტიკი იზოლიაციით.

არ დააფასა პატივისცემა

ლევან ცხოვრებაშვილს ხულიგნობისათვის სასამართლომ ამას წინად მიუსაჯა სამი თვის ციხე. სასამართლოს სჯეროდა, რომ პირობითი სასჯელი იმოქმედებდა მასზე და აღარ გავზავნა ციხეში. თურმე, ნუ იტყვით, ცხოვრებაშვილს სწყენს სუფთა ჰაერზე თავისუფლად ყოფნა.

1 ნოემბერს ცხოვრებაშვილმა სილა გააწნა მილიციელს, რომელიც მას წესრიგისაკენ მოუწოდებდა. რაკი ასე შეასრულა ცხოვრებაშვილმა პირობა, სასამართლომ სამი თვით „ნისიად“ მისჯილი სასჯელი გაანაღდა და კიდევ მიუმატა მას ათი თვის ციხე, ასე რომ ცხოვრებაშვილი 13 თვით მიელინა გამსახლში.

ქალი მუშტით

სირანუშ ბაბაევი 22 წლის ქალია. როგორც ამბობს, უდროოდ დაქვრივებულა. 30 ოქტომბერს მან მთელი ქუჩა ფეხზე დააყენა. ისეთი აურ-ზაური ასტეხა კომუნარების ბაღში. ერთი მაგარი სილა აჭამა მოქ. მარკოზაშვილს და ადმინისტრაციის წარმომადგენელსაც შავი დღე დააყენა.

სასამართლომ ექვსი თვით თავისუფლება წაართვა მას, რადგან მან ბოროტად გამოიყენა მოქალაქის თავისუფლება.

ათი თვით

ვლადიმერ ვასილიევს არ ეუცხოება არც საბრალმდებლო სკამი, არც გამსახლა, არც უშვერი სიტყვები, ცემა-ტყება ქუჩაში, მაგრამ არ ეპატიება, როცა განაჩენის წაკითხვის შემდეგ, სასამართლოს თავმჯდომარემ განუცხადა, რომ ათი თვით უნდა დატოვოს თბილისის ქუჩები და დასახლდეს გამსახლში.

კატასტროფა გუდაურის უღელტეხილზე

შაბათს, 5 ნოემბერს, ნაშუადღევს 4½ საათზე, „ზაკავტოპრომტორგ“-ის სამგზავრო ავტომობილს შემთხვა მარცხი თბილისიდან 124 კილომეტრის მანძილზე, სადგურ ყაზბეგსა და ფასანაურს შუა.

კატასტროფის დროს დაშავდა ოთხი მგზავრი. მძიმედ დაშავდა **სერგეევი** და **ისაევი**. დანარჩენი ორი მგზავრი მსუბუქად დაშავდა.

დაშავებულებს აღმოუჩინეს სასწრაფო საექიმო დახმარება; ისინი მეორე დღეს ჩამოიყვანეს თბილისში და მოათავსეს საავადმყოფოში.

დაშავებულთა სიცოცხლეს საფრთხე არ მოელის.

მომხდარი უბედურების შესახებ აცნობეს თბილისში.

კატასტროფის ადგილზე გაემგზავრენ მილიციის, სასამართლო ხელისუფლების, „ზაკავტოპრომტორგ“-ის და საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოების წარმომადგენლები.

როგორც გამოირკვა, კატასტროფა მომხდარა შემდეგ პირობებში:

სად. ყაზბეგსა და ფასანაურის მოსახვევ გზაზე შოფერმა **ჯარაშნელოვმა** შეამჩნია მეორე ავტომობილი, რომელიც თბილისიდან მოდიოდა.

შოფერს მანქანა მიჰყავდა 40 კილომეტრის სისწრაფით საათში. თბილისიდან მომავალ ავტომობილის მოახლოვებისას, შოფერმა ჯარაშნელოვმა თავისი ავტომობილი შეაბრუნა მეორე მხარეს. მანქანის უკანა ბორბლები დაეჯახა ქვის კუნძებს. დაჯახება იმდენით ძლიერი იყო, რომ ავტომობილი ჩავარდა პატარა თხრილში. შოფერმა გზაზე ამოსვლის მიზნით მანქანა წაიყვანა თხრილის გასწვრივ და შემდეგ მოაბრუნა გზისაკენ. ამის გამო ავტომობილის ბორბლები დასრიალდა ბალახზე. შოფერი დაიბნა და მანქანა მოაბრუნა არა იმ მიმართულებით, საითკენაც ბორბლები გასრიალდენ, არამედ საწინააღმდეგო მიმართულებით. ამ გარემოებას შედეგათ მოჰყვა ის, რომ მანქანა განზე გადაუხვა, გადაბრუნდა და ჩავარდა ხრამში.

კატასტროფის დაწვრილებითი მიზეზების გამორკვევა დაევალა სპეციალისტთა კომისიას.

ფეხბურთი

„დინამო-მეორე“—„არსრაიონი“

კვირას, 26 ნოემბერს, დინამოს სტადიონზე გაიმართა „დინამო-მეორეს“ და „არსრაიონის“ შეჯიბრი. მატჩს სჯიდა ქ. ფაჩულია.

შეჯიბრი მეტად საინტერესო გამოდგა. შედეგის მხრივ იგი ერთგვარად მოულოდნელიც იყო. „დინამო მეორე“ უკანასკნელი წლის განმავლობაში საგრძნობი წარმატება დაეტყო. შამანდელ შეჯიბრში „არსრაიონის“ პირველმა გუნდმა სასტიკი დამარცხება იგემა „დინამო-მეორეს“ ახალგაზრდა მოთამაშეებისაგან. მოსალოდნელი იყო, რომ კვირის შეჯიბრიც დინამოელების გამარჯვებით დამთავრდებოდა, მით უმეტეს, რომ „არსრაიონის“ მხრიდან არ თამაშობდნენ ვორონოვი და აივაზოვი. მაგრამ თამაშმა არ გაამართლა მოლოდინი. „[illegible]“ ამ შეჯიბრით დამტკიცა, რომ იგი ისევ ძლიერ მეტოქეთ რჩება იმ გუნდებში, რომლებიც პირველი ადგილისათვის იბრძვიან.

პირველ ტაიმში უტევდენ უმთავრესად არსრაიონელები. [illegible] ამ უკანასკნელთა ახალი მაიცხენა გარი-მარბის ხ. დემიდოვის მოხდენილი თამაში (დემიდოვი „არსრაიონში“ წინეთ ბეკათ თამაშობდა); საინტერესო მომენტები „დინამო“-ს კარებთან თითქმის ყოველთვის [illegible] ფრთიდან იქმნებოდა. დინამოელებიც ძლიერ შეტევას აწყობდნენ, მაგრამ მათ იერიშებს [illegible] ლური შედეგი არ მოჰყოლია. „არსრაიონმა“ შესძლო ორი ბურთის გატანა და ტაიმი თავის სასარგებლოდ დაამთავრა 2:0.

თამაშის პირველ განყოფილებაში აღებული ტემპი არ შენელებულა მეორე ტაიმშიც. უპირატესობა აქაც არსრაიონელების მხარეზე იყო, რომლებმაც ტაიმის ბოლომდე შესძლეს სამი გოლის გატანა, რომელთაგან დინამომ მხოლოდ ერთის გატანით მოახერხა.

ამრიგად, შეჯიბრი დამთავრდა 5:1 „არსრაიონის“ სასარგებლოდ.

ჩვენი ფოსტა

ხარაგოული. „ვიშ ამ სურათს“-ის ავტორს. არ გამოგვადგა.

ოფიც. განყოფილება

სავალდებულო დადგენილება

№ 01610

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა

გასართობ ადგილებში შესასვლელი ბილეთების, ნიშნების, სურათების და სხვა ხელზე გაყიდვის აკრძალვის შესახებ.

1927 წ. ოქტომბრის 31 დღისა

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. აკრძალულია თეატრის, კონცერტების, კინოს, დოღის და სხვა გასართობ ადგილებში შესასვლელი ბილეთების და აგრეთვე ნიშნების, რევოლიუციის ხელმძღვანელთა სურათების, ლიტერატურის, მოუგებიან ქაღალდების და სხვა ხელზე გაყიდვა სათანადო ნებადაურთველად.

2. ნებართვა შეიძლება გასცენ:

ა) ადგილობრივ სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტის ადმინისტრატიულ განყოფილებებმა, მხოლოდ სადაც ამგვარი არ არის—მაზრის მილიციის სამმართველოებმა, როგორც მაზრის ორგანიზაციებს და დაწესებულებებს, ისე სხვა ქალაქების ორგანიზაციებს და დაწესებულებებს თუ კი უკანასკნელნი მოისურვებენ ბილეთების და სხვათა გაყიდვას ამ მაზრის და ქალაქების ფარგლებში;

ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ადმინისტრატიულ სამმართველომ—მოკავშირე რესპუბლიკის ორგანიზაციებს და დაწესებულებებს, თუ კი უკანასკნელნი მოისურვებენ ბილეთების და სხვათა გაყიდვას საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე, ან რომელიმე მაზრის ან ქალაქის ფარგლებში და აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის ორგანიზაციებს და დაწესებულებებს მთელი რესპუბლიკის ტერიტორიის, ან რომელიმე მაზრის ან ქალაქის ფარგლებში და აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის ორგანიზაციებს მთელი რესპუბლიკის ტერიტორიის ან რამდენიმე მაზრის ფარგლებში.

შენიშვნა: მაზრის და ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტიდან აღნიშნულ ნებართვის მისაღებათ ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა უნდა წარადგინონ თავიანთი დაწესებულებების მიერ გაცემული მოწმობები იმის შესახებ, რომ ბილეთები და სხვა გაიყიდება უეჭველად დასახელებულ მაზრის ან ქალაქის ფარგლებში და არა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

3. ამა სავალდებულო დადგენილების დამრღვევნი დაისჯებიან ადმინისტრატიული წესით:

ქალაქებში—გაფრთხილებით, ჯარიმით 100 მანეთამდე, იძულებითი მუშაობით ან დაპატიმრებით ერთი თვე:

სოფლად—გაფრთხილებით, ჯარიმით 10 მანეთამდე, იძულებითი მუშაობით ერთი კვირამდე.

4) მე-3-ე მუხში აღნიშნული სასჯელის დადების უფლება ენიჭებათ სათანადო აღმასრულებელ კომიტეტის ადმინისტრატიულ განყოფილების უფროსებს, მხოლოდ სადაც ამგვარი არ არის—სამაზრო მილიციის უფროსებს, საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1927 წ. ივლისის 4-ს გამოცემულ დადგენილების № 62 თანახმად.

5. ამა დადგენილების ცხოვრებაში გატარებისათვის თვალყურის დევნება ევალება მილიციის ორგანოებს.

6. აღნიშნული დადგენილება ვრცელდება საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე.

7. დადგენილება ეხლ ძალაში შედის ორი კვირის შემდეგ დღიდან გამოქვეყნებისა.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი **ბერია.**

შ.ს.ს.კ. ადმ. სამ. უფროსი—რესპ. მილიციის უფროსი—**გერაძე.**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის რაიკომის საღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდენ ამხ. გოგოლაძესთან რაიკომის შენობაში დღეს, 10 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე:

აკაკი გალუსტიანი, ასატურ სარკისიანი, გიორგი გძელიაშვილი, არტემ მერაბიანი, დიანოს ერაძე, აზარ პეტროსიანი, ვარდენ კერვალიძე, ვასილი ჯღუბაძე, ალექსანდრა ლაფანიშვილი, მოსეს მოსესოვი, გიორგი ქარაკოზოვი, ნერტო კორგოტაძე, რუბენ მარიკოვი, ვლადიმერ მანდრიცკი, სერგო ბეგლიაროვი, ვართან ოტაროვი, ზაქარია გაბაშვილი, ალექსანდრე ჭეილიძე, ვარვარა კატანოვისა, მიხეილ ასლამაზოვი, ქეთო ქავთარაძე, შამშე ჯორჯანია, ნიკოლოზ ალექსეევი, გურგენ პოლოსოვი, ნიკოლოზ მანუჩოვი, ივანე ჯაფარიძე, ვლადიმერ ჯაბადარი, სტეპან ოგანოვი, ავდო პოლადოვი, იშხან მურადოვი, ალექსანდრე ბებურიშვილი, შამირ არუთინოვი, ონისიმე ჯვარიძე, ბაგრატ ვერთანოვი, ისაკი კოდუა, არაბოვი, ივანე კასიროვი, ს. გრიგორიანი, არკადი არშაკუნი, ბესარიონ მინიავა, კაპიტონ დოლიძე, გუსეი ალიევი, ალექსი ხლიბოვი, მარია მაკეევა, სავა ჯიოევი, ალიკო ენუქიძე, ქიშვარდი ოსიძე, მუშეგ თუმანიანცი, არშალუს მისკარიანი, ვარლამ კაჭარავა, პრ. კრასავინა, ივანე ზვონარევი, გიორგი ხარებოვი, გ. შტუმხინი, მარტიროს აკოპიანი, ნიკოლოზ სავინოვი, თოიად არაბოვი, კონსტანტინე ობეროვი, დავით ძნელაძე, ნინო იმნაძე, ვალიკო დოლიძე, იონა შურღაია, ირაკლი ფერაძე, სიმონ ჭელიძე, ივანე შუბიაშვილი, იონა ჭელიძე, არამ ოგანოვი, ალექსანდრა კურაშვილი, ამბროსი ჩიჩუა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ორგანიზაციის მე-8-ე რაიკომი იტყობინება, რომ დღეს, 10 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე [illegible] რაიკომის შენობაში შესდგება რაიკომის ბიუროს სხდომა.

მე-2-ე ქ. მ. ლეგიონის კომუჯრედში შეტანილი აქვს განცხადება ამხ. ივანე ივანეს-ძე იგოლიდის პარტკანდიდატიდან პარტწევრად გადარიცხვის შესახებ. ვისაც რაიმე საწინააღმდეგო აქვს ვთხოვთ შეგვატყობინოს აღნიშნულ ლეგიონის კომუჯრედში.

სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებულ კომ. უჯრედის ბიურო იტყობინება, რომ დღეს, 10 ნოემბერს, დილის 10 საათზე მოწვეულია გაერთიანებულ უჯრედთა ბიუროს სხდომა, ცალკე ფაკულტეტების უჯრედთა ბიუროების წევრებთან ერთად. დასწრება სავალდებულოა.

დღეს, 10 ნოემბერს, საღამოს სრულ 6 საათზე, საქართველოს კომ. პარ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივნის ამხ. სვანიძის კაბინეთში შესდგება თათბირი. [illegible] დასახელებულ ამხანაგების დასწრება აუცილებელია.

სულავა (რკ. გზ. საუბნო პროფკავშირი) თიკანაძე (კომუნალური ბანკი), ვანციანი (ამ.-კ. სახ. ვაჭრობის სასამართველო), სარდლიშვილი (რკ. გზ.), გაბისკირია (რკ. გზ, სამმართველო), ნეტამაშვილი (სამშენი) თენეიშვილი (ლომბარდი), ზალინოვი (თბილისის საბაჟო) კუხალეიშვილი („მიასოტორგი“), აივაზოვი („კუსტპრომ“), მამულია (ჯანმრთელობის განყ.), ასრიევი (კომუნალური განყოფილება), ავაქოვი (ადგილობრივ მრეწველობის განყოფილება), ბრეგვაძე (საქ. ხე-ტყის ტრესტი), ავაქოვი (სამთო ტრესტი)), ბეთანცი (ამიერ-კავკ. საკრედიტო ბიურო), კუხალაშვილი (სრ. საქ. ღვინოთ კავშირი), შახვეოდიევი (ამიერ-კავკ. წყალთა მეურნეობის სამ.), გავაშელი (თბილისის აღმასკომის საგეგმო კომისია), სიეგვაძე (თბილისის ვაჭრ. სამმ.).

საქართველოს მუზეუმი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 8 ნოემბერს, უდროოდ გარდაიცვალა მუზეუმის მეცნიერი თანამშრომელი

თამარ კონსტანტინეს ასული
ამირეჯიბი

378

ღრმად დამწუხრებული მარო დომენტი ტუსკიას ასული, შვილები: ვალენტინე, პელო და ესიკა, და სოფიო, ძმები: ირაკლი და დათა ივანეს-ძე ჭყონიები, რძალი სონია ესეფი კანდელაკის ასული აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ

ბარნაბე (ვარლამ) ივანეს-ძე
ჭყონიას

ტრაღიკულად დაღუპვის დღიდან ერთი წლის ასანიშნავად ნოემბრის 12, შაბათს დღის 12 საათზე, ჩიბათის თემში ს. ლესის ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი. 382

მარიამ ალექსის ასული, ლარისა მიხეილის ასული ქუთათელაძენი და ოლღა მიხეილის ასული ხიდირბეგოვისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფას და დაუვიწყარ მეგობრის

ანა სიმონის ასულ კახიძის

გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება ხუთშაბათს, 10 ნოემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე. მისამართი—გუნიბის ქუჩა № 7. 372

ცეკავშირის წიგნის და საკანცელარიო სამოსწავლო ნივთების მაღაზია

წიგნის მაღაზიას დამზადებული აქვს დიდძალი საკანცელარიო-სამოსწავლო ნივთები, როგორც რუსეთის ნაწარმოები, აგრეთვე საზღვარ-გარეთიდანაც: მაღაზია აწვდის საქონელს ყველა მოკავშირე კოოპერატივებს და სახელმწიფო ორგანიზაციებს, სკოლების საბჭოებს და სხვა. მაღაზია აწარმოებს უმეტესად საბითუმო ვაჭრობას.

სამაზრო პოლიტგანეების საყურადღებოდ:

ცეკავშირის წიგნის მაღაზიას აქვს შექენილი ცერკუმსის ცენტრალური გამგეობის მიერ მცირე მცოდნეთა სკოლებისათვის სამოსწავლო ნივთები ქართულ, რუსულ, სომხურ და თათრულ ენებზე, როგორიც არის „გლეხის ანბანი“, სომხურად აზმატინი, გრძელი და სხვა იაფფასიანი რვეულები, ფანქრები, კალმები და კალმისტარები.

ყველა მომხმარებელს შეუძლია უშუალოდ დაუკვეთოს წიგნის მაღაზიას. შეკვეთა იქნება შესრულებული სწრაფად და გადაეგზავნება დანიშნულ ადგილას. მასვე აქვს მინდობილი სახელგამის სამოსწავლო წიგნების გავრცელება საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში.

ფასები ყველა ნივთზედ მნიშვნელოვნად დაკლებულია. მისამართი: ტფილისი, რუსთაველის გამზირი № 11. ტელ. № 13—86. 6—177 1—1

თბილისის რაიონული საბაჟო

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 17 ნოემბერს და შემდეგ დღეებში, დილის 9 საათვისათვის, საბაჟოს ეზოში,

დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

გაიყიდება ჩამორთმეული კონტრაბანდული საქონელი:

შევიოტი, ინდიგო, კოვერკოტი, ლიონის შარფები, ქალისა და კაცის წინდები „ვიქტორია“, ტყავი ლაქისა, პუდრა „კოტი“, სინათლის მგრძნობი ქაღალდი, საკერავი მანქანის ნემსები, ფეხსაცმელების ზონრები, საღებავი „ინა“ და სხვ.

ნ. 181. თბილისის რაიონული საბაჟო.

ნავთსადენის განყოფილება

იუწყება, რომ 15 ნოემბერს, შუადღის 12 საათზე თბილისის განყოფილების კანტორაში, საბჭოთა ქ. № 70,

— დანიშნულია —

შეჯიბრება

შემდეგი სამუშაოების შესრულებაზე:

ნავთსადენის 203 მილიმეტრიან მილის შემოკვრა ტილოთი, ფისით შეღებვა და მიწაში ჩაფლა კიურო-ჩაიაჯიკაბულის უბანში საერთო სიგრძით 70 კილომეტრამდე.

ის პირები, არტელები ან დაწესებულებები, რომელთაც სურთ მონაწილეობა მიიღონ კონკურენციაში, მოვალენი არიან წარმოადგინონ დაბეჭდილ კონვერტებში წარწერით „ნავთსადენის მილის ტილოთ შემოკვრის, ფისით შეღებვის და მიწაში ჩაფლის სამუშაოთა კონკურენციისათვის“: ა) პირადობის მოწმობა, ან მისი შემოწმებული ასლი, ხოლო საჭირო შემთხვევებში რწმუნებულობა საცხოვრებელ ადგილის აღნიშვნით; ბ) დოკუმენტები რკინის გზის სალაროში გირაოს შეტანის შესახებ მთელი მუშაობის ღირებულების 5 პროცენტის რაოდენობით და გ) სამუშაოთა ფასები, განცხადებების დაწესებულ ბლანკის თანახმად.

განზრახულ ხელშეკრულების პროექტის, სამუშაოთა დაწვრილებითი ჩამოთვლის და მუშაობის წარმოების ტეხნიკურ პირობების გაცნობა შეიძლება ყოველდღე სამუშაო საათებში ნავთსადენის განყოფილების კანტორაში.

ნავთსადენის განყოფილების უფროსი
ნ. 182 ინჟ. ზ. ოგანეზოვი.

სასამართლოს აღმასრულებელი თელავის უბნისა
გ. ზ. ყარასაშვილი,

ამით აცხადებს, რომ 14 ნოემბერს დილის 11 საათზე ქ. თელავში, ნადიკვარის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაიყიდება ნიკოლოზ მიხეილის-ძე სუნიტაშვილის სახლი, შემდგარი ორი ქვითკირის ოთახისაგან, ერთი სამზარეულოსაგან და ერთი პატარა ძარნით და ერთი ჩარდახით დახურული კრამიტით, შეფასებულია სამას (300) მანეთათ ალექსანდრე დავიდოვის ვალის დასაკმაყოფილებლად სამას ორმოცდა თორმეტი (352) მანეთი 57 კ. და ილიკო შიუკაშვილისა რვაას სამოცდა თერთმეტი (871) მან. 52 კაპ. %% და ხარჯებით, თანახმად სასამართლოს ბრძანებისა № 4275 და 4600 და აღმასრულებელი ფურცლისა № 2470. 3 ნოემბერს 1927 წ. 374

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორანოვის ქ., № 20 1—25

ექიმი ქ. ს. ფონ-ირტელი

პლეხანოვის პროსპ. № 10 სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს, და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები

ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე დილ. 11—12 საათამდე და საღ. 7—8 საათამდე 222—13—1

ხელოვნურ კბილების

მომზადება და ჩასმა (კაუჩუკზე და ოქროზე) შეღავათიან ფასებში სწარმოებს სტომატოლოგიურ კლინიკასთან არსებულ კბილის ტეხნიკოსთა კურსებზე—პლეხანოვის გამზირი № 126 ავადმყოფობის მიღება სწარმოებს სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით საღამოს 4—6 საათამდე. 25—1

ექიმი
გ. ნ. ონანოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა

ავაადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 მ-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, № 3. 25—20

ექიმი მეგრაბიანცი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.

ფილტვების, ჭლექის და გულის სნეულებანი

ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში

სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა

ხელოვნური მთის მზე. იონოთერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ. ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ 2—5

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. **შინაგანი სნეულებანი.** სპეციალურად **კუჭის და ნაწლავების** სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფ. ნაბერეჟნაია) № 7, ვერის ხიდთან. ტელ. № 15—02

სახელმწიფო უნივერსიტეტის
სტომატოლოგიურ
(კბილის სნეულებათა)
კლინიკაში

ავადმყოფების მიღება 1 ნოემბრიდან იწარმოებს

დილით 8—1 საათამდე
საღამ. 4— 6 საათამდე

საღამოობით რჩევა-დარიგება უფასოა, მკურნალობა დაკლებულ ფასებში კლინიკასთან არსებობს რენტგენის კაბინეტი. მისამართი: პლეხანოვის გამზირი 126, ტელეფ. 25—34. 25—1 250

ექიმი
ვლ. ა. თოხაძე

გადავიდა ალექსანდროვის ქუჩიდან ბესიკის (ყოფ. დავიდოვის) ქ. № 20.

ღებულობს ავადმყოფ ბავშვებს

ყოველ დღე საღ. 4—6 საათამდე

დაჰკარგე პირადობის მოწმობა და აღრიცხვის წიგნაკი პლატონ თედორეს-ძე ყულაურაძეს სახელზე, ჩ. გ. 371

დაჰკარგე სამხედრო სამსახურის წიგნაკი ფორმა № 6, ლევან მაისურაძეს სახელზე, ჩ. გ. 370

დაჰკარგე დაზღვევის წიგნაკი № 195 პენსიონერ მარიამ მაკარის ასულ გელოვანის სახელზე, ჩ. გ. 369

დაჰკარგე რკინის გზის კავშირის წიგნაკი № 2924, ქ. ზესტაფონის სამოქალაქო სასწავლებლის დამთავრების მოწმობა № 567, ქ. თბილისში მწონელობის გამოცდების ჩაბარების მოწმობა № 3526 ნიკოლოზ დავითის-ძე შეყრილაძეს სახელზე, ჩ. გ. 375

დაჰკარგე პირადობის მოწმობა მოცემული თბილისის სახელ. უნივერსიტეტის მიერ 1926 წელში რაფიელ არტემის-ძე ქვირკველიას სახელზე, ჩ. გ. 376

დაჰკარგე მბეჭდავთა კავშირის წიგნაკი და პირადობის მოწმობა ყოფ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორიდან ისიდორე გოგეშვილის სახელზე, ჩ. გ. უფ.

დაჰკარგე სამხედრო წიგნაკი № 113107 შალვა ესებუას სახელზე, ჩ. გ. 379

დაჰკარგე პირადობის მოწმობა მოცემული ხობის თემ-აღმასკომის მიერ № 175 ვარლამ ზაქარაიას სახელზე, ჩ. გ. 381

დაჰკარგე კავშირის წიგნაკი № 6192 და „მ აჩის“ მოწმობა ცოლის გარდაცვალების ივანე ოთარაშვილის სახელზე, ჩ. გ. 377

დაჰკარგე პირადობის მოწმობა ომერ ზაზანის-ძე ჩხეიძეს სახელზე, ჩ. გ. 380

დაჰკარგე მუშკოოპის წიგნაკი № 11.379 ვლადიმერ თოხაძის სახელზე, ჩ. გ.

დაჰკარგე დამზღვევ კასის წიგნაკი № 53 ქრისტაფორე კავაზოვიშვილის სახელზე, ჩ. გ.

დაჰკარგე ლომბარდის ქვითარი № 17399 ანა ჩინჩილაძეს სახელზე, ჩ. გ. 383

რუსთაველის თეატრი

ხუთშაბათს, 10 ნოემბერს
კ. ლიპსკეროვის **კარმენსიტა**
დრამა 4 მოქ. თარ. შ. აფხაიძის
დადგმა—ალ. ახმეტელის. მხატვარი—გ. იაკულოვი.
მუსიკა—ი. ტუსკიასი.

შაბათს, 12 ნოემბერს—ათი დღე
კვირას, 13 ნოემბერს—ამერიკელი ქია
სამხატვრო ნაწ. გამგე და მთავარი რეჟისორი—ალ. ახმეტელი.
დასაწყისი 8 საათზე.
ნ. 180

ამ დღეებში კინო-თეატრებში ამ დღეებში

აპოლო ■ არფასტო ■ მინიონი ■ სოლეი

საქართველოს სახკინმრეწვის მხატვრული ფილმა

იბრაჰიმ და გოდერძი

რეჟისორ შაქრო ბერიშვილის დადგმა
ოპერატორი ა. პოლიქევიჩი.

მთავარ როლებში: [illegible], ნ. კახიძე, დ. ძნელაძე, ლ. კავსაძე, ნ. გვარაძე, ბ. სვანი.

თვალყური ადევნეთ დადგმის დღეს. ნ. 179

აპოლო
არფასტო
სოლეი
დარბაზი

გრანდიოზული სურათი პიერ ბენუას რომანის მიხედვით
„ატლანტიდა“
ანტინეას როლში—ს. ნაპერკოვსკაია,
მორანჟის „ —ჟ. ანჟელო. ორი სერია ერთად.

სეზონის საუკეთესო სურათი
„გამცემი“
რეჟისორი ა. როომ.
მთავარ როლებში—ნაროკოვი, ახლოპკოვი, ოგანეზოვი.
ბავშვები 15 წლამდე არ იქნებიან დაშვებულნი.

მოზჟუხინ და ლისენკო
მხატვრულ სურათში
„კოშმარი“

0—7 ნ. 1388

ანონსი: მალე „იბრაგიმ და გოდერძი“ რეჟისორ შაქრო ბერიშვილის დადგმა.

ცირკი
„კოლოს“
ტელ. 16—67
წაიკითხეთ აფიშები

ხუთშაბათს, 10 და პარასკევს, 11 ნოემბერს
საგასტროლო სანახაობანი
სამ დიდ განყოფილებად დამსახ. მსახ. ძმ. ტანტების მონაწილეობით ჩინელთა (შანხაიდან) სახალხო დასის
ლიუ-კუმ-ხაის პირველი გასტროლები დასაწყისი 8½ საათზე. სალარო 12-დან 2 საათ. და 5 საათიდან
კვირას, 13-ს საბავშვო წარმოდგენა დასაწყ. 2 საათ.
დირექცია—ი. ზ. კუდრიავცევი, ადმინისტრატორი მ. ი. ტადე.
ნ. 178 1—1

ფიზიკურ მეთოდებით მკურნალობის
ინსტიტუტში

ორჯონიკიძის ქუჩა (ყოფ. ანდრეევის) № 30. ილსმენი 10—90

მიიღება ფასიანი ავადმყოფები

წყლით, ელექტრონით, სინათლით, რადიუმით, რენტგენით, ფინზენით და სხ. სამკურნალო კაბინეთებში. ავადმყოფების გასინჯვა სპეციალისტების მიერ, განსაკუთრებულ საათებში დღის 1-დან 3-მდე.

ყველა ცნობები მიიღება ინსტიტუტის რეგისტრატურაში

ინსტიტუტის დირექტორი მ. ზანდუკელი

25—1 ქვ. 288

ემალი

ყველა ფერების საიუველირო ემალი წითელარმიელთა ნიშნებისთვის, ორდენებისთვის, გულზე გასაკეთებელ ნიშნებისთვის და სხვა მხატვრულ ნაწარმოებთათვის დამზადებულია

ს. რ. კორსაკის

საიუველირო ემალის ლაბარატორიაში. მოსკოვი, 9, მ. კოზიხინსკი სახლი № 13, ბინა № 5. ნიმუშები 25 გრ. უფასოდ.

ნ. 183

ექიმი
ს. ი. ვოლოხი

ქალთა სნეულება და მეანობა. მიღება საღამოს 5—7 ს.-დე ყოველდღე (გარდა ხუთშაბათისა), ბელგიის ქ № 5 მთავარ საავადმყოფოს (ყოფ. მიხეილის) მახლობლათ. 25—

ექიმი
ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.

მიღება 8—12 დილ. 6—8 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ 25—7

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 68